# საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

# ბრძანება №77

**2006 წლის 30 აგვისტო**

**ქ. თბილისი**

## ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” 2006 წლის 9 ივნისის №3292-Iს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები.
2. ბრძანება ამოქმედდეს 2006 წლის 1 სექტემბრიდან.

**მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი**

**ა. ხეთაგური**

## ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. მოქმედების სფერო**

წინამდებარე წესები არეგულირებს:

ა) ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ბაზრის ფუნქციონირებას, სისტემის კომერციული ოპერატორისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის საქმიანობას;

ბ) პირდაპირი ხელშეკრულებების, მათ შორის, სისტემის კომერციული ოპერატორის მეშვეობით ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, კომერციულ და სამართლებრივ ურთიერთობებს; პირდაპირი ხელშეკრულებების დადებისა და ძალაში შესვლის პირობებს;

გ) ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, გატარების, განაწილების, ელექტროენერგიის მიმწოდებლების საქმიანობასთან, ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფასა და ვაჭრობასთან, ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტთან, ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობასთან, ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიანტისა და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საკუთარი საჭიროებისთვის მოხმარებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, კომერციულ და სამართლებრივ ურთიერთობებს;

დ) „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, კვალიფიციური საწარმოებისთვის ელექტროენერგიის წარმოების, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის მიერ ელექტროენერგიის მიწოდების, მოხმარების, იმპორტისა და ექსპორტის განსხვავებულ პირობებსა და პროცედურებს

ე) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსების შედგენისა და მათი შესრულების წესებს;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 200 7 წლის 25 აპრილის ბრძანება № 31 – სსმ III, № 58, 26.04.2007 წ., მუხ. 628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

1. წინამდებარე წესებში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში.
2. ამ წესებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ელექტროენერგიის აღრიცხვა“ – ელექტროენერგიის აღრიცხვის პროცესი, რომელიც მოიცავს ყველა სახის გაზომვას აღრიცხვის მოწყობილობის საშუალებით;

ბ) „გატარება“ – გადაცემის მომსახურების გარდა, განაწილების ან წარმოების ლიცენზიატის, მცირე

სიმძლავრის ელექტროსადგურის ან პირდაპირი მომხმარებლის ქსელის მეშვეობით სხვისი კუთვნილი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გადატანა წინასწარ განსაზღვრული პირის კუთვნილ ელექტრულ ქსელამდე; ამ წესების მიზნებისთვის გატარება ასევე გულისხმობს განაწილების ლიცენზიატის მიერ კვალიფიციური საწარმოებისათვის განაწილების მომსახურებას ლიცენზიატის განაწილების არეალის შესაბამისად;

გ) „ელექტროენერგიის წარმოების საკუთარი საშუალება“ – ელექტროსადგური, რომლის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გამოიყენება იმ ობიექტის ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით, რომელიც ამ ელექტროსადგურთან ერთად იმყოფება ერთი და იმავე ფიზიკური ან იურიდიული პირის პირდაპირ მფლობელობაში;

დ) „პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერგიის გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე” – პირდაპირი ხელშეკრულება, ერთის მხრივ ელექტროენერგიის გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს და მეორეს მხრივ კვალიფიციურ საწარმოს ან სხვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შორის გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურეობის გაწევაზე, რომელიც ითვალისწინებს ელექტროენერგიის გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურების პირობებს;

ე) „ელექტროსადგურის საკუთარი მოხმარება“ – ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წარმოების ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველყოფისა და სადგურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამეურნეო ხარჯი;

ვ) „ელექტროენერგიის საერთო სასადგურო დანახარჯი“ – ელექტროსადგურის საკუთარი მოხმარება, ასევე ელექტროენერგიის დანაკარგები, რომელიც წარმოიქმნება სადგურის ძალოვან და გამზომ ხელსაწყოებში, ტრანსორმატორებსა და ელექტროგადამცემ ხაზებში;

ზ) „ქვესადგურის საკუთარი მოხმარება“ – ქვესადგურის ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველყოფისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამეურნეო ხარჯი;

თ) „ელექტროენერგიის დანახარჯი ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში“ – ელექტროენერგიის ხარჯი, რომელიც მოიცავს გადაცემის ლიცენზიატის მფლობელობაში მყოფი ქვესადგურის საკუთარ მოხმარებას, მოხმარებას ელექტროენერგიის გადამცემი ხაზის დაცვის რეჟიმში ჩართვის პერიოდში და სიქრონიზაციისას აღრიცხული ელექტროენერგიის რაოდენობას, აგრეთვე დანაკარგს ელექტროენერგიის გადამცემ ხაზებში, ძალოვან, ვოლტდამმატ და გამზომ ტრანსფორმატორებში, მაკომპენსირებელ კოჭებში, მაშუნტირებელ რეაქტორებში, სინქრონულ კომპენსატორებსა და კონდენსატორთა ბატარეებში, აგრეთვე სხვა ტექნიკურ დანაკარგებს ელექტროენერგიის გადამცემი ხაზის მუშა და უქმი სვლის რეჟიმებში;

თ[1]) ელექტროგადამცემი ქსელის ტესტირება – ელექტროგადამცემი ქსელის ან მისი რომელიმე ელემენტის მუშაობის პარამეტრების, დაცვის, აღრიცხვის მოწყობილობებისა ან/და სხვა ტექნოლოგიური პროცესების შემოწმება, რომელიც საჭიროებს ქსელის ჩართვას, მისი ან მისი რომელიმე ელემენტის ძაბვის ქვეშ დაყენებას ან/და ელექტროენერგიის გადადინებას; ტესტირება ხორციელდება ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ხოლო სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის ტესტირების თაობაზე წინასწარ უნდა ეცნობოს სისტემის კომერციულ ოპერატორს;

ი) „ელექტროენერგიის დანახარჯი ელექტროენერგიის განაწილების ქსელში“ – ელექტროენერგიის ხარჯი, რომელიც მოიცავს ქვესადგურის საკუთარ მოხმარებას, აგრეთვე დანაკარგს ელექტროენერგიის გამანაწილებელ, საჰაერო და საკაბელო ქსელში, ძალოვან და გამზომ ტრანსორმატორებში, დენშემზღუდველ რეაქტორებში, მაკომპენსირებელ კოჭებში, სინქრონულ კომპენსატორებსა და კონდენსატორთა ბატარეებში;

კ) „ელექტროენერგიის ზენორმატიული დანაკარგი“ – დადებითი სხვაობა გადამცემ ქსელში არსებულ ფაქტობრივ დანაკარგსა და კომისიის მიერ დადგენილ ელექტროენერგიის ნორმატიულ (ნორმალურ) დანაკარგს შორის;

ლ) „ელექტროენერგიის საბითუმო აღრიცხვის სისტემა“ – გამზომი ტრანსფორმატორების, შემაერთებელი სადენების, მრიცხველების, შემკრები, გარდამქმნელი და გადამცემი მოწყობილობების ერთობლიობით შექმნილი სისტემა ელექტროენერგიის რაოდენობის, მისი პარამეტრების აღრიცხვისა და გარკვეულ პერიოდში დამახსოვრებისათვის;

ლ[1]) ქვედა დონის ელექტროენერგიის და სიმძლავრის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემა (შემდგომში: „ქვედა დონის ესკაა სისტემა“) – ელექტროენერგიის კომერციული აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემა, რომელიც მოიცავს აღრიცხვის კომპლექს(ებ)ს, მონაცემთა შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობებს და უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების შეკრებას, შენახვას და გადაცემას კავშირის სხვადასხვა არხებით შუალედურ ან/და ზედა დონის ეკაას-ში;

ლ ) შუალედური დონის ელექტროენერგიის და სიმძლავრის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემა (შემდგომში: „შუალედური დონის ესკაა სისტემა“) – კვალიფიციური საწარმოების ელექტროენერგიის აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემა, რომელიც მოიცავს აღრიცხვის კომპლექს (ებ) ს, მონაცემთა შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობებს, ელექტრული ენერგიის აღრიცხვის გამზომ – გამოთვლით კომპლექსს და უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების შეკრებას, შენახვას, დამუშავებას და გადაცემას კავშირის სხვადასხვა არხებით ზედა დონის „ესკაა სისტემა“- ში.

ლ[3]) ზედა დონის ელექტროენერგიის და სიმძლავრის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემა (შემდგომში: „ზედა დონის ესკაა სისტემა“) – დიპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ელექტროენერგიის აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემა, რომელიც მოიცავს ცენტრალურ აღრიცხვის გამზომ – გამოთვლით კომპლექსს, შუალედურ და ქვედა დონის ესკაა სისტემებს, მონაცემთა შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობებს, აღრიცხვის კომპლექს (ებ) ს, ავტომატურ რეჟიმში აგროვებს და უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების შენახვას, დამუშავებას და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისთვის, ასევე ყველა სხვა დაინტერესებული უწყებისა და ორგანიზაციისათვის კავშირის ხელმისაწვდომი არხების გამოყენებით დადგენილი წესით მიწოდებას/დაშვებას;

ლ[4]) აღრიცხვის კვანძ(ებ)ის ზედა დონის „ესკაა სისტემა“- ში ჩართვა გულისხმობს – კავშირის სხვადასხვა არხების გამოყენებით სათანადო აღრიცხვის კომპლექს(ებ)ის ავტომატურ რეჟიმში პირდაპირი და უშუალო ფორმით ან არაპირდაპირი ფორმით დაკავშირებას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ცენტრალურ აღრიცხვის გამზომ – გამოთვლით კომპლექსთან. არაპირდაპირი ფორმით დაკავშირება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ცენტრალურ აღრიცხვის გამზომ – გამოთვლით კომპლექსთან შესაძლებელია განხორციელდეს მონაცემთა შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობების გამოყენებით ან/და კვალიფიციური საწარმოების აღრიცხვის გამზომ – გამოთვლითი კომპლექსის საშუალებით;

ლ[5]) კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა (შემდგომში: „კაა სისტემა“) - ბაზრის ოპერატორის კუთვნილი პროგრამულ – ტექნიკური საშუალებების კომპლექსი რომელიც წარმოადგენს საბითუმო ყიდვა – გაყიდვის ერთიანი ბაზის ფორმირების ძირითად საშუალებას, დაკავშირებულია და აღრიცხვის მონაცემებს ავტომატურად იღებს შუალედური დონის და ზედა დონის ესკაა სისტემებიდან და რომლის დანიშნულებაა იმ მონაცემების მიღება, შემოწმება, აღრიცხვა, შეგროვება, დაჯგუფება და დაჯამება, რომლებიც აუცილებელია ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობის ანგარიშსწორებისათვის, ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მიღებული, მიწოდებული და პირდაპირი ხელშეკრულებებისა და საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მოცულობების დადგენისათვის, ასევე ბაზრის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გაანგარიშებისათვის;

ლ[6]) საბითუმო ყიდვა – გაყიდვის ერთიანი ბაზა - ბაზრის ოპერატორის მიერ წარმოებული და მუდმივად განახლებადი მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომლის დანიშნულებაა ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობის ანგარიშსწორების შედეგების დაფიქსირება და შენახვა, მათ შორის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში საბითუმო ვაჭრობის შედეგად მიღებული და მიწოდებული ელექტროენერგიის ჯამური მოცულობების, ორმხრივი პირდაპირი ხელშეკრულებებით გაყიდული და შესყიდული მოცულობების, აგრეთვე საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა – გაყიდვის შედეგების დადგენა და ერთიანი ანგარიშსწორებისთვის გაანგარიშებების წარმოება.

მ) „საბალანსო ელექტროენერგიის ფასი“ – სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ფასი, რომელიც გამოანგარიშდება ამ წესების მე-4 თავის მიხედვით;

ნ) „საბითუმო ვაჭრობა” – ელექტროენერგიის, მათ შორის, საბალანსო ელექტროენერგიის ან/და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა და გაყიდვა „ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონისა და ამ წესებით უფლებამოსილ საწარმოებს შორის;

ო) „საანგარიშო პერიოდი“ – ერთი კალენდარული თვე;

პ) (ამოღებულია);

ჟ) „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებელი“ – წარმოების ლიცენზიატი, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური და ელექტროსადგურის მფლობელი პირი, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში, პირის იმავე ელექტროსადგურის ნაწილში წარმოების ლიცენზიატად ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურად – კვალიფიციურ საწარმოდ რეგისტრაციის თარიღამდე, მაგრამ არაუმეტეს 90 კალენდარული დღისა;

რ) „ავარიული სიტუაცია“ – ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც იწვევს ელექტროენერგიის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებას და სისტემის მუშაობის მდგრადობის შენარჩუნებისათვის საჭირო არსებული სასისტემო ავტომატიკის (სიხშირის ავტომატური განტვირთვა, მინიმალური ძაბვის ავტომატიკა, გამყოფი ავტომატიკა და ა.შ.) ამოქმედებას, რასაც

შესაძლოა მოჰყვეს ან მოჰყვება ელექტროენერგიის მიწოდების ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტა;

ს) „პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაცია“ – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ პირდაპირი ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალში ამ წესების შესაბამისად შეტანა და მისთვის სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება;

ტ) „სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის შემაჯამებელი აღრიცხვის აქტი“ – სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი კონკრეტული ელექტროგადამცემი ხაზით (ხაზებით) შესაბამის საანგარიშო პერიოდში მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის (მათ შორის, ექსპორტირებული, იმპორტირებული ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის) შემაჯამებელი აღრიცხვის აქტი, რომელშიც აისახება ხაზით (ხაზებით) ცალ-ცალკე გაცემული და მიღებული ელექტროენერგიის ჯამური მოცულობა და რომელიც დისპეტჩერიზაციის, შესაბამისი ხაზის მფლობელი გადაცემის ლიცენზიატისა და სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ ერთობლივად ფორმდება შესაბამისი უცხო ქვეყნის უფლებამოსილ პირთან;

უ) „სისტემათაშორისი ხაზით ექსპორტირებული (იმპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტი“ – ელექტროენერგიის გადაცემის კონკრეტული სისტემათაშორისი ხაზით შესაბამის საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებული (იმპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის აღრიცხვის ერთობლივი აქტი, რომელშიც აისახება ხაზით ექსპორტირებული (იმპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის მოცულობების განაწილება ორ ან მეტ ექსპორტიორს (იმპორტიორს) ან/და ტრანზიტის დამკვეთ საწარმოს შორის, თუ ისინი ამ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის ექსპორტს (იმპორტს) ან/და ტრანზიტს ახორციელებდნენ ერთი სისტემათაშორისი ხაზით. სისტემათაშორისი ხაზით ექსპორტირებული (იმპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტი ყველა შესაბამისი ექსპორტიორის (იმპორტიორის) ან/და ტრანზიტის დამკვეთის საწარმოს მიერ ფორმდება ერთობლივად. ექსპორტირებული (იმპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტის ერთი დედანი შესაბამისი ექსპორტიორების (იმპორტიორების) ან/და ტრანზიტის დამკვეთის საწარმოს მიერ საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 8 (რვა) კალენდარული დღისა უნდა წარედგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და ბაზრის ოპერატორს;

ფ) პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერგიის იმპორტსა ან/და ექსპორტზე – იმპორტირებული ან საექსპორტოდ განკუთვნილი ელექტროენერგიის შესყიდვის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება ელექტროენერგიის საბითუმო მყიდველსა და გამყიდველს (კვალიფიციურ საწარმოებს) შორის, რომლის მიხედვით განისაზღვრება შესასყიდი ელექტროენერგიისა და სიმძლავრის რაოდენობა, ფასი, ვადა, პირობები და ხარისხობრივი მაჩვენებლები და რომელიც სათანადო წესით რეგისტრირებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ;

ქ) ხელშეკრულება ელექტროენერგიის იმპორტსა ან/და ექსპორტზე – უცხო ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის საქართველოში შემოტანის ან საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანის, ასევე გაცვლის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც სათანადო წესით რეგისტრირებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ;

ღ) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზი – უცხო ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც სამინისტროს მიერ შეტანილია საქართველოს ელექტროენერგიის სასისტემო ან/და სისტემათაშორისი ტრანზიტისათვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზების ნუსხაში (სიაში) ;

ყ) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზი – სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე უშუალოდ უერთდება მუდმივი დენის ჩანართის მქონე ქვესადგურს და რომელიც 2012 წლის 1 იანვრის შემდეგ არის ექსპლუატაციაში შესული ან/და დაგეგმილია, რომ აშენდეს და ექსპლუატაციაში შევიდეს 2012 წლის 1 იანვრის შემდეგ;

შ) საპროექტო კომპანია – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შექმნილი და რეგისტრირებული საწარმო, რომლის ამოცანაა საქართველოში ახალი ელექტროსადგურის მშენებლობა, ექსპლუატაცია და ფლობა, თუ ასეთი ახალი ელექტროსადგურის მშენებლობაზე დადებულია სათანადო შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან ან/და გამოცემულია საქართველოს მთავრობის სათანადო სამართლებრივი აქტი;

ჩ) სისტემის კომერციული ოპერატორი – ნიშნავს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს, როგორც ეს განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით;

ც) პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები წარმოადგენს წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ სახელშეკრულებო პირობებს (ტიპური სახელშეკრულებო ფორმულარი) , რომელსაც უფლებამოსილი პირი უდგენს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეებს.

პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები იყოფა შემდეგ სახეებად:

ც.ა) კომისიის მიერ დამტკიცებული გადაცემის/დისპეტჩერიზაციის მომსახურების პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომელიც რეგისტრირებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ და მოქმედებს, თუ კონკრეტულ კვალიფიციურ საწარმოსთან არ არის გაფორმებული ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირდაპირი ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი პირდაპირი ხელშეკრულების არარსებობა გამოწვეულია კვალიფიციური საწარმოს მიერ ხელშეკრულების პირობების ან კანონმდებლობის დარღვევით. პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ გამოიყენება ელექტროენერგიის ექსპორტთან ან/და ტრანზიტთან დაკავშირებული გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე;

ც.ბ) კომისიის მიერ დამტკიცებული საბალანსო ელექტროენერგიის ნასყიდობის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომელიც რეგისტრირებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ;

ც.გ) კომისიის მიერ დამტკიცებული გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფაზე პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომელიც რეგისტრირებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ;

ც.დ) კომისიის მიერ დამტკიცებული განაწილების მომსახურების პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომელიც რეგისტრირებულია ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ;

ძ) სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობა – ტრანზიტის (რეექსპორტის) განხორციელებისას შიდა ქსელის ან/და მისი რომელიმე ელემენტის ხანგრძლივი დროით დასაშვები მაქსიმალური დატვირთვა გამოხატული მგვტ -ებში. სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობა დგინდება ყოველი მიმართულებისათვის/სატრანზიტო დერეფნისათვის (ენერგიის შემოსვლის წერტილიდან ელექტროენერგიის გასვლის წერტილამდე) ცალ -ცალკე და აიღება ყოველი მიმართულებისათვის შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ყველაზე მცირე სიდიდე შემცირებული იგივე პერიოდში შიდა მოხმარების დაკმაყოფილებისათვის და ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის „ა“, „ბ“ ან/და „გ“ კატეგორიას მიკუთვნებული ელექტროენერგიის ექსპორტისათვის საჭირო გადადინების ოდენობით. სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობა არ შეიძლება აღემატებოდეს $14^{11}$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაანგარიშებულ სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი იმ ხაზების სატრანზიტოდ ნებადართულ გამტარუნარიანობის ოდენობას, რომლებიც მონაწილეობენ შესაბამისი მიმართულებით/სატრანზიტო დერეფნით ელექტროენერგიის ტრანზიტში;

წ) საექსპორტოდ ნებადართული მოცულობა – ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დამტკიცებული წლიური ბალანსით გათვალისწინებული ექსპორტის ჯამური მოცულობა ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის:

წ.ა) შემცირებული ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „ბ“ პრიორიტეტულობის ჯგუფს მიკუთვნებული საექსპორტო ელექტროენერგიის მოცულობით;

წ.ბ) შემცირებული მეზობელ ქვეყანასთან სინქრონული პარალელური მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭირო საექსპორტო მოცულობით, რომელიც ყოველი თვისათვის დგინდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მგვტ-ებში „ATC“-ს ან/და „CAA“-ს განაწილებამდე. საექსპორტოდ ნებადართულ მოცულობას არ წარმოადგენს ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „ა“ და „ბ“ პრიორიტეტულობის ჯგუფს მიკუთვნებული საექსპორტო ელექტროენერგია;

წ.გ) გაზრდილი ამ წესების $14^{12}$ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში მყოფი განახლებადი ენერგიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგურის (მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის) მიერ, გამომუშავებული ელექტროენერგიის იმ მოცულობით, რომლის ექსპორტიც მოთხოვნილია ამ წესების $14^{15}$ მუხლის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ახალი ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე საქართველოს მთავრობასა და შესაბამის პირს შორის გაფორმებულ შეთანხმებაში მოცემული პერიოდისა და მოცულობისა.

ჭ) შიდა შემზღუდავი რესურსი – სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობა – ტრანზიტის (რეექსპორტის) მიზნებში და საექსპორტოდ ნებადართული მოცულობა – ექსპორტის) მიზნებში; შიდა შემზღუდავი რესურსის ნაწილით სარგებლობის უფლება მოიპოვება ამ წესებისა და სპეციალური აუქციონის წესების შესაბამისად;

ხ) შიდა შემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულება – გამოიყენება მხოლოდ შიდა შემზღუდავი რესურსით (საექსპორტოდ ნებადართული მოცულობით ან/და სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობით) სარგებლობისთვის სპეციალური აუქციონის გამართვის შემთხვევებში და წარმოადგენს აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადასახდელ თანხას, რომელიც გამოითვლება შემდეგი პრინციპის შესაბამისად – შიდა შემზღუდავი რესურსით სარგებლობისთვის

აუქციონის ფასი გამრავლებული დაკმაყოფილებული მგვტ. სთ-ის მოცულობაზე. (მგვტსთ.-ის რაოდენობა წარმოადგენს დაკმაყოფილებული მგვტ-ის ნამრავლს საანგარიშო პერიოდში განაწილებულ საათების ჯამურ რაოდენობაზე) ;

ჯ) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის დამატებითი საფასური – წარმოადგენს ელექტრონული აუქციონის შედეგად დადგენილ და აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადასახდელ დამატებით თანხას, რომელიც გამოითვლება შემდეგი პრინციპის შესაბამისად – „CAA"-ს მოპოვებისთვის ელექტრონული აუქციონის საბოლოო ფასი გამრავლებული დაკმაყოფილებული მგვტ. სთ-ის რაოდენობაზე („CAA"-ს მგვტსთ-ის რაოდენობა წარმოადგენს დაკმაყოფილებული მგვტ-ის ნამრავლს საანგარიშო პერიოდში განაწილებულ საათების ჯამურ რაოდენობაზე) ;

ჰ) დამატებითი/სასისტემო მომსახურება – ელექტროენერგეტიკული სისტემის ცალკეული სუბიექტების თანამონაწილეობით ან/და მათი და გადამცემი ქსელის შესაძლებლობების მეშვეობით გასაწევი მომსახურების სხვადასხვა სახეობების კომპლექსი, რომელთა ერთიანი ორგანიზება, განხორციელება, კოორდინირება და კონტროლი ხდება გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ და მიზნად ისახავს საქართველოს ენერგოსისტემის საიმედოობის, მდგრადობისა და ენერგოდამოუკიდებლობის დონის ამაღლებას, ელექტროენერგიის ხარისხის გაუმჯობესებას და შენარჩუნებას, ენერგოსიტემის მუშაობის ეფექტურობის ზრდას და ოპტიმალური რეჟიმის მიღწევას, რეზერვების ფორმირებასა და გამოყენებას, განახლებადი ენერგიის წყაროების გადამცემ ქსელში ინტეგრირების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, ელექტროსადგურების ტექნიკური პოტენციალის ათვისების სტიმულირებას;

ჰ$^{1}$) უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი – საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდებას საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისთვის, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან და საჯარო მომსახურების გამწევ ელექტროენერგიის მწარმოებელ საწარმოებთან (საჭიროების შემთხვევაში, ელექტროენერგიის სხვა მწარმოებლებთან) თანამშრომლობის გზით;

ჰ$^{2}$) საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი – საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდებას საქართველოს მთავრობის 2020 წლის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით" განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი საცალო მომხმარებლებისათვის, გარდა ამ მუხლის „ჰ$^{1}$" პუნქტით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისა;

ჰ$^{3}$) თავისუფალი მიმწოდებელი – პირი, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდებას საცალო მომხმარებლისთვის, გარდა ამ მუხლის „ჰ$^{1}$" და „ჰ$^{2}$" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არარეგულირებული საბაზრო ფასით;

ჰ$^{4}$) ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი – პირი, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდებას შეზღუდული ვადითა და რეგულირებული პირობებით, იმ საცალო მომხმარებლებისათვის, რომლებმაც გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ აირჩიეს ან დაკარგეს ელექტროენერგიის მიმწოდებელი;

ჰ$^{5}$) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი – ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორი;

ჰ$^{6}$) გადაცემის ლიცენზიატი – ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორი.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი 2013 წლის 1 მაისის ბრძანება №83 – ვებგვერდი, 02.05.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 22.10.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 – ვებგვერდი, 27.03.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №88 – ვებგვერდი, 23.09.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 1 მარტის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 04.03.2016წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 19.04.2016წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 30 ნოემბრის ბრძანება №91 – ვებგვერდი, 02.12.2016წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 23 ივლისის ბრძანება №1-1/336 - ვებგვერდი, 23.07.2021 წ.*

## თავი II

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

**მუხლი 3. საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისა და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის წესი**

1. საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ნებადართულია მხოლოდ იმ საწარმოებს შორის, რომლებიც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესების შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან კვალიფიციურ საწარმოდ. ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება ასევე აქვს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში.

2. ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეებს წარმოადგენენ შემდეგი პირები:

ა) სისტემის კომერციული ოპერატორი;

ბ) ამ წესების შესაბამისად, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული შემდეგი კვალიფიციური საწარმოები:

ბ. ა) წარმოების ლიცენზიანტი;

ბ.ბ) (ამოღებულია - 21.06.21 №1-1/257);

ბ.გ) პირდაპირი მომხმარებელი – „ელექტროენერეგტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესებით განსაზღვრული პირი;

ბ.დ) ექსპორტიორი;

ბ.ე) იმპორტიორი;

ბ.ვ) მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური;

ბ.ზ) ელექტროსადგურის მფლობელი პირი, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში, პირის იმავე ელექტროსადგურის ნაწილში წარმოების ლიცენზიატად ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურად – კვალიფიციურ საწარმოდ რეგისტრაციის თარიღამდე, მაგრამ არაუმეტეს 90 კალენდარული დღისა;

ბ.თ) ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებელი;

ბ.ი) უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი;

ბ.კ) თავისუფალი მიმწოდებელი;

ბ.ლ) საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი;

ბ.მ) ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი;

გ) ამ წესების შესაბამისად, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი:

გ.ა) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში;

გ.ბ) გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში;

დ) ამ წესების შესაბამისად, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული განაწილების ლიცენზიატი, განაწილების ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში.

3. პირი (გარდა სისტემის კომერციული ოპერატორისა), რომელიც აკმაყოფილებს „ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესებით საბითუმო ვაჭრობაში მონაწილისთვის დადგენილ მოთხოვნებს და სურს მონაწილეობა მიიღოს ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში, რეგისტრაციისთვის მიმართავს სისტემის კომერციულ ოპერატორს. პირი საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ უნდა დარეგისტრირდეს თითოეული საქმიანობის მიხედვით ცალ – ცალკე.

4. საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისათვის მაძიებელმა (შემდგომში – მაძიებელი) სისტემის კომერციულ ოპერატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადი საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ დამტკიცებული ფორმით;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის დამოწმებული ასლი (მხოლოდ ლიცენზიანტის შემთხვევაში);

დ) ელექტრულ ქსელთან მიერთების ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც გაცემულია იმ პირის მიერ, რომლის მფლობელობაში არსებულ ელექტრულ ქსელსაც მიერთებულია მაძიებლის მფლობელობაში არსებული ელექტრული ქსელი (მხოლოდ წარმოების, განაწილების ლიცენზიატების, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის და პირდაპირი მომხმარებლის შემთხვევაში), გარდა საცალო მომხმარებლის

ელექტროენერგიის პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაციისა და ამ მუხლის $7^1$ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ე) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის მაძიებლის კუთვნილი აღრიცხვის კვანძ(ებ) ის „ზედა დონის ესკაა სისტემაში“ ჩართვის დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტი. ამ მუხლის $7^1$ პუნქტით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევაში, როდესაც აღრიცხვის კვანძ(ებ) ის „ზედა დონის ესკაა სისტემაში“ ჩართვის დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტი გასხვისებულ ელექტროსადგურზე უკვე გაცემულია, მაძიებელს უფლება აქვს, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნაცვლად, წარმოადგინოს მხოლოდ ინფორმაცია აღრიცხვის კვანძ(ებ) ის „ზედა დონის ესკაა სისტემაში“ ჩართვის დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტის რეკვიზიტების შესახებ;

ვ) ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების ქსელთან მიერთების არსებული აღწერილობა, საბალანსო გაყოფის წერტილების, სააღრიცხვო კვანძებისა და პარამეტრების მითითებით, ასევე ქსელთან მიერთების ცალხაზოვანი სქემა. წარდგენილი დოკუმენტ(ებ)ი გაცემული უნდა იყოს იმ პირის მიერ, რომლის მფლობელობაში მყოფ ქსელთანაც მიერთებულია მაძიებლის მფლობელობაში არსებული ქსელი (საცალო მომხმარებლის ელექტროენერგიის პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაციის შემთხვევაში);

ზ) წერილი საცალო მომხმარებლის სტატუსის არსებობის შესახებ, გაცემული შესაბამისი მიმწოდებლის ან განაწილების ლიცენზიატის მიერ (საცალო მომხმარებლის ელექტროენერგიის პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაციის შემთხვევაში);

თ) ამ წესების 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საბანკო გარანტია (მხოლოდ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, თავისუფალი მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის შემთხვევაში);

ი) საპროგნოზო მოხმარების განსაზღვრისათვის გასული 1 თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, თავისუფალი მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის შემთხვევაში).

$4^1$. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისათვის, მაძიებელმა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს უნდა წარუდგინოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

$4^2$. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.დ“, „ბ.ე“ და „ბ.თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისათვის, რეგისტრაციის მაძიებელმა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს უნდა წარუდგინოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

$4^3$. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ი“, „ბ.კ“, „ბ.ლ“ და „ბ.მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისათვის, რეგისტრაციის მაძიებელმა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს უნდა წარუდგინოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

5. პირდაპირი მომხმარებელი საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირდება იმ მიწოდების პუნქტების მიხედვით, საიდანაც მან უნდა განახორციელოს ელექტროენერგიის მიღება. პირდაპირ მომხმარებელს ეკრძალება აღნიშნული მიწოდების პუნქტებიდან ელექტროენერგიის შესყიდვა როგორც საცალო მომხმარებელს.

$5^1$. ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლის შემთხვევაში, თუ მაძიებელი წარმოადგენს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებულ საწარმოს, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნტებით დადგენილი მოთხოვნებისა, ასევე უნდა წარუდგინოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

6. (ამოღებულია – 04.03.14, N20).

7. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა”, „ბ” და „დ” ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნებისა, მაძიებელმა სისტემის კომერციულ ოპერატორს ასევე უნდა წარუდგინოს უძრავ ნივთზე (ელექტროსადგურზე) მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სისტემის კომერციული ოპერატორის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე საკადასტრო მონაცემები) და საპროექტო სიმძლავრის დამადასტურებელი დოკუმენტი.

$7^1$. საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული პირის მიერ მის მფლობელობაში არსებული ელექტროსადგურის ან პირდაპირი მომხმარებლის ელექტრომეურნეობის (მათ შორის, ელექტროსადგური/ელექტრომეურნეობის, შემადგენელი ელექტრული ქსელი, ელექტროენერგეტიკული

დანადგარები და მოწყობილობები საბალანსო გაყოფის წერტილ(ებ) ამდე) ახალ მფლობელზე გადაცემისას, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გასხვისების შედეგად არ იცვლება გადაცემული ელექტროსადგურის/ელექტრომეურნეობის საბალანსო გაყოფის წერტილ(ებ)ი, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე აღრიცხვის კვანძები (მათ შორის, გენერატორებსა და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებზე არსებული აღრიცხვის კვანძები) და ელექტროსადგურის/ელექტრომეურნეობის დადგმული/მოხმარებული სიმძლავრე, გასხვისებული ენერგეტიკული ობიექტების ახალი მფლობელის (მაძიებლის) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისთვის, იგი (მაძიებელი) ვალდებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს დამატებით წარუდგინოს შესაბამისი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ) ი.

$7^2$. ამ წესების $7^1$ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ შესაბამისი ობიექტის ახალი მფლობელის (მაძიებლის) რეგისტრაციის მომენტიდან ახალ მფლობელზე (მაძიებელზე) გადადის ამ ელექტროსადგურის/ელექტრომეურნეობის მიერთების არსებული და მოქმედი ტექნიკური პირობით, მიერთებაზე არსებული ტექნიკური პროექტით, მიერთებაზე არსებული სათანადო ხელშეკრულებით, აგრეთვე აღრიცხვისა და „ზედა დონის ესკაა სისტემაში“ დაკავშირების ნაწილში არსებული შეთანხმებებით გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებები. შესაბამისი ობიექტის ახალ მფლობელთან (მაძიებელთან) რომელიმე მითითებულ სფეროში ახალი შეთანხმების გაფორმების ან მიერთების ტექნიკური პირობის მოდიფიცირების შემთხვევაში შესაბამის ნაწილში გამოიყენება ახალი შეთანხმება/მოდიფიცირებული ტექნიკური პირობა.

$7^3$. წინამდებარე მუხლის $7^1$ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 3 სამუშაო დღის ვადაში იხილავს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესების მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი წერილობითი ფორმით აცნობებს უარს მაძიებელს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, მაძიებლის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაცია ხორციელდება ელექტროსადგურზე/პირდაპირი მომხმარებლის ელექტრომეურნეობაზე შესაბამისი უფლების ახალი მფლობელის სახელზე შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის დღიდან, ხოლო ლიცენზიატის შემთხვევაში – მაძიებლის სახელზე ლიცენზიის გაცემის თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების ამოქმედების დღიდან.

8. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისობას ამ წესების მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, წერილობითი ფორმით აცნობებს უარს მაძიებელს (გარდა საბითუმო ვაჭრობაში იმპორტიორად, ექსპორტიორად და ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლად რეგისტრაციის მაძიებლისა) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით.

$8^1$. იმპორტიორად, ექსპორტიორად, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლად, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლად, თავისუფალ მიმწოდებლად, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლად და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლად რეგისტრაციის მაძიებლის შემთხვევაში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისობას ამ წესების მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, წერილობითი ფორმით აცნობებს უარს მაძიებელს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს მაძიებელი შეჰყავს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში განაცხადის შემოტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

$8^2$. ამ მუხლის $4^1$ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 3 სამუშაო დღის ვადაში იხილავს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი წერილობითი ფორმით აცნობებს უარს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს,

დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი შეჰყავს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში 2018 წლის 1 მაისიდან.

$8^3$. ამ მუხლის $4^1$ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 3 სამუშაო დღის ვადაში იხილავს განაწილების ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი წერილობითი ფორმით აცნობებს უარს განაწილების ლიცენზიატს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს განაწილების ლიცენზიატი შეჰყავს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში 2021 წლის 1 ივლისიდან.

9. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, მაძიებელი და პირი, რომლის მფლობელობაში არსებულ ელექტრულ ქსელსაც უერთდება მაძიებელი, მომდევნო 5 სამუშაო დღის განმავლობაში ამოწმებენ საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელ აღრიცხვის კვანძებს, მათ შორის, გენერატორებსა და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებზე არსებული აღრიცხვის კვანძებს და ადგენენ საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტს (შემდგომში – აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტი), რომლის ფორმასაც ერთობლივად ამტკიცებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი. ამ პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება:

ა) იმპორტიორის, ექსპორტიორის, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის, გადაცემის ლიცენზიატის, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, თავისუფალი მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციაზე;

ბ) ამ მუხლის $7^1$ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მაძიებლის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციაზე, იმ პირობით, რომ არსებობს აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტი და მათი „ზედა დონის ესკაა სისტემაში“ ჩართვის დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტ(ებ)ი.

10. იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით დადასტურდა ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის გამართულობა, სისტემის კომერციულ ოპერატორს მაძიებელი შეჰყავს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში, აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტის შედგენიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

11. იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით არ დადასტურდა ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის გამართულობა, სისტემის კომერციული ოპერატორი წერილობითი ფორმით აცნობებს უარს მაძიებელს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით, აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტის შედგენიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

12. სისტემის კომერციული ოპერატორი უფლებამოსილია, ამ მუხლში მითითებული მონაცემების დაზუსტების მიზნით, მაძიებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

13. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია პირის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში ჩანაწერის შეტანიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ შესაბამის კვალიფიციურ საწარმოს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს, იმ კვალიფიციურ საწარმოს ან გადაცემის ლიცენზიანტს, რომლის მფლობელობაში არსებულ ელექტრულ ქსელზეც არის მიერთებული საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანილი პირის მფლობელობაში არსებული ელექტრული ქსელი. თუ რეესტრში შეყვანილი პირი წარმოადგენს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებელს, ცნობაში ეს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.

14. ამ მუხლში გათვალისწინებული მონაცემების ცვლილებების შემთხვევაში, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე ვალდებულია ცვლილებებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს სისტემის კომერციულ ოპერატორს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განაცხადი, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

15. პასუხისმგებლობა წარმოდგენილი განაცხადის, ცვლილებების განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის სისწორეზე, აგრეთვე სისტემის კომერციული ოპერატორისათვის დადგენილ ვადაში წარდგენაზე, ეკისრება შესაბამის კვალიფიციურ საწარმოს.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 22.10.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის ბრძანება №25 – ვებგვერდი, 21.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №82 – ვებგვერდი, 25.08.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №20- ვებგვერდი, 19.04.2016წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 8 თებერვლის ბრძანება №8- ვებგვერდი, 09.02.2017წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №1-1/230 - ვებგვერდი, 07.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის ბრძანება №1-1/326 - ვებგვერდი, 31.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი $3^1$. ამოღებულია**

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №82 – ვებგვერდი, 25.08.2015წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის ბრძანება №1-1/326 - ვებგვერდი, 31.05.2018 წ.*

**მუხლი $3^2$. პირდაპირი მომხმარებელი**

1. ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი არის მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისათვის განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს, ასევე ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომხმარებლის გარდა, ნებისმიერი სხვა მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს და ნებაყოფლობით არის რეგისტრირებული საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც პირდაპირი მომხმარებელი.

3. ამ წესების საფუძველზე რეგისტრირებული პირდაპირი მომხარებლის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ობიექტ(ებ)ზე ან მის ნაწილ(ებ)ზე საკუთრების/მფლობელობის უფლების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ახალი მომხმარებელი წარმოადგენს პირდაპირ მომხმარებელს, რომელიც ვალდებულია დარეგისტრირდეს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ ამ წესების შესაბამისად.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის ბრძანება №1-1/326 - ვებგვერდი, 31.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*

**მუხლი 4. საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის გაუქმება**

1. საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაცია შესაძლებელია გაუქმდეს ერთ-ერთი შემდეგი გარემოების დადგომისას:

ა) კომისიის მიერ ლიცენზიის გაუქმება – კომისიის გადაწყვეტილების ამოქმედების დღიდან;

ბ) სათანადო ორგანოს გადაწყვეტილება საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის ლიკვიდაციის შესახებ ან სასამართლოს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების შესახებ – შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების (განჩინების) ძალაში შესვლის დღიდან;

გ) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის მიერ ამ წესების მოთხოვნათა არაერთგზის დარღვევა, რამაც გამოიწვია მისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ – იმ საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, როდესაც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის შეტყობინება წარედგინა სისტემის კომერციულ ოპერატორს;

დ) სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების საფასურის ზედიზედ სამი თვის განმავლობაში გადაუხდელობა – სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ განსაზღვრული საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან;

ე) (ძალადაკარგულია – 13.11.2014, N119);

ვ) (ამოღებულია - 27.06.2018, №1-1/326);

ზ) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის განცხადება საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ – იმ საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, როდესაც განცხადება წარედგინა სისტემის კომერციულ ოპერატორს;

თ) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის ელექტროენერგიის აღრიცხვის სისტემა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან/და არ არსებობს ზედა დონის ესკაა სისტემასთან დაკავშირების დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტი – ასეთ შემთხვევებში საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ შესაბამისი (შეუსაბამო ან დაუკავშირებელი) აღრიცხვის კვანძის ( კვანძების) ნაწილში;

ი) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის მიერ მის მფლობელობაში არსებულ ელექტროსადგურზე/პირდაპირი მომხმარებლის ელექტრომეურნეობაზე უფლების ახალ მფლობელზე გადაცემა – მითითებულ ენერგეტიკულ ობიექტზე უფლების ახალი მფლობელის სახელზე შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის დღიდან, ხოლო ლიცენზიატის შემთხვევაში – კომისიის მიერ ლიცენზიის

გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების ამოქმედების დღიდან;

კ) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე აღარ აკმაყოფილებს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისათვის ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს – ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ განსაზღვრული თარიღიდან;

ლ) საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში – ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ განსაზღვრული თარიღიდან.

2. ლიცენზიანტისათვის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს არ შეიძლება წარმოადგენდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ", „დ" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებები. ასეთ შემთხვევაში, სისტემის კომერციული ოპერატორი ვალდებულია მიმართოს კომისიას შესაბამისი რეაგირებისათვის.

2[1]. ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებელს რეგისტრაცია შესაძლებელია გაუუქმდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „დ", „ზ" და „კ" ქვეპუნტებით განსაზღვრული შემთხვევებში.

2[2]. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს, თავისუფალ მიმწოდებელს, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელსა და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს რეგისტრაცია შესაძლებელია გაუუქმდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „დ", „ზ", „კ" და „ლ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებში.

3. სისტემის კომერციული ოპერატორი ვალდებულია პირის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების ჩანაწერის გაკეთებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს ამის შესახებ პირს, რომელსაც გაუუქმდა საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის რეგისტრაცია ( გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს, ასევე იმ კვალიფიციურ საწარმოს ან გადაცემის ლიცენზიანტს, რომლის მფლობელობაში არსებულ ელექტრულ ქსელზეც არის მიერთებული პირი, რომელსაც გაუუქმდა საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაცია.

4. ამ წესების საფუძველზე პირდაპირი მომხმარებლის სტატუსით რეგისტრაციას აქვს შეუქცევი ხასიათი. შესაბამისად, პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრირებულ პირს უფლება არ აქვს მოითხოვოს საცალო მომხმარებლად რეგისტრაცია. ამასთანავე, პირდაპირ მომხარებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის გაუქმება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. კვალიფიციური საწარმოსათვის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობის რეგისტრაციის გაუქმება არ ათავისუფლებს მას რეგისტრაციის შეწყვეტამდე წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისაგან.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №119 – ვებგვერდი, 14.11.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №82 – ვებგვერდი, 25.08.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 8 თებერვლის ბრძანება №8 – ვებგვერდი, 09.02.2017წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის ბრძანება №1-1/326 - ვებგვერდი, 31.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 4[1]. ელექტროსადგურის მფლობელი პირის, ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტროსადგურის საცდელი გაშვების ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების სპეციალური წესი**

1. ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტროსადგურის საცდელი გაშვების ან/და კომპლექსური გასინჯვის დროს, ელექტროსადგურის მფლობელმა პირმა (შემდგომში „მაძიებელი") საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისათვის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ დამტკიცებული ფორმით;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ელექტრულ ქსელთან მიერთების ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც გაცემულია იმ პირის მიერ, რომლის მფლობელობაში არსებულ ელექტრულ ქსელსაც უერთდება მაძიებლის მფლობელობაში არსებული ელექტრული ქსელი;

დ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის წერილობითი თანხმობა ელექტროსადგურის საცდელი გაშვების ან/და კომპლექსური გასინჯვის შესახებ;

ე) იმ მიღება/მიწოდების პუნქტებში არსებული, საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი აღრიცხვის

კვანძების „ზედა დონის ესკაა სისტემაში" ჩართვის დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტი, საიდანაც მაძიებელმა უნდა განახორციელოს ელექტროენერგიის მიწოდება/მიღება;

ვ) უძრავ ნივთზე (ელექტროსადგურზე) მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საკადასტრო მონაცემები და საპროექტო სიმძლავრის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში) .

2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისობას ამ წესების მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, წერილობითი ფორმით აცნობებს უარს მაძიებელს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებით.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, მაძიებელი და პირი, რომლის მფლობელობაში არსებულ ელექტრულ ქსელსაც უერთდება მაძიებელი, მომდევნო 5 სამუშაო დღის განმავლობაში ამოწმებენ იმ მიღება/მიწოდების პუნქტებში არსებულ საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელ აღრიცხვის კვანძებს, საიდანაც მაძიებელმა უნდა განახორციელოს ელექტროენერგიის მიწოდება/მიღება და ადგენენ საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტს, ამ წესების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტით დამტკიცებული ფორმით.

4. იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით დასტურდება მიღება/მიწოდების პუნქტებში არსებული საანგარიშსწორებო მრიცხველების გამართულობა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს მაძიებელი შეჰყავს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში, აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

5. იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით არ დასტურდება მიღება/მიწოდების პუნქტებში არსებული საანგარიშსწორებო მრიცხველების გამართულობა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი წერილობითი ფორმით აცნობებს უარს მაძიებელს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით, აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

6. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია, პირის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში ჩანაწერის შეტანიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ შესაბამის კვალიფიციურ საწარმოს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, იმ კვალიფიციურ საწარმოს ან გადაცემის ლიცენზიატს, რომლის მფლობელობაში არსებულ ელექტრულ ქსელზეც არის მიერთებული საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანილი პირის მფლობელობაში არსებული ელექტრული ქსელი.

7. პასუხისმგებლობა წარმოდგენილი განაცხადის და შესაბამისი დოკუმენტაციის სისწორეზე ეკისრება მაძიებელს.

8. ამ მუხლის შესაბამისად საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებულ პირს რეგისტრაცია გაუუქმდება რეგისტრაციიდან 90 კალენდარული დღის გასვლის ან პირის იმავე ელექტროსადგურის ნაწილში წარმოების ლიცენზიატად ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურად – კვალიფიციურ საწარმოდ რეგისტრაციის შემთხვევაში, ამ გარემოებებიდან რომელიმეს დადგომის დღიდან.

9. თუ რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული 90 კალენდარული დღის გასვლა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია, პირის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების ჩანაწერის გაკეთებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს ამის შესახებ პირს, რომელსაც გაუუქმდა საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის რეგისტრაცია და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, ასევე იმ კვალიფიციურ საწარმოს ან გადაცემის ლიცენზიატს, რომლის მფლობელობაში არსებულ ელექტრულ ქსელზეც არის მიერთებული პირი, რომელსაც გაუუქმდა საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაცია.

10. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის შესაბამისად საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული პირი, მისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზ(ებ)ის გამო, ამ მუხლის შესაბამისად დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 90 კალენდარული დღის ვადაში ვერ დაასრულებს ელექტროსადგურის საცდელ გაშვებას ან/და კომპლექსურ გასინჯვას, აღნიშნულ პირს შეუძლია, მხოლოდ ერთხელ, გამოიყენოს ამ მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი უფლება:

ა) მოითხოვოს რეგისტრაციის პერიოდის გაგრძელება, რის თაობაზეც დასაბუთებული წერილით მიმართავს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული 90 კალენდარული დღის გასვლამდე არანაკლებ 1 სამუშაო დღით ადრე;

ბ) ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული 90 კალენდარული დღის გასვლის საფუძველზე რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ, ნებისმიერ დროს წარუდგინოს განაცხადი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

11. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის შესაბამისად საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული პირი, გამოიყენებს:

ა) ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებას, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ელექტროსადგურის საცდელი გაშვების ან/და კომპლექსურ გასინჯვისთვის დადგენილ სარეგისტრაციო პერიოდს გააგრძელებს არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ოდენობით.

ბ) ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებას, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისობას ამ წესების მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, წერილობითი ფორმით აცნობებს უარს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის თაობაზე, ხოლო შესაბამისობის შემთხვევაში განახორციელებს პირის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციას არაუმეტეს 60 კალენდარული დღის ოდენობით;

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებულ პირს რეგისტრაცია გაუუქმდება ამ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვადის გასვლის ან პირის იმავე ელექტროსადგურის ნაწილში წარმოების ლიცენზიატად ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურად – კვალიფიციურ საწარმოდ რეგისტრაციის შემთხვევაში, ამ გარემოებებიდან რომელიმეს დადგომის დღიდან.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია, პირის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების ჩანაწერის გაკეთებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს ამის შესახებ პირს, რომელსაც გაუუქმდა საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის რეგისტრაცია და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, ასევე იმ კვალიფიციურ საწარმოს ან გადაცემის ლიცენზიატს, რომლის მფლობელობაში არსებულ ელექტრულ ქსელზეც არის მიერთებული პირი, რომელსაც გაუუქმდა საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაცია.

14. საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული უფლებებიდან ერთჯერადად ისარგებლოს მხოლოდ ერთ-ერთი უფლებით.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №20- ვებგვერდი, 19.04.2016წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 13 იანვრის ბრძანება №1-1/4 - ვებგვერდი, 15.01.2021 წ.*

**მუხლი 4$^{2}$. საცალო მომხმარებლის ელექტროენერგიის პირდაპირ მომხმარებლად სავალდებულო რეგისტრაციის წესი**

1. საცალო მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისათვის განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს, ამავე დადგენილებით განსაზღვრული თარიღიდან უნდა დარეგისტრირდეს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც პირდაპირი მომხმარებელი.

2. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ თარიღამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წარუდგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცალო მომხმარებლების ჩამონათვალი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული მომხმარებლების ქსელთან მიერთების წერტილების სია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საცალო მომხმარებელი, ამ მუხლის პირველ პუნტში მითითებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული თარიღიდან აღარ წარმოადგენს საცალო მომხმარებელს.

4. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ თარიღამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საცალო მომხმარებელს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული თარიღიდან საცალო მომხმარებლის სტატუსის გაუქმების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც პირდაპირი მოხმარებელი, რეგისტრაციის მაძიებელმა, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ თარიღამდე არანაკლებ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღით ადრე, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს უნდა წარუდგინოს ამ წესების მე-3 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი მაძიებლის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციას ახორციელებს ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

6. თუ ამ წესების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული აღრიცხვის კვანძების შემოწმების

აქტით დადასტურდა ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის გამართულობა, მაძიებლის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული თარიღიდან.

7. თუ ამ წესების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით არ დადასტურდა ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის გამართულობა, მაძიებლის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული თარიღიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად კომისიის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრული არის ხარვეზის გამოსწორების ვადა.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის ბრძანება №1-1/326 - ვებგვერდი, 31.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 5. საბითუმო ვაჭრობის ტექნიკური სტანდარტების ზოგადი პრინციპები**

1. კვალიფიციური საწარმო, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია:

ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დაამონტაჟოს, ააწყოს, გაარემონტოს, მზადყოფნაში იქონიოს და ექსპლუატაცია გაუწიოს მის ხელთ არსებულ საშუალებებს;

ბ) ოპტიმალურ ვადებში მოიყვანოს ძირითადი საშუალებანი საიმედო საექსპლუატაციო მდგომარეობაში;

გ) სისტემის კომერციულ ოპერატორს მიაწოდოს ინფორმაცია მისი ფუნქციების სრულყოფილად განხორციელების მიზნით.

2. კვალიფიციური საწარმო და გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია დაუქვემდებაროს მის ხელთ არსებული საშუალებები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. ამ პირობის დაცვით კვალიფიციური საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამა თუ იმ საშუალების დატვირთვის მიზანშეწონილობას და ხარისხს; კვალიფიციურ საწარმოს შეუძლია გამოიყვანოს თავისი საშუალებანი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის დაქვემდებარებიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ.

3. კვალიფიციური საწარმოები (ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისა და ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის გარდა) ვალდებული არიან ყოველდღიურად მიაწოდონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ინფორმაცია, მიწოდების და მიღების პუნქტებში არსებულ მრიცხველებზე ფაქტობრივად დაფიქსირებული მონაცემების შესახებ.

4. კვალიფიციური საწარმოები (ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, თავისუფალი მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლისა და ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის გარდა) ვალდებულნი არიან მიწოდება-მიღების ყველა პუნქტში, აგრეთვე ელექტროენერგიის მწარმოებლების გენერატორებსა და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებზე გამოყენებულ მინაერთებზე არსებული მრიცხველები ჩართონ/დაუკავშირონ ზედა დონის ესკაა სისტემაში/სისტემას და უზრუნველყონ ამ მრიცხველებზე დაფიქსირებული ინფორმაციის ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის გადაცემა, სულ მცირე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდულობით.

5. კვალიფიციური საწარმოები (ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, თავისუფალი მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლისა და ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის გარდა) უფლებამოსილნი არიან მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას, ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, დროებით (არაუმეტეს 24 სთ-სა კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში) შეაჩერონ მიწოდება-მიღების პუნქტ(ებ)ში, აგრეთვე ელექტროენერგიის მწარმოებლების გენერატორებსა და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებზე გამოყენებულ მინაერთებზე არსებული მრიცხველების დაკავშირებულობა/ჩართულობა ზედა დონის ესკაა სისტემასთან.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 6. ამოღებულია**

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*

**მუხლი 7. ამოღებულია**

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/2/411 – სსმ IV, №62, 23.12.2008 წ., გვ.1*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

## თავი III
## პირდაპირი ხელშეკრულებები

**მუხლი 8. პირდაპირი ხელშეკრულების მხარეები**

1. ელექტროენერგიის ნასყიდობის შესახებ პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია კვალიფიციურ საწარმოებს შორის, აგრეთვე კვალიფიციურ საწარმოებსა და გადაცემის ან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტებს შორის, რომელთაც „ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ ” საქართველოს კანონისა და ამ წესების შესაბამისად მინიჭებული აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში.

2. თუ, ერთი მხრივ, წარმოების ლიცენზიატი, იმპორტიორი, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებელი ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური და, მეორე მხრივ, პირდაპირი მომხმარებელი, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებელი ან ექსპორტიორი ერთი და იგივე პირია, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) პირდაპირ ხელშეკრულებას ცვლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიღების შესახებ განაცხადი, რომელიც განსახორციელებლად საჭიროებს იგივე პირობებისა და პროცედურების დაკმაყოფილებას, როგორც პირდაპირი ხელშეკრულების შემთხვევაში.

3. ელექტროენერგიის ნასყიდობის შესახებ პირდაპირი ხელშეკრულება იდება ამ წესების პირობათა დაცვით. ელექტროენერგიის ნასყიდობის შესახებ პირდაპირი ხელშეკრულება, სხვა პირობებთან ერთად, სავალდებულოდ უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე მისაწოდებელი ელექტროენერგიის რაოდენობას ან რაოდენობის განსაზღვრის წესს;

ბ) მისაწოდებელი ელექტროენერგიის თვიურ და დღიურ საორიენტაციო რაოდენობას;

გ) მისაწოდებელი ელექტროენერგიის ერთეულის ფასს;

დ) ელექტროენერგიის მიწოდების დაწყებისა და დამთავრების ზუსტ დროს, ზუსტი თარიღის მითითებით;

ე) ელექტროენერგიის მიწოდების პირობებს;

ვ) იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი ხელშეკრულების ერთ – ერთი მხარე ელექტროენერგიის მწარმოებელია – იმ ელექტროსადგურის დასახელებას, რომლის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდებაც წარმოადგენს პირდაპირი ხელშეკრულების საგანს;

ზ) პირდაპირი ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს.

4. პირდაპირი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების განაცხადის ფორმას (სახელშეკრულებო განაცხადი) ადგენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი სისტემის კომერციულ ოპერატორთან შეთანხმებით.

5. ორმხრივად ხელმოწერილი სახელშეკრულებო განაცხადი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს სარეგის – ტრაციოდ წარედგინება პირდაპირ ხელშეკრულებასთან ერთად. სახელშეკრულებო განაცხადი წარმოადგენს პირდაპირი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი ელექტროსადგურის მფლობელი კვალიფიციური საწარმოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება მის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის კონკრეტული რაოდენობის ქვეყნის შიდა მომხმარებლებზე მიწოდების მიზნით რეალიზაციის თაობაზე, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საცალო მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვისას, ფასის კრიტერიუმის გათვალისწინებით უპირატესობა მიანიჭოს ამ მარეგულირებელი ელექტროსადგურის მიერ წარმოებულ ელექტროენერგიას.

7. მარეგულირებელი ელექტროსადგურის მფლობელი კვალიფიციური საწარმო ვალდებულია ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მიღებული ყოველი გადაწყვეტილების თაობაზე, 5 დღის ვადაში აცნობოს უნივერსალურ მიმწოდებელს, ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორს და სისტემის კომერციულ ოპერატორს.

8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების დებულებები არ ზღუდავს ამ წესებით და მოქმედი

კანონმდებლობით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებას.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2013 წლის 22 მარტის ბრძანება №51 – ვებგვერდი, 22.03.2013წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 8[1]. სახელშეკრულებო ვალდებულებები**

1. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის მყიდველის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა ნაკლებია პირდაპირი ხელშეკრულების (პირდაპირი ხელშეკრულებების) საფუძველზე შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობაზე, ელექტროენერგიის გამყიდველი (ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის გარდა) სუბიექტი (სუბიექტები) ითვლება მიერთებულად ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან დარეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან და წარმოადგენს ამ ელექტროენერგიის (საბალანსო ელექტროენერგიის) გამყიდველს სისტემის კომერციულ ოპერატორზე

2. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის გამყიდველის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა ნაკლებია პირდაპირი ხელშეკრულების (პირდაპირი ხელშეკრულებების) საფუძველზე მისაწოდებელი (გასაყიდი) ელექტროენერგიის რაოდენობაზე, ელექტროენერგიის მყიდველი სუბიექტი (სუბიექტები) (ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის გარდა) ითვლება მიერთებულად ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან დარეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებთან და წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველს სისტემის კომერციულ ოპერატორზე.

2[1]. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის მიერ ელექტროენერგიის პირდაპირ მომხმარებელზე (პირდაპირ მომხმარებლებზე) ან ექსპორტიორზე (ექსპორტიორებზე) პირდაპირი ხელშეკრულების (პირდაპირი ხელშეკრულებების) საფუძველზე მიწოდებული (გაყიდული) ელექტროენერგიის რაოდენობა ნაკლებია, ელექტროენერგიის მწარმოებლის (მწარმოებლების) ან იმპორტიორისაგან (იმპორტიორებისაგან), შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობაზე, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლზე ელექტროენერგიის გამყიდველი სუბიექტი (სუბიექტები) ითვლება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან დარეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან და წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიის გამყიდველს სისტემის კომერციულ ოპერატორზე.

2[2]. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის მიერ ელექტროენერგიის მწარმოებლის (მწარმოებლების) ან იმპორტიორისაგან (იმპორტიორებისაგან) პირდაპირი ხელშეკრულების (პირდაპირი ხელშეკრულებების) საფუძველზე შესყიდული, ან მისი იმპორტის ხელშეკრულების საფუძველზე იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა ნაკლებია, პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე მისაწოდებელი (გასაყიდი) ელექტროენერგიის რაოდენობაზე, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლისაგან ელექტროენერგიის შემსყიდველი სუბიექტი (სუბიექტები) ითვლება მიერთებულად ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან დარეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებთან და წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველს სისტემის კომერციულ ოპერატორზე.

3. ელექტროენერგიის ნასყიდობის შესახებ პირდაპირი ხელშეკრულება უნდა იძლეოდეს ელექტროენერგიის მიწოდებასა და მიღებასთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულებების ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*

**მუხლი 9. პირდაპირი ხელშეკრულების სავალდებულო რეგისტრაცია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან**

1. პირდაპირი ხელშეკრულება სავალდებულოა სარეგისტრაციოდ წარედგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ხელშეკრულების მოქმედების დაწყებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

2. რეგისტრაციისათვის აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ა) (ამოღებულია);

ბ) ორივე მხარის შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ სახელშეკრულებო განაცხადისა და პირდაპირი ხელშეკრულების ყველა გვერდსა (გარდა იმპორტისა და ექსპორტის ხელშეკრულებისა) და დანართებზე ხელმოწერილი სამი დედანი;

გ) (ამოღებულია);

დ) განაწილების ლიცენზიატის კუთვნილი ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა ან/და მიღების შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატთან გაფორმებული ხელშეკრულება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გატარების მომსახურებაზე;

ე) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის წერილობითი თანხმობა წარმოდგენილი ხელშეკრულების რეგისტრაციაზე (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის გამყიდველს წარმოადგენს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებელი).

$2^{1}$. ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის შესყიდვის შესახებ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებები ან/და ხელშეკრულება ელექტროენერგიის იმპორტზე და იმავე საანგარიშო პერიოდში პირდაპირ მომხმარებლებზე ან/და ექსპორტიორებზე ელექტროენერგიის გაყიდვის შესახებ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებები სავალდებულოა სარეგისტრაციოდ წარედგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ერთდროულად;

$2^{2}$. ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში პირდაპირი ხელშეკრულებების პირობებით შესასყიდი ან/და ელექტროენერგიის იმპორტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობა ტოლი უნდა იყოს იმავე საანგარიშო პერიოდში პირდაპირ მომხმარებლებზე ან/და ექსპორტიორებზე პირდაპირი ხელშეკრულებების პირობებით გასაყიდი ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობისა;

3. პირდაპირი ხელშეკრულება ძალაში შედის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან რეგისტრაციის შემდეგ.

4. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია უარი განაცხადოს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციაზე, თუ:

ა) პირდაპირი ხელშეკრულების მხარე არ წარმოადგენს კვალიფიციურ საწარმოს პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ნაწილში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირდაპირი ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი), ხოლო ამ წესების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შემთხვევაში – არც ერთი მხარე არ წარმოადგენს კვალიფიციურ საწარმოს იმპორტისა და ექსპორტის საქმიანობის ნაწილში;

ბ) დარღვეულია პირდაპირი ხელშეკრულების სარეგისტრაციოდ წარმოდგენის ვადები;

გ) დარღვეულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები;

დ) პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დისპეტჩირება შეუძლებელია ან/და ამ პირდაპირი ხელშეკრულების განხორციელებამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს სისტემის ოპერატიულ-დისპეტჩერულ მართვას;

$დ^{1)}$ დარღვეულია ამ მუხლის $2^{1}$ ან/და $2^{2}$ პუნქტის მოთხოვნები;

ე) სარეგისტრაციო განაცხადში და/ან პირდაპირ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო პირობა;

$ე^{1}$) სახელშეკრულებო განაცხადში მითითებული მონაცემები და პირობები ეწინააღმდეგება პირდაპირ ხელშეკრულებაში ასახულ მონაცემებსა და პირობებს;

ვ) შესაბამისი კვალიფიციური საწარმოს მიერ არ არის დარეგისტრირებული შესაბამისი ხელშეკრულება ელექტროენერგიის გადაცემის, დისპეტჩერიზაციის ან/და გატარების მომსახურების ნასყიდობაზე;

ზ) ელექტროენერგიის ექსპორტზე გაფორმებულ პირდაპირ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული ამ წესების $14^{5}$ მუხლის მე-5 პუნქტის პირობა.

5. (ამოღებულია – 04.03.14, N20).

6. თუ ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი პირდაპირი ხელშეკრულების წარმოდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ორივე მხარეს არ გაუგზავნის შეტყობინებას ხელშეკრულების რეგისტრაციაზე უარის შესახებ, ხელშეკრულება ითვლება რეგისტრირებულად და იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს ხელშეკრულების რეგისტრაცია და მიანიჭოს მას სარეგისტრაციო ნომერი.

7. ნებისმიერი ცვლილებების განხორციელება პირდაპირ ხელშეკრულებაში სარეგისტრაციოდ საჭიროებს იგივე პროცედურებს, რასაც პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაცია.

8. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია პირდაპირი ხელშეკრულების ან პირდაპირი ხელშეკრულების ცვლილების რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს პირდაპირი ხელშეკრულების ან პირდაპირი ხელშეკრულების ცვლილების ასლი სისტემის კომერციულ ოპერატორს.

9. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ასევე მისი ცვლილებებისა და დამატებების დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან რეგისტრაცია სავალდებულოა. ხელშეკრულების სტანდარტული

პირობები (აგრეთვე მისი ცვლილებები ან დამატებები) კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ, კომისიის შესაბამის აქტთან ერთად, სარეგისტრაციოდ წარედგინება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს.

10. ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების, მისი ცვლილებებისა და დამატებების, რეგისტრაციაზე არ ვრცელდება ამ წესების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

11. კომისიის მიერ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების (მისი ცვლილების ან დამატების) დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი არ არეგისტრირებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს (მის ცვლილებას ან დამატებას) .

12. ხელშეკრულებების სტანდარტული პირობები ძალაში შედის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ რეგისტრაციის შემდეგ.

13. შესაბამისი პირი ვალდებულია კომისიის მიერ სტანდარტული პირობების (აგრეთვე მისი ცვლილებების ან დამატებების) დამტკიცებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს მისი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან რეგისტრაცია.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის ბრძანება №25 – ვებგვერდი, 21.03.2014წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*

### მუხლი 10. პირდაპირი ხელშეკრულების ან რეგისტრაციის შეწყვეტა

1. პირდაპირი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ განაცხადი სავალდებულოა სარეგისტრაციოდ წარედგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეწყვეტამდე არაუგვიანეს 15 დღისა.

2. პირდაპირი ხელშეკრულების შეწყვეტის რეგისტრაცია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ იწვევს პირდაპირი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას.

3. (ამოღებულია).

4. პირდაპირი ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის თაობაზე, ხელშეკრულების მხარეების ერთობლივი მიმართვის შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, აცნობოს მხარეებს მოთხოვნილი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განცხადების შეტანის დღიდან 25 კალენდარულ დღეს.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია შეწყვიტოს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაცია, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი ან ორივე მხარე ან/და ხელშეკრულება აღარ აკმაყოფილებს ამ წესების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია 5 დღით ადრე მაინც აცნობოს პირდაპირი ხელშეკრულების მონაწილე მხარეებსა და სისტემის კომერციულ ოპერატორს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციის შეწყვეტის თაობაზე, შეწყვეტის გამომწვევი მიზეზების მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირდაპირი ხელშეკრულების მონაწილე მხარე აღარ წარმოადგენს კვალიფიციურ საწარმოს.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

### მუხლი $10^1$. საპროექტო კომპანიის პირდაპირი ხელშეკრულებების რეგისტრაციის სპეციალური წესები

1. საპროექტო კომპანიის მიერ დადებული ხელშეკრულება (პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერგიის გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე, პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერგიის ექსპორტზე, ხელშეკრულება ელექტროენერგიის ექსპორტზე), ასევე ამ წესების $14^1$ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურების დარეზერვებაზე სავალდებულოა წინარე რეგისტრაციისთვის წარედგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში. ამ წესების $14^1$ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურების დარეზერვებაზე, ასეთის ცალკე გაფორმების შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ რეგისტრირდება განმასხვავებელი ნუმერაციის გამოყენებით.

2. წინარე რეგისტრაციისთვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ხელშეკრულების ყველა მხარის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ სახელშეკრულებო განაცხადისა და შესაბამისი ხელშეკრულების ყველა გვერდსა (გარდა ექსპორტის ხელშეკრულებისა) და დანართზე ხელმოწერილი სამი დედანი;

ბ) განაწილების ლიცენზიატის კუთვნილი ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდების შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატთან გაფორმებული ხელშეკრულება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გატარების მომსახურებაზე.

3. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უარს აცხადებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ხელშეკრულების წინარე რეგისტრაციაზე, თუ:

ა) დარღვეულია ამ მუხლის მოთხოვნები;

ბ) სარეგისტრაციო განაცხადში ან/და შესაბამის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი პირობა, მათ შორის ხელშეკრულების ძალაში შესვლის პირობები და ვადები;

გ) სახელშეკრულებო განაცხადში მითითებული მონაცემები და პირობები ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში ასახულ მონაცემებსა და პირობებს;

დ) არ არის განხორციელებული ელექტროენერგიის გადაცემის, დისპეტჩერიზაციის ან/და გატარების მომსახურებაზე შესაბამისი ხელშეკრულების წინარე რეგისტრაცია.

4. თუ ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ხელშეკრულების წინარე რეგისტრაციისთვის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულების ყველა მხარეს არ გაუგზავნის შეტყობინებას ხელშეკრულების რეგისტრაციაზე უარის შესახებ, ხელშეკრულების წინარე რეგისტრაცია ჩაითვლება შესრულებულად და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს ასეთი ხელშეკრულების წინარე რეგისტრაცია და მიანიჭოს მას სარეგისტრაციო ნომერი. წინარე რეგისტრაციის დროს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია დამატებით განუსაზღვროს საპროექტო კომპანიას შესატყვისი ხელშეკრულების წინარე რეგისტრაციის მიერ პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციის სტატუსის შეძენის პირობები, მათ შორის ნოტარიალურად დამოწმებული ქართულ ენაზე თარგმანის წარმოდგენის პირობა, თუ ხელშეკრულება უცხოენოვანია.

5. ნებისმიერი ცვლილება ამ მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში წინარე რეგისტრაციის მიზნებისთვის საჭიროებს იგივე პროცედურებს, რასაც საკუთრივ ხელშეკრულების წინარე რეგისტრაცია.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ განაცხადი სავალდებულოა სარეგისტრაციოდ წარედგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ხელშეკრულების შეწყვეტამდე არაუგვიანეს 15 დღისა.

7. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი შეწყვეტს ამ მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების წინარე რეგისტრაციას თუ ხელშეკრულების მხარე – საპროექტო კომპანია აღარ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან/და თუ საქართველოში შესაბამისი ახალი ელექტროსადგურის მშენებლობაზე დადებული შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან შეწყვეტს მოქმედებას.

8. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია 5 დღით ადრე მაინც აცნობოს ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს ხელშეკრულების წინარე რეგისტრაციის შეწყვეტის თაობაზე, შეწყვეტის გამომწვევი მიზეზების მითითებით.

9. წინარე რეგისტრაციის მქონე ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და ამოქმედებისთვის საჭირო ყველა პირობის დაკმაყოფილების შემდეგ საპროექტო კომპანია ამის თაობაზე სათანადო შეტყობინებას დამადასტურებელი საბუთებით წარუდგენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს სათანადოდ შევსებულ შესაბამის სახელშეკრულებო განაცხადთან ერთად. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამოწმებს საპროექტო კომპანიის შეტყობინებას და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და ამოქმედებისთვის ყველა პირობის დაკმაყოფილების მდგომარეობას (მათ შორის ამ წესების მე-9 მუხლის იმ მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც არ მოდიან წინააღმდეგობაში ამ მუხლის პირობებთან) , რის შედეგადაც 5 სამუშაო დღის ვადაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ხელშეკრულების წინარე რეგისტრაციისთვის პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციის სტატუსის მინიჭების შესახებ;

ბ) ხელშეკრულების წინარე რეგისტრაციის მიერ პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციის სტატუსის მისანიჭებლად შესასრულებელი პირობების გამოვლენის შესახებ.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის„ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შემთხვევაში საპროექტო კომპანია უფლებამოსილია ხელახლა მიმართოს შეტყობინებით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელი შესასრულებელი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ.

*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი 2013 წლის 1 მაისის ბრძანება №83 – ვებგვერდი, 02.05.2013წ.*

### მუხლი 11. ინფორმაციის საჯაროობა

1. კვალიფიციური საწარმოები ვალდებულნი არიან, გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც ამ

წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიჩნეულია ღია ინფორმაციად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითვალისწინებს მესამე პირებისათვის ამ ინფორმაციის მიუწოდებლობის პირობას.

2. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და სისტემის კომერციული ოპერატორი ვალდებულნი არიან ამ წესებით მიჩნეული ღია ინფორმაცია განათავსონ (გამოაცხადონ) ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე (მათ შორის ოფიციალურ ვებ გვერდზე) ; გამოცხადებული ინფორმაციის განახლება უნდა მოხდეს უმოკლეს ვადაში – ბოლოს განახლების დროისა და თარიღის მითითებით.

3. ამ წესების შესაბამისად ღია ინფორმაციად მიიჩნევა შემდეგი:

ა) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესყიდული და გაყიდული ელექტროენერგიის მოცულობები – ელექტროენერგიის ფასის მითითებით;

ბ) საანგარიშო პერიოდში გადამცემ ქსელში ფაქტიური დანაკარგები (ძაბვის საფეხურების მითითებით);

გ) შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობებისა და ფასების შესახებ;

დ) ელექტროენერგეტიკულ სისტემაში წინასწარ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულების გარეშე არსებული ელექტროენერგიის მოცულობებისა და გამყიდველის მხრიდან შემოთავაზებული ფასის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) .

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე (მათ შორის ოფიციალურ ვებ გვერდზე) განათავსოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ზედა დონის ესკაა სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფასთან დადასტურებულად თავსებადი მრიცხველების ჩამონათვალი, მრიცხველების ტიპის/მოდიფიკაციის მითითებით;

ბ) მონაცემები კვალიფიციური საწარმოების საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე აღრიცხვის კვანძების ზედა დონის ესკაა სისტემასთან ჩართულობის შესახებ. მონაცემები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კვალიფიციური საწარმოების აღრიცხვის კვანძების საერთო რაოდენობის, ზედა დონის ესკაა სისტემასთან თავსებადი, მასში ჩართული და ასევე ზედა დონის ესკაა სისტემასთან არათავსებადი აღრიცხვის კვანძების რაოდენობების შესახებ.

5. ავტომატიზებული აღრიცხვის სისტემის მონაცემებზე დაშვება და ხელმისაწვდომობა კვალიფიციური საწარმოსთვის შემოიფარგლება იმ მონაცემებზე დაშვებით, რომლებიც უშუალო კავშირშია მის საქმიანობასთან/ანგარიშსწორებასთან და არ მოიცავს ინფორმაციას სხვა პირების საქმიანობის შესახებ, გარდა ბაზრის ოპერატორისა, რომლის დაშვების ხარისხი და ხელმისაწვდომობა განისაზღვრება კაა სისტემისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებით. დაშვების მიღებისთვის საჭიროა არსებობდეს შესაბამისი ორმხრივი შეთანხმება, ერთი მხრივ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტსა და მეორე მხრივ კვალიფიციურ საწარმოს (გარდა ბაზრის ოპერატორისა) შორის. ავტომატიზებული აღრიცხვის სისტემის მონაცემებზე დაშვება შეზღუდულია ყველა სხვა პირისთვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ დადებული ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

## თავი IV
## საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა

### მუხლი 12. ამოღებულია

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №67 – სსმ III, №127, 11.09.2007წ., მუხ.1390*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

### მუხლი 13. საბალანსო ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობა სისტემის კომერციული ოპერატორის მეშვეობით

1. საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა ხდება მხოლოდ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მეშვეობით. საბალანსო ელექტროენერგიის ყიდვა – გაყიდვა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მეშვეობით ხდება როგორც პირდაპირი ხელშეკრულებებით, ისე პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით (შემდგომში „სტანდარტული პირობები ") .

2. როგორც სტანდარტული პირობები, ასევე მასში განხორციელებული ყველა ცვლილება და დამატება, მის ძალაში შესვლამდე არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეებს ან საჯაროდ გამოქვეყნდეს სისტემის კომერციული ოპერატორის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. სტანდარტული პირობები უნდა არეგულირებდეს შემდეგ საკითხებს:

ა) საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვისა და შესყიდვის პირობებს;
ბ) საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის პირობებს;
გ) სისტემის კომერციული ოპერატორისაგან საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველებისათვის – საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის უზრუნველყოფის საშუალებებს, მათ შორის, პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობას;
დ) საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვასა და შესყიდვასთან დაკავშირებულ სხვა პირობებს.
4. სისტემის კომერციული ოპერატორი კვალიფიციური საწარმოებისაგან – ელექტროენერგიის მწარმოებ – ლებისაგან და იმპორტიორებისაგან სტანდარტული პირობებით სავალდებულო წესით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში:
ა) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებელი კვალიფიციური საწარმოს მიერ სალტეზე მიწოდებელი ელექტროენერგიის რაოდენობასა და მის მიერ პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე გაყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობას (საბალანსო ელექტროენერგია);
ბ) იმპორტიორის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობასა და მის მიერ იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე გაყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობას (საბალანსო ელექტროენერგია).
5. იმ ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული (სალტეზე მიწოდებული) ელექტროენერგიის ის რაოდენობა, რომელიც ელექტროსადგურის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსა და სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის მოქმედი კანონმდებლობის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად, გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე სავალდებულო წესით არის შესყიდული სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ, წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
$5^{1}$. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ მწარმოებელთან (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მწარმოებლებისა) ან იმპორტიორთან გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგია წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
$5^{2}$. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ტრანზიტის დამკვეთ საწარმოსთან ტრანზიტის გადახრებზე ამ წესების $14^{8}$ მუხლით გათვალისწინებული იმპორტის ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგია წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
$5^{3}$. (ამოღებულია – 13.07.2015, №69).
$5^{4}$. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ტრანზიტის დამკვეთ საწარმოსთან ტრანზიტის გადახრებზე ამ წესების $14^{8}$ მუხლით გათვალისწინებული იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგია წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას.
6. სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ საანგარიშო პერიოდში იმპორტირებული ელექტროენერგია (მათ შორის, ავარიულ სიტუაციებში სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგია) , რომელიც არ იქნა გაყიდული კვალიფიციურ საწარმოსთან გაფორმებული იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას.
7. სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის ექსპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული და ექსპორტირებული, ასევე იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე გაყიდული იმპორტირებული ელექტროენერგია არ წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას.
8. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ საანგარიშო პერიოდში ამ მუხლის მე-4, მე-5, $5^{1}$ $5^{2}$ და $5^{4}$ პუნქტების საფუძველზე შესყიდული, ასევე ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგია ელექტროენერგიის მყიდველ კვალიფიციურ საწარმოებზე იყიდება პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.
9. კვალიფიციური საწარმოები – პირდაპირი მომხმარებლები, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, თავისუფალი მიმწოდებელი, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი და ექსპორტიორები, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდიან მათ მიერ საანგარიშო პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობასა და პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობის შესატყვის ელექტროენერგიას, რომელიც წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას. ამ პუნქტის მიზნებისათვის, პირდაპირ მომხმარებელს, მხოლოდ ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში, ასევე წარმოადგენს ელექტროენერგიის (სიმძლავრის)

მწარმოებელი, რომელიც საბალანსო ელექტროენერგიას შეისყიდის ელექტროენერგიის საერთო სასადგურო დანახარჯის უზრუნველსაყოფად.

10. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში 23-ე მუხლის $3^1$ პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ გადამცემ ქსელში დანაკარგების შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობას, რომელიც წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას.

$10^1$. განაწილების ლიცენზიატი გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში 23-ე მუხლის $3^2$ პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობას, რომელიც წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას.

11. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში 23-ე მუხლის $3^1$ პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგის შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობასა და აღნიშნული მიზნებისათვის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობის შესატყვის ელექტროენერგიას, რომელიც წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 7 ივნისის №70 ბრძანება – ვებგვერდი, 08.06.2011წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 5 თებერვლის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 06.02.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №69 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 20 მაისის ბრძანება №30 – ვებგვერდი, 23.05.2016წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №1-1/230 - ვებგვერდი, 07.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

### მუხლი 14. სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესყიდული და გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება

1. სტანდარტული პირობების ფარგლებში სისტემის კომერციული ოპერატორი საბალანსო ელექტროენერგიის მომწოდებლებთან ანგარიშსწორებას ახორციელებს:

ა) ფიქსირებული ტარიფის მქონე მარეგულირებელი ელექტროსადგურის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსთან – კომისიის მიერ დადგენილი წარმოების ტარიფით;

ბ) რეგულირებადი ზედა ზღვრული ტარიფის მქონე ელექტროსადგურის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსთან (გარდა ამ მუხლის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა) კომისიის მიერ შესაბამისი კვალიფიციური საწარმოსათვის დადგენილი წარმოების ტარიფის ზედა ზღვრით;

გ) თბოელექტროსადგურის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსთან (რომელიც არ არის განსაზღვრული შესაბამის პერიოდში გარანტირებული სიმძლავრის წყაროდ საქართველოს მთავრობის მიერ) – კომისიის მიერ დადგენილი წარმოების ტარიფის ზედა ზღვრით;

დ) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსთან, გარდა ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა – გარანტირებულის სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის ზედა ზღვრით;

ე) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსთან, მისი მოთხოვნის საფუძველზე, ტესტირების დროს გამომუშავებულ (სალტეზე მიწოდებულ) ელექტროენერგიაზე – შესაბამის საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შესყიდული (გარდა ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიისა), $1^1$, $1^2$, $1^4$ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასით, რომლის ფორმირებაშიც არ მონაწილეობს ამ მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობა და ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის კომისიის მიერ დადგენილი ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის ზედა ზღვრისა.

ვ) დერეგულირებული მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსთან – ამ წესების $36^1$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

ზ) იმპორტიორთან (გარდა სისტემის კომერციული ოპერატორისა):

ზ.ა.) ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე – სტანდარტული პირობების, ასევე ამ წესების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებლების მიერ სისტემის კომერციულ ოპერატორზე გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის წარმოების ყველაზე მაღალი ტარიფით (ფასით) , მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი იმპორტისათვის კომისიის მიერ დადგენილი იმპორტის ტარიფის ზედა ზღვრისა;

ზ.ბ.) ყოველი კალენდარული წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე – რეგულირებადი ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფი;

თ) ახლად აშენებული ელექტროსადგურის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსთან – ამ წესების $36^2$ მუხლის შესაბამისად, გარდა ამ მუხლის $1^1$ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ი) ამ წესების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კვალიფიციურ საწარმოსთან – რეგულირებადი ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფი;

კ) დერეგულირებული ელექტროსადგურის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსთან, გარდა ამ მუხლის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა:

კ.ა) ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე – იმ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე განესაზღვრა ყველაზე მაღალი ტარიფი. ანგარიშსწორების განხორციელებისას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი არ გაითვალისწინებს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს იმ საანგარიშო პერიოდის ტარიფს, რომელშიც გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ჩაუტარდა ტესტირება.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე რომელიმე საანგარიშო პერიოდში არ არის განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ანგარიშსწორებას ახორციელებს კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე წინა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ყველაზე მაღალი ტარიფით. წინა საანგარიშო პერიოდში არ იგულისხმება 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდი.

კ.ბ) ყოველი კალენდარული წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე – ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფი.

$1^1$. ამ წესების მე-13 მუხლის მე-5 და მე- $5^1$ პუნქტებით გათვალისწინებულ ელექტროენერგიას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი შეისყიდის შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასით.

$1^2$. ამ წესების მე-13 მუხლის მე- $5^2$ პუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს შესაბამისი იმპორტისთვის კომისიის მიერ დადგენილი იმპორტის ტარიფის ზედა ზღვრით.

$1^3$. (ამოღებულია – 13.07.2015, №69).

$1^4$. ამ წესების მე-13 მუხლის $5^4$ პუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს ამ წესების $14^9$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფასით.

2. ამ მუხლის 12 პუნქტით განსაზღვრული ელექტროენერგიის გარდა, სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგია (მათ შორის, ავარიულ სიტუაციებში სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგია) , რომელიც არ არის გაყიდული კვალიფიციურ საწარმოსთან გაფორმებული იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს შესაბამისი იმპორტისათვის კომისიის მიერ დადგენილი იმპორტის ტარიფის ზედა ზღვრით.

3. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი მე-13 მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ კვალიფიციურ საწარმოებზე საბალანსო ელექტროენერგიას ყიდის საანგარიშო პერიოდში ამ მუხლის პირველი, $1^1$ , $1^2$ და $1^4$ პუნქტების საფუძველზე შესყიდული და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასით, რომლის ფორმირებაშიც არ მონაწილეობს ამ მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობა და ღირებულება.

3[1]. ამ წესების მე-13 მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ კვალიფიციურ საწარმოებზე გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ფასის ფორმირებაში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ითვალისწინებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელების შედეგად (ელექტროენერგიის იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულებით გაყიდული ელექტროენერგიის გარდა) წარმოქმნილი საკურსო სხვაობის შემოსავალს ან/და ხარჯს, რომელიც საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც მოხდა სხვაობის ფაქტობრივად აღიარება.

4. ექსპორტიორის (ან ექსპორტიორების) მიერ საბალანსო ელექტროენერგიის ექსპორტის შემთხვევაში შესაბამისი პირი (ან პირები) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან შეისყიდის იმავე საანგარიშო პერიოდში ყველაზე მაღალი ტარიფის (ფასის) მქონე საბალანსო ელექტროენერგიას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე მაღალი ტარიფის (ფასის) მქონე საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობა არ არის საკმარისი, შევსება ხდება ტარიფის (ფასის) კლების პრინციპით, მომდევნო ყველაზე მაღალი ტარიფის (ფასის) მქონე საბალანსო ელექტროენერგიით.

5. სისტემის კომერციულ ოპერატორს უფლება აქვს განახორციელოს როგორც პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის, ასევე ელექტროენერგიის მწარმოებლებისაგან შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ექსპორტი.

6. სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ საბალანსო ელექტროენერგიის ექსპორტის შემთხვევაში, სისტემის კომერციული ოპერატორი ვალდებულია, შესაბამისი ექსპორტის სახელშეკრულებო ფასის ფარგლებში (ექსპორტთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების გათვალისწინებით), განახორციელოს შესაბამის საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებლების მიერ გაყიდული ყველაზე მაღალი ტარიფის (ფასის) მქონე საბალანსო ელექტროენერგიის ექსპორტი (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიისა).

7. კვალიფიციური საწარმოები ვალდებულნი არიან სისტემის კომერციულ ოპერატორს მოთხოვნისთანავე წარუდგინონ მათ მიერ სტანდარტული პირობებით გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის განსაზღვრისათვის საჭირო დოკუმენტაცია მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. მოთხოვნილი დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შესაბამისი საბალანსო ელექტროენერგიის ფასად ამ მუხლის მიზნებისათვის მიიჩნევა რეგულირებადი ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფი, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფი.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №67 – სსმ III, №127, 11.09.2007წ., მუხ.1390*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 7 ივნისის №70 ბრძანება – ვებგვერდი, 08.06.2011წ.*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 16 სექტემბრის №190 ბრძანება – ვებგვერდი, 22.09.2011წ.*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის №251 ბრძანება – ვებგვერდი, 06.12.2011წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 15 დეკემბრის ბრძანება №127 – ვებგვერდი, 16.12.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №130 – ვებგვერდი, 24.12.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 5 თებერვლის ბრძანება №8 – ვებგვერდი, 06.02.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №69 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 19.04.2016წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 20 მაისის ბრძანება №30 – ვებგვერდი, 23.05.2016წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 14 თებერვლის ბრძანება №1-1/57 - ვებგვერდი, 15.02.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №1-1/230 - ვებგვერდი, 07.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის ბრძანება №1-1/285 - ვებგვერდი, 05.07.2021 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 28 თებერვლის ბრძანება №1-1/84 - ვებგვერდი, 28.02.2022 წ.*

## თავი IV[1]
## ელექტროენერგიის იმპორტი და ექსპორტი

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*

### მუხლი 14[1]. ელექტროენერგიის იმპორტის და ექსპორტის განხორციელების ზოგადი პირობები

1. ელექტროენერგიის იმპორტის და ექსპორტის განხორციელება შესაძლებელია ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსით დადგენილი მოცულობების ფარგლებში და პერიოდში, ხოლო ავარიული სიტუაციის მოქმედების პერიოდში ელექტროენერგიის იმპორტის და ექსპორტის განხორციელება

შესაძლებელია ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში გათვალისწინების გარეშე.
2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია:
ა) ბალანსით გათვალისწინებული ელექტროენერგიის იმპორტის ან ექსპორტის მოცულობის ფარგლებში, იმპორტიორის ან ექსპორტიორის სათანადო განაცხადის საფუძველზე, განსაზღვროს ექსპორტისა და იმპორტის მიმართულებები მეზობელი ქვეყნ(ებ) ის მიხედვით;
ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადი და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე შიდა რესურსების ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსთან შედარებით სიმცირის (დეფიციტის) ან სიჭარბის ან/და ავარიის დადგომის, ან ასეთის (დეფიციტის, სიჭარბის, ავარიის) რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევებში, სისტემის საჭიროებიდან გამომდინარე, მიწოდება-მოხმარების გეგმაში არ გაითვალისწინოს ექსპორტიორის ან/და იმპორტიორის განაცხადი, ან/და შეამციროს მასში (განაცხადში) მოყვანილი მოცულობები. ამ სახის გადაწყვეტილების მიღების შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებს შესაბამის ექსპორტიორს ან/და იმპორტიორს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
3. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ერთ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის იმპორტი ან ექსპორტი ან/და ტრანზიტი ხორციელდება ელექტროენერგიის იმპორტსა ან/და ექსპორტზე ან/და ტრანზიტზე შესაბამისი ხელშეკრულების ან/და იმპორტიორის/ექსპორტიორის/ტრანზიტის დამკვეთის განაცხადით გათვალისწინებულ მოცულობაზე მეტი, მაშინ აღნიშნული ელექტროენერგიის იმპორტიორად ან ექსპორტიორად ან/და ტრანზიტის დამკვეთად ითვლებიან ის პირები, რომლებიც ამ საანგარიშო პერიოდში ახორციელებდნენ იმპორტს ან ექსპორტს ან/და ტრანზიტს კონკრეტული სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით (მხოლოდ ექსპორტის/იმპორტის/ტრანზიტის განხორციელების კონკრეტული განაცხადის მოქმედების პერიოდში). ზედმეტად ექსპორტირებული ან იმპორტირებული ან/და სატრანზიტოდ გადადინებული ელექტროენერგიის განაწილება ხორციელდება 146-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
4. ელექტროენერგიის იმპორტიორები და ექსპორტიორები ან/და ტრანზიტის დამკვეთები ვალდებულნი არიან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ელექტროენერგიის იმპორტის ან/და ექსპორტის ან/და ტრანზიტის განაცხადები წარუდგინონ ელექტროენერგიის მიწოდების დაწყებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. მოცემული პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება ავარიულ სიტუაციებში ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტზე. ასეთ დროს განაცხადის წარდგენის წესი რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით.
5. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი განაცხადებისა და ქვეყნის შიდა მოხმარებაში ელექტროენერგიის უკმარისობის ან ელექტროენერგიის ქვეყნის შიდა წარმოებაში სიჭარბის არსებობისას, კვალიფიციურ საწარმოს უფლება აქვს ამ წესების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის„ფ“ და„ქ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული ხელშეკრულებები (ცვლილებები) და შესაბამისი განაცხადი წარმოადგინოს არა უგვიანეს 1 სამუშაო დღით ადრე, ხოლო დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უფლება აქვს დაარეგისტრიროს ისინი ბალანსებით დამტკიცებული მოცულობების ზევით და ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსით გაუთვალისწინებელი მიმართულებით ელექტროენერგიის იმპორტის (ექსპორტის) დაწყებამდე 1 სამუშაო დღით ადრე და ამ წესების მე-9 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესრულებით (გარდა მე-9 მუხლის პირველი პუნქტში მოცემული პირობისა). ელექტროენერგიის უკმარისობის ან სიჭარბის ფაქტს ამ მუხლის მე-6 პუნქტში მოცემულ პრინციპებზე დაყრდნობით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი განსაზღვრავს დამოუკიდებლად და აქვეყნებს ვებ-გვერდზე (www.gse.com.ge). აღნიშნულის თაობაზე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სამინისტროს და 10 დღეში წარმოადგინოს კორექტირებული ბალანსი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით.
$5^1$. თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის სიჭარბის შედეგად ბალანსში შეტანილი ცვლილება ითვალისწინებს საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ზრდას შემდეგი საანგარიშო პერიოდ(ებ) ისათვის, მოცულობის ხელმისაწვდომი ნაწილი ნაწილდება სპეციალური აუქციონის გზით.
6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია იმგვარად შეიმუშაოს ელექტროენერგიის ( სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ენერგეტიკული სისტემის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ენერგოსისტემის მდგრადობის მოთხოვნების გათვალისწინებით.
7. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ამ წესების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის„ქ“ ქვეპუნქტში მითითებული ხელშეკრულების რეგისტრაცია წარმოშობს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ხელშეკრულების ტექნიკური უზრუნველყოფისა და ხელშეკრულების პირობების ტექნიკურ ნაწილში

შესრულების ვალდებულებას კანონმდებლობისა ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ უცხო ქვეყნის ენერგოსისტემის ტექნიკურ შემსრულებელთან დადებული შეთანხმების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით პირდაპირ არ რეგულირდება კონკრეტული საკითხი და არ არსებობს შეთანხმება შესაბამისი მეზობელი ქვეყნის ტექნიკურ შემსრულებელთან, ან ეს შეთანხმებაც პირდაპირ არ არეგულირებს კონკრეტულ საკითხს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ხელმძღვანელობს მხოლოდ ელექტროენერგიის იმპორტის ან/და ექსპორტის ხელშეკრულებით.

8. გადაცემის შესაბამისი ლიცენზიანტები და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულნი არიან საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ელექტროენერგიის გადადინების დროს პრიორიტეტულად უზრუნველყონ ელექტროენერგიის იმპორტისა ან/და ექსპორტის ხელშეკრულებების შესრულება სხვა ტიპის გადადინებებთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ქვეყნის შიდა ენერგორესურსი. ელექტროენერგიის ექსპორტის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ქვეყნის შიგნით წარმოებულ ელექტროენერგიას.

9. გადაცემის ლიცენზიატები და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილნი არიან ერთად ან ცალ-ცალკე გააფორმონ სათანადო ხელშეკრულებები ელექტროენერგიის გადაცემის/დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე (მათ შორის, მრავალწლიანი ხელშეკრულებები) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგიის ექსპორტის უზრუნველსაყოფად.

$9^1$. (04.03.2014, N20).

$9^2$. გადაცემის შესაბამისი ლიცენზიატები და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი,აგრეთვე სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის განმახორციელებელი საწარმო ვალდებულნი არიან ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად გაფორმებულ შესაბამის ხელშეკრულებებში გაითვალისწინონ და ასახონ:

ა) ამ მუხლის მე-8 პუნქტში და ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული პრიორიტეტები;

ბ) საქართველოს და შესაბამისი მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემების ტექნიკურ ოპერატორებს შორის დადებული ურთიერთდაკავშირების ან/და პარალელურ რეჟიმში მუშაობის შეთანხმებებით გათვალისწინებული შეზღუდვები და ტექნიკური პირობები.

$9^3$. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

$9^4$. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

$9^5$. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

$9^6$. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

$9^7$. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

$9^8$. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

$9^9$. (ამოღებულია – 18.10.2013, N148).

10. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

11. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

12. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

13. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

14. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

15. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

16. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

17. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

18. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

19. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

20. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

21. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

22. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

23. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

24. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

25. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

26. (ამოღებულია – 04.03.2014, N20).

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 30 მაისის ბრძანება №99 – ვებგვერდი, 30.05.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 22.10.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 31 იანვრის ბრძანება №6 – ვებგვერდი, 04.02.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*

**მუხლი 14². ელექტროენერგიის იმპორტი და ექსპორტი ავარიულ სიტუაციაში**

1. ხელშეკრულებას ელექტროენერგიის იმპორტსა ან/და ექსპორტზე, რომელიც მიზნად ისახავს ავარიულ სიტუაციაში ელექტროენერგიის იმპორტსა ან/და ექსპორტს (ურთიერთდახმარებას) , უპირატესობა ენიჭება ელექტროენერგიის გაცვლასა და სხვა იმპორტ-ექსპორტთან მიმართებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავარიული სიტუაციის მოქმედების პერიოდში ელექტროენერგიის იმპორტისა ან ექსპორტის განმხორციელებელი იმპორტიორისა ან ექსპორტიორის მიერ ელექტროენერგიის იმპორტსა ან ექსპორტზე გაფორმებული ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს ავარიული სიტუაციის აღმოფხვრისთვის აუცილებელ მოთხოვნებს.

2. ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ავარიულ სიტუაციებში იმპორტსა და ექსპორტზე ხელშეკრულებების გაფორმების უფლება გააჩნია მხოლოდ სისტემის კომერციულ ოპერატორს. ამ ტიპის ხელშეკრულების გაფორმებისას ან მასში ცვლილებების და დამატებების შეტანისას, სისტემის კომერციულმა ოპერატორმა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან წინასწარ უნდა შეათანხმოს ხელშეკრულების პირობების ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონერგეტიკული სისტემის მდგრადობასთან, უსაფრთხოებასთან და საიმედო ფუნქციონირებასთან (ტექნიკური ნაწილი) .

3. ავარიული სიტუაციის მოქმედების პერიოდში ელექტროენერგიის იმპორტის ან ექსპორტის განმახორციელებელი იმპორტიორისა ან ექსპორტიორის მიერ ელექტროენერგიის იმპორტსა ან ექსპორტზე გაფორმებულ ხელშეკრულებას ავარიული სიტუაციის აღმოფხვრისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან შესატყვისობაზე აფასებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და ავარიული სიტუაციის აღმოფხვრისთვის აუცილებელი მოთხოვნებისთვის ხელშეკრულების არადამაკმაყოფილებლად მიჩნევის შემთხვევაში, წყვეტს ავარიული სიტუაციის მოქმედების პერიოდში იმპორტის ან ექსპორტის 14³ და 14⁴ მუხლებით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულებას, რის ნაცვლად შეასრულებს სისტემის კომერციული ოპერატორის ხელშეკრულებას ავარიულ სიტუაციებში იმპორტსა და ექსპორტზე.

4. იმ შემთხვევებში, როდესაც საქართველოს ენერგოსისტემაში შექმნილია ავარიული სიტუაცია და არ არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული ელექტროენერგიის იმპორტის ხელშეკრულება, ავარიული სიტუაციის აღმოფხვრის, ენერგოსისტემის სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია იმპორტის ხელშეკრულების გარეშე განახორციელოს ელექტროენერგიის მეზობელი ქვეყნიდან შემოტანა, სამინისტროს წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე. ამ პუნქტის ფარგლებში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ საქართველოს ენერგოსისტემაში შემოტანილი ელექტროენერგიის ანაზღაურება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ხორციელდება იმავე რაოდენობის ელექტროენერგიის შესაბამისი მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემისთვის იმავე საანგარიშო პერიოდში ექსპორტის ხელშეკრულების გარეშე დაბრუნებით (გატანით) .

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემიდან შემოტანილი და იმავე საანგარიშო პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემიდან დაბრუნებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხორციელდება შესაბამის„სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის შემაჯამებელ აღრიცხვის აქტში" გაანგარიშებული შემოტანილი და დაბრუნებული ელექტროენერგიების სალდირებული რაოდენობით (შემოტანილ და დაბრუნებულ (გატანილ) ელექტროენერგიებს შორის სხვაობა) .„სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის შემაჯამებელ აღრიცხვის აქტში" აისახება შემოტანილი და დაბრუნებული ელექტროენერგიების სალდირებული რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ„სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის შემაჯამებელ აღრიცხვის აქტში" შემოტანილი და დაბრუნებული ელექტროენერგიების სალდირებული რაოდენობა არ იქნება ასახული, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია შემოტანილი და დაბრუნებული ელექტროენერგიების სალდირებული რაოდენობის შესახებ ინფორმაცია წერილობით აცნობოს სისტემის კომერციულ ოპერატორს.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის ფარგლებში მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემიდან შემოტანილი და იმავე საანგარიშო პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემიდან დაბრუნებული (გატანილი) ელექტროენერგია სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ ამ წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის„დ" ქვეპუნქტისა და 27-ე მუხლით გათვალისწინებულ საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ერთიან ბაზაში აისახება მხოლოდ სალდო მაჩვენებლით (შემოტანილ და დაბრუნებულ (გატანილ) ელექტროენერგიებს შორის სხვაობა) .

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის ფარგლებში მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემიდან შემოტანილი და იმავე საანგარიშო პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემიდან დაბრუნებული (გატანილი) ელექტროენერგია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი მიღებისა და მიწოდების პუნქტებში აღრიცხული ელექტროენერგიის

ჯამურ რაოდენობებში, ამ წესების 23-ე მუხლის მიზნებისთვის, ითვალისწინებს მხოლოდ სალდო მაჩვენებლით (შემოტანილ და დაბრუნებულ (გატანილ) ელექტროენერგიებს შორის სხვაობა) .

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ დადებით სალდო (თუ შემოტანილი ელექტროენერგია ჭარბობს დაბრუნებულ ელექტროენერგიას) ელექტროენერგიაზე მეზობელი ქვეყნის შესაბამის სუბიექტთან ანგარიშსწორებას ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

9. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ უარყოფით სალდო (თუ დაბრუნებული ელექტროენერგია ჭარბობს შემოტანილ ელექტროენერგიას) ელექტროენერგიაზე ანგარიშსწორებას სისტემის კომერციულ ოპერატორთან ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

10. იმ შემთხვევებში, როდესაც მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემაში შექმნილია ავარიული სიტუაცია და არ არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული ელექტროენერგიის ექსპორტის ხელშეკრულება, ავარიული სიტუაციის აღმოფხვრის, ენერგოსისტემის სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია ექსპორტის ხელშეკრულების გარეშე განახორციელოს ელექტროენერგიის გატანა მეზობელ ქვეყნაში, მეზობელი ქვეყნის შესაბამისი სუბიექტის (ელექტროენერგეტიკული სისტემის ტექნიკური ოპერატორის ან ელექტროენერგეტიკული დარგის სახელმწიფო მართვის უწყების) შესატყვისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამ პუნქტის ფარგლებში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ საქართველოს ენერგოსისტემიდან გატანილი ელექტროენერგიის ანაზღაურება ხორციელდება იმავე რაოდენობის ელექტროენერგიის შესაბამისი მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემიდან იმავე საანგარიშო პერიოდში იმპორტის ხელშეკრულების გარეშე დაბრუნებით (შემოტანით) .

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის მიზნებისათვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემაში გატანილი და იმავე საანგარიშო პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემაში მეზობელი ქვეყნიდან დაბრუნებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხორციელდება შესაბამის „სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის შემაჯამებელ აღრიცხვის აქტში" გაანგარიშებული გატანილი და დაბრუნებული ელექტროენერგიების სალდირებული რაოდენობით (გატანილ და დაბრუნებულ (შემოტანილ) ელექტროენერგიებს შორის სხვაობა) . „სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის შემაჯამებელ აღრიცხვის აქტში" აისახება გატანილი და დაბრუნებული ელექტროენერგიების სალდირებული რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ „სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის შემაჯამებელ აღრიცხვის აქტში" გატანილი და დაბრუნებული ელექტროენერგიების სალდირებული რაოდენობა არ იქნება ასახული, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია გატანილი და დაბრუნებული ელექტროენერგიების სალდირებული რაოდენობის შესახებ ინფორმაცია წერილობით აცნობოს სისტემის კომერციულ ოპერატორს.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტის ფარგლებში მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემაში გატანილი და იმავე საანგარიშო პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემაში დაბრუნებული (შემოტანილი) ელექტროენერგია სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ ამ წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და 27-ე მუხლით გათვალისწინებულ საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ერთიან ბაზაში აისახება მხოლოდ სალდო მაჩვენებლით (გატანილ და დაბრუნებულ (შემოტანილ) ელექტროენერგიებს შორის სხვაობა) .

13. ამ მუხლის მე-10 პუნქტის ფარგლებში მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემაში გატანილი და იმავე საანგარიშო პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემაში დაბრუნებულ (შემოტანილ) ელექტროენერგიას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი მიღებისა და მიწოდების პუნქტებში აღრიცხული ელექტროენერგიის ჯამურ რაოდენობებში, ამ წესების 23-ე მუხლის მიზნებისთვის, ითვალისწინებს მხოლოდ სალდო მაჩვენებლით (გატანილ და დაბრუნებულ (შემოტანილ) ელექტროენერგიებს შორის სხვაობა).

14. ამ მუხლის მე-11 პუნქტში მითითებულ დადებით სალდო (თუ გატანილი ელექტროენერგია ჭარბობს დაბრუნებულ ელექტროენერგიას) ელექტროენერგიაზე სისტემის კომერციულ ოპერატორთან ანგარიშსწორებას ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

15. ამ მუხლის მე-11 პუნქტში მითითებულ უარყოფით სალდო (თუ დაბრუნებული ელექტროენერგია ჭარბობს გატანილ ელექტროენერგიას) ელექტროენერგიაზე მეზობელი ქვეყნის შესაბამის სუბიექტთან ანგარიშსწორებას ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №175 – ვებგვერდი, 26.12.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 21 დეკემბრის ბრძანება №114 – ვებგვერდი, 21.12.2015წ.*

## მუხლი 14[3]. ელექტროენერგიის გაცვლა

1. ელექტროენერგიის გაცვლას უპირატესობა ენიჭება 14[4] მუხლით გათვალისწინებულ იმპორტ-ექსპორტთან მიმართებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაცვლის შედეგად საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა არ იქნება ექსპორტირებული ელექტროენერგიის 80

პროცენტზე ნაკლები. ელექტროენერგიის გაცვლის ხელშეკრულებას უთანაბრდება კვალიფიციური საწარმოს მიერ ერთდროულად ელექტროენერგიის იმპორტისა და ექსპორტის ხელშეკრულების წარმოდგენა.

2. ელექტროენერგიის გაცვლაზე არ ვრცელდება ამ წესების $14^4$ მუხლით გათვალისწინებული განაცხადების შერჩევის პროცედურა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად გაფორმებული ელექტროენერგიის გაცვლის რამდენიმე ხელშეკრულება, მაშინ უპირატესობა ენიჭება ელექტროენერგიის გაცვლას (იმპორტსა და ექსპორტს) , რომელსაც გააჩნია საქართველოდან ექსპორტირებული და საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულებებს შორის თანაფარდობის უფრო მაღალი კოეფიციენტი.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*

### მუხლი $14^4$. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) სხვა იმპორტი და ექსპორტი

1. ამ წესების $14^2$-ე და $14^3$-ე მუხლებით გათვალისწინებული პრიორიტეტების გარდა, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია:

ა) ელექტროენერგიის იმპორტისას – უპირატესობა მიანიჭოს იმპორტირებული ელექტროენერგიის ყველაზე დაბალ ფასს;

ბ) ელექტროენერგიის ექსპორტისას – იხელმძღვანელოს საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების შედეგებით, გარდა ამ წესების $14^1$ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ენერგიისა, რომლის შემთხვევაში პრიორიტეტულობა ენიჭება:

ბ.ა) იმ ელექტროენერგიას, რომელსაც საბალანსოდ გაყიდვის შემთხვევაში ექნება ყველაზე მაღალი ფასი;

ბ.ბ) ორი ან მეტი ისეთი პრეტენდენტის შემთხვევაში, რომელთა ენერგიის საბალანსოდ გაყიდვის შემთხვევაში ექნებათ ერთი და იგივე ფასი, მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება კონკრეტული სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის არსებული გამტარუნარიანობის პრეტენდენტებზე თანაბარი განაწილების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პრეტენდენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებული ელექტროენერგიის რაოდენობა ნაკლებია თანაბარი განაწილების შედეგად მოცემული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, სხვაობა თანაბრად გადაუნაწილდებათ დანარჩენ პრეტენდენტებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს შესაბამის პირებს საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე.

3. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილება ხორციელდება ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ამ წესების $14^{23}$ მუხლის შესაბამისად.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია სისტემათაშორისი გადადინებისათვის ( ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზისთვის ამ წესების $14^{12}$-$14^{22}$ მუხლებით გათვალისწინებული პროცედურები, ტერმინები და სპეციალური აუქციონის წესები ასევე გამოიყენოს სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ნებისმიერი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის განაწილებისას, ყოველ ასეთ ხაზზე არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობით სარგებლობის შესაბამისი საფასური არ გადაიხდება, თუ ექსპორტიორის მიერ შესაბამისი ხაზის გამტარუნარიანობის მოპოვება ვერ მოხერხდა სპეციალურ აუქციონში დამარცხების ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის გადაწყვეტილების გამო, რაც გამოწვეულია საქართველოს ენერგოსისტემაში შექმნილი ტექნიკური ვითარებით, რომელიც არ იძლევა სისტემათაშორისი გადადინების განხორციელების საშუალებას. ასეთი აუთვისებელი სიმძლავრის ( ენერგიის) განკარგვა ხდება ამ წესების $14^{23}$ მუხლის შესაბამისად.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*

### მუხლი $14^5$. ელექტროენერგიის იმპორტიორები და ექსპორტიორები

1. იმპორტისა და ექსპორტის განხორციელება შეუძლია იმ კვალიფიციურ საწარმოს, რომელსაც გააჩნია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან დადგენილი წესით რეგისტრირებული ამ წესების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ” და „ქ” ქვეპუნქტებში, ხოლო ექსპორტის შემთხვევაში – მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ” ქვეპუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულებები იმპორტირებული ან ექსპორტირებული ელექტროენერგიის სრულ მოცულობაზე და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისთვის წარდგენილი აქვს ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული გარანტია.

2. სისტემის კომერციული ოპერატორის შემთხვევაში ამ წესების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის„ფ“

ქვეპუნქტში გათვალისწინებულ ხელშეკრულებად ასევე მიიჩნევა პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.

3. იმპორტსა და ექსპორტზე დადებულ ხელშეკრულებებზე ვრცელდება ამ წესების მე-3 თავში პირდაპირი ხელშეკრულებების რეგისტრაციის, რეგისტრაციის და ხელშეკრულების შეწყვეტისთვის დადგენილი მოთხოვნა და პროცედურა იმ მოთხოვნებისა და პროცედურების გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია ამ თავში.

4. თუ იმპორტსა და ექსპორტზე დადებული ხელშეკრულება ან ცვლილება არ ეხება ელექტროენერგიის მიწოდების დაწყებას, დასრულებას, რაოდენობას, ვადას, პირობებს (გარდა ელექტროენერგიის ფასის, საფასურის გადახდის, დავების განხილვის პირობებისა, აგრეთვე ხელშეკრულების რეკვიზიტების ცვლილებისა) და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ხოლო $14^4$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განაცხადით გათვალისწინებული საიმპორტოდ განკუთვნილი ელექტროენერგიის ფასის გაზრდას, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან მათი სარეგისტრაციოდ წარდგენა უნდა მოხდეს ხელშეკრულების ან მასში ცვლილების ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში.

5. პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერგიის ექსპორტზე (გარდა სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებისა) უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში განსაზღვრული ელექტროენერგიის მოცულობის ექსპორტიორის მიერ სრულად ანაზღაურების ვალდებულებას იმ შემთხვევაშიც, თუ მწარმოებელმა ვერ გამოიმუშავა ელექტროენერგია. ექსპორტიორი თავისუფლდება ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებისგან, თუ ელექტროენერგიის გამომუშავება ვერ მოხდა მწარმოებლის ან დისპეტჩერიზაციისა ან გადაცემის ლიცენზიატის ბრალით, აგრეთვე ავარიული და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციის გამო.

6. ექსპორტიორი, გარდა იმ ექსპორტიორისა, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს წარმოების ან განაწილების ლიცენზიატს, ვალდებულია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს წარუდგინოს საბანკო გარანტია შესასყიდი გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასურისა და საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ღირებულების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული გარანტიის წარდგენის ვალდებულება ექსპორტიორს უჩნდება ამ წესების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ხელშეკრულებების დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან რეგისტრაციის დღიდან. ამასთან, სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგიის ექსპორტის შემთხვევაში საბანკო გარანტია ბაზრის ოპერატორთან წარდგენილი უნდა იქნეს ექსპორტის დაწყების დაგეგმილ თარიღამდე არანაკლებ 12 სამუშაო დღით ადრე. უზრუნველყოფისათვის გამოიყენება საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) “ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში მოქმედი ბანკის მიერ გაცემული და საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ კონტრ-გარანტიის საფუძველზე გადაზღვეული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიები. საბანკო გარანტიის ოდენობას განსაზღვრავს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ექსპორტის ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების არაუმეტეს 10 პროცენტის ოდენობისა. გარანტიის ოდენობა, მოქმედების ვადა და სხვა პირობები ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორმა უნდა განუსაზღვროს ექსპორტიორს მისი წერილობითი მომართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. გარანტიის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექსპორტის დასრულების თვის მომდევნო 45 კალენდარულ დღეს. სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდის შემთხვევაში ექსპორტიორი ვალდებულია მიუსადაგოს წარმოდგენილი საბანკო გარანტია შეცვლილ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ექსპორტიორს მიერ საბანაკო გარანტია არ არის წარმოდგენილი. სახელშეკრულებო ღირებულების შემცირების შემთხვევაში ექსპორტიორი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტიის უზრუნველყოფილი თანხის შემცირება. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ექსპორტიორის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენის, აგრეთვე საბანკო გარანტიის დაბრუნების, ცვლილების, ვადის ამოწურვის, გამოყენების ან გაუქმების შესახებ. მხარეთა შეთანხმებით საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულება ექსპორტიორს არ დაეკისრება გარანტიის ოდენობის შესაბამისი თანხის წინასწარ გადახდის შემთხვევაში.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №119 – ვებგვერდი, 14.11.2014წ.*

### მუხლი $14^6$. ელექტროენერგიის იმპორტიორების, ექსპორტიორების ან/და ტრანზიტის დამკვეთი საწარმოების უფლებამოსილებანი და შესაბამისი ელექტროენერგიის აღრიცხვა-ანგარიშსწორება

1. იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხორციელდება ამ წესების

შესაბამისად. ელექტროენერგიის გადაცემის კონკრეტული სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) შესაბამის საანგარიშო პერიოდში მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის (მათ შორის, იმპორტირებული, ექსპორტირებული ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის) შემაჯამებელი აღრიცხვის აქტი დისპეტჩერიზაციის, შესაბამისი ხაზის მფლობელი გადაცემის ლიცენზიატებისა და სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ ერთობლივად ფორმდება შესაბამისი უცხო ქვეყნის ტექნიკურ ოპერატორთან.

2. თუ ორი ან მეტი იმპორტიორი (ექსპორტიორი) ან/და ტრანზიტის დამკვეთი საწარმო ერთ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის იმპორტს (ექსპორტს) ან/და ტრანზიტს ახორციელებდნენ ერთი სისტემათაშორისი ხაზით, დგება კონკრეტული „სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტი“, რომელშიც აისახება ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის მოცულობების განაწილება თითოეულ მონაწილე იმპორტიორს (ექსპორტიორს) ან/და ტრანზიტის დამკვეთ საწარმოს შორის. „სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტი“ ყველა შესაბამისი იმპორტიორის (ექსპორტიორის) ან/და ტრანზიტის დამკვეთი საწარმოს მიერ ფორმდება ერთობლივად. „იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტის“ თითო დედანი შესაბამისი იმპორტიორების (ექსპორტიორების) ან/და ტრანზიტის დამკვეთი საწარმოს მიერ უნდა წარედგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და ბაზრის ოპერატორს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 8 (რვა) კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 11 (თერთმეტი) კალენდარული დღისა იმპორტირებულ (ექსპორტირებულ) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის რაოდენობებს ანაწილებს ამ პუნქტში აღნიშნულ იმპორტიორებზე (ექსპორტიორებზე) ან/და ტრანზიტის დამკვეთ საწარმო(ებ) ზე ამ მუხლის $2^{1}$ პუნქტში მოცემული წესის მიხედვით და ადგენს სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების აქტს („განაწილების აქტი“) , შედგენისთანავე, უგზავნის „ბაზრის ოპერატორს“ და შესაბამის იმპორტიორს (ექსპორტიორს) ან/და ტრანზიტის დამკვეთ საწარმოს.

$2^{1}$. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საანგარიშო პერიოდის კონკრეტულ საათში იმპორტირებულ (ექსპორტირებულ) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიას ანაწილებს ამ პუნქტში აღნიშნულ იმპორტიორებზე (ექსპორტიორებზე) ან/და ტრანზიტის დამკვეთ საწარმოებზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან თითოეული მათგანის მიმართ „ბაზრის წესების“ თანახმად შეთანხმებული (კორექტირებების გათვალისწინებით) გეგმების პროპორციულად. ამ პუნქტის მიზნებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ სისტემათაშორისო ხაზზე საანგარიშო პერიოდის რომელიმე კონკრეტული საათისთვის იმპორტიორ(ებ)ის (ექსპორტიორ(ებ)ის) ან/და ტრანზიტის დამკვეთი საწარემო(ები)ს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან „ბაზრის წესების“ თანახმად შეთანხმებული (კორექტირებების გათვალისწინებით) გეგმების ჯამი ნულის ტოლია (შემდგომში „ნულოვანი საათი“), მაგრამ ფაქტობრივად „ნულოვან საათში“ დაფიქსირდა ელექტროენერგიის გადადინება, „ნულოვან საათში“ ფაქტიურად გადადინებული ელექტროენერგიის რაოდენობას (გარდა ამ წესების მე-$14^{7}$ მუხლის მე-2 პუნქტში ასახული რეჟიმებით გამოწვეული ელექტროენერგიის გადადინებებისა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ანაწილებს იმ იმპორტიორ(ებ) ზე (ექსპორტიორ(ებ) ზე) ან/და ტრანზიტის დამკვეთ საწარმო(ებ) ზე, რომლებიც ამავე სისტემათაშორისო ხაზზე იგივე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ახორციელებდნენ ელექტროენერგიის იმპორტს (ექსპორტს) ან/და ტრანზიტს, ამასთან „ნულოვან საათში“ ფაქტობრივად გადადინებული ელექტროენერგია მათ უნაწილდებათ „ნულოვანი საათის“ უშუალოდ წინა და შემდგომი საათისთვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან თითოეული მათგანის მიმართ „ბაზრის წესების“ თანახმად შეთანხმებული ექსპორტის (იმპორტის) ან/და ტრანზიტის განხორციელების შესაბამისი გეგმების (კორექტირებების გათვალისწინებით) ჯამური რაოდენობების (კორექტირებების გათვალისწინებით) პროპორციულად.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 11 (თერთმეტი) კალენდარული დღისა ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატებს უგზავნის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი „სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) საანგარიშო პერიოდში მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის შემაჯამებელი აღრიცხვის აქტის“, აგრეთვე „სისტემათაშორისი ხაზით ექსპორტირებული (იმპორტირებული) ან/და სატრანზიტოდ განკუთვნილი ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტის“ ან „განაწილების აქტის“ თითო ასლს.

4. თუ ორი ან მეტი იმპორტიორი (ექსპორტიორი) ან/და ტრანზიტის დამკვეთი საწარმო ერთ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის იმპორტს (ექსპორტს) ან/და ტრანზიტს ახორციელებდნენ ერთი სისტემათაშორისი ხაზით, კონკრეტული სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების აქტის შედგენის

მიზნებისათვის, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) კალენდარული დღისა კონკრეტული სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის ფაქტობრივი გადადინებების შესახებ მის ხელთ არსებული ელექტროენერგიის აღრიცხვის შესატყვის მონაცემებს აწვდის შესატყვის ექსპორტიორს (იმპორტიორს) ან/და ტრანზიტის დამკვეთ საწარმო(ებ)ს.

5. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი იმპორტიორის (ექსპორტიორის) ან/და ტრანზიტის დამკვეთი საწარმოს მიერ ელექტროენერგიის იმპორტი (ექსპორტი) ან/და ტრანზიტი ხორციელდებოდა ერთი მეზობელი ქვეყნიდან ორი ან მეტი სისტემათაშორისი ხაზით ერთდროულად პარალელური, სინქრონული მუშაობის რეჟიმში და, ამასთან, შესაბამისი სისტემათაშორისი ხაზებით ელექტროენერგიის მიწოდების შეთანხმებული გეგმები (კორექტირებების გათვალისწინებით) ცალკეული იმპორტიორისთვის (ექსპორტიორისთვის) ან/და ტრანზიტის დამკვეთი საწარმოსათვის შედგენილია ჯამურად (საზღვარზე გადადინების ან/და გადმოდინების საერთო გეგმის სახით) , დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის საანგარიშო პერიოდში მეზობელი ქვეყნიდან ცალკეული სისტემათაშორისი ხაზით ფაქტიურად იმპორტირებულ (ექსპორტირებულ) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიას ამ პუნქტში აღნიშნულ იმპორტიორებზე (ექსპორტიორებზე) ან/და ტრანზიტის დამკვეთ საწარმოებზე ანაწილებს თითოეული მათგანისათვის „ბაზრის წესების“ თანახმად დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შეთანხმებული (კორექტირებების გათვალისწინებით) იგივე საანგარიშო პერიოდის ჯამური გეგმების (შესაბამის საზღვარზე ელექტროენერგიის გადადინების ან/და გადმოდინების საერთო გეგმების) პროპორციულად.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 22.10.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 1 მარტის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 04.03.2016წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 5 აგვისტოს ბრძანება №60 – ვებგვერდი, 08.08.2016წ.*

### მუხლი $14^7$. ელექტროენერგიის იმპორტსა ან ექსპორტზე გაფორმებული ხელშეკრულების გარეშე საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ (გადადინებულ) ელექტროენერგიის დეკლარირებაზე ვალდებული პირი

1. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საბაჟო საზღვარზე ელექტროენერგიის გადაადგილების (გადადინების) დროს საანგარიშო პერიოდში არ არსებობს (არ მოქმედებს) ხელშეკრულება შესაბამისი სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზის გამოყენებით ელექტროენერგიის ექსპორტზე ან/და იმპორტზე და იმპორტიორის ან ექსპორტიორის სათანადო განაცხადი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიმართ, მაშინ ამ გადადინებული ელექტროენერგიის დეკლარირების ვალდებულება ეკისრება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ელექტროენერგიის გადამცემი ხაზის დაცვის ან სინქრონიზაციის რეჟიმში ჩართვის პერიოდში საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის დეკლარირების ვალდებულება ეკისრება ამ ხაზის მფლობელ გადაცემის ლიცენზიატს. ელექტროენერგიის გადამცემი ხაზის დაცვის ან სინქრონიზაციის რეჟიმში ჩართვა ხორციელდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მხოლოდ ამ ხაზის მფლობელი გადაცემის ლიცენზიატის თანხმობის შემთხვევაში.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის ( გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზით გადაადგილებული ელექტროენერგიის დეკლარირება და საბაჟო გაფორმება თავისთავად არ წარმოქმნის შესაბამისად დისპეტჩერიზაციის (გადაცემის) ლიცენზიანტის საკუთრების უფლებას ამ გადაადგილებულ ელექტროენერგიაზე.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

### მუხლი $14^8$. ტრანზიტის განხორციელებისას წარმოქმნილი გადახრების იმპორტი და ექსპორტი

1. ტრანზიტის განხორციელებისას და მისი მიზნებისთვის საქართველოში შემოსულ და გასულ ელექტროენერგიებს შორის სხვაობა (ტრანზიტის გადახრები) წარმოადგენს საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტს ან ექსპორტს, გარდა იმ ელექტროენერგიისა, რომელსაც შეისყიდის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და ტრანზიტის დამკვეთს შორის, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წინასწარი შეთანხმებით, ტრანზიტის გადახრებზე ფორმდება:

ა) ელექტროენერგიის ექსპორტის და იმპორტის ხელშეკრულებები – იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზიტის დამკვეთი არარეზიდენტი პირია;

ბ) ელექტროენერგიის ექსპორტის და იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულებები – იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზიტის დამკვეთი რეზიდენტი პირია.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის, ტერმინები „რეზიდენტი“ და „არარეზიდენტი“ გამოყენებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობით.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 31 იანვრის ბრძანება №6 – ვებგვერდი, 04.02.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 20 მაისის ბრძანება №30 – ვებგვერდი, 23.05.2016წ.*

**მუხლი $14^9$. ტრანზიტის განხორციელებისას წარმოქმნილი გადახრების იმპორტის და ექსპორტის ანაზღაურების წესი**

1. „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და ტრანზიტის დამკვეთს შორის ტრანზიტის გადახრებზე ამ წესების მე-$14^8$ მუხლით განსაზღვრული ელექტროენერგიის იმპორტის ხელშეკრულებისა და ელექტროენერგიის იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების ფარგლებში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ტრანზიტის დამკვეთთან ანგარიშსწორებას ახორციელებს:

ა) ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე – იმ ჰიდროელექტროსადგურის ტარიფის ზედა ზღვრით, რომელსაც კომისიამ დაუდგინა ყველაზე მაღალი ტარიფი;

ბ) ყოველი კალენდარული წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე – რეგულირებადი ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ ჰიდროელექტროსადგურის ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი.

2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და ტრანზიტის დამკვეთს შორის ტრანზიტის გადახრებზე ამ წესების მე-$14^8$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ელექტროენერგიის ექსპორტზე ხელშეკრულების ფარგლებში ტრანზიტის დამკვეთი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან ანგარიშსწორებას ახორციელებს შესაბამის საანგარიშო პერიოდში ამ წესების მე-14 მუხლის პირველი, $1^1$ , $1^2$ და $1^4$ პუნქტების საფუძველზე შესყიდული და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილ ფასს დამატებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ექსპორტიორისათვის გადასახდელი ყველა ხარჯი და გადასახადი.

3. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და ტრანზიტის დამკვეთს შორის ტრანზიტის გადახრებზე ამ წესების $14^8$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ელექტროენერგიის ექსპორტზე პირდაპირი ხელშეკრულების ფარგლებში ტრანზიტის დამკვეთი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან ანგარიშსწორებას ახორციელებს ამ წესების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ფასით.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 5 თებერვლის ბრძანება №8 – ვებგვერდი, 06.02.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 20 მაისის ბრძანება №30 – ვებგვერდი, 23.05.2016წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 13 მარტის ბრძანება №15- ვებგვერდი, 14.03.2016წ.*

**მუხლი $14^{10}$. ტრანზიტის განხორციელების ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა**

1. სისტემათაშორისი ტრანზიტის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნებისთვის დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზიატებს შორის ფორმდება ცალკე ხელშეკრულება, გადაცემის ლიცენზიატების ქსელებითა და მომსახურებით სარგებლობის საკომპენსაციო საფასურის ოდენობის მითითებით. გადაცემის ლიცენზიატების მიერ მითითებული ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში, ისინი ვალდებულნი არიან არ შეაფერხონ ტრანზიტის განხორციელება მათი კუთვნილი ქსელების გამოყენებით.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და გადაცემის ლიცენზიანტებს შორის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ტრანზიტის დროს გადაცემის შესაბამისი ლიცენზიატების მომსახურებით და მათ მფლობელობაში არსებული ელექტრული ქსელებით სარგებლობის კომპენსაციის საკითხი გადაწყდება შემდეგი პრინციპის მიხედვით: ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შემოსავლის 90 პროცენტი აუნაზღაურდება სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელ გადაცემის ლიცენზიატს, ხოლო ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შემოსავლის დარჩენილი 10 პროცენტი განაწილდება დანარჩენ გადაცემის ლიცენზიანტებსა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს შორის მათთვის კომისიის მიერ ელექტროენერგიის გადაცემის/დისპეტჩერიზაციის მოსმსახურებაზე დადგენილი ტარიფების პროპორციულად.

3. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობაზე გადაცემის მომსახურება არ ანაზღაურდება.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*

**მუხლი $14^{11}$. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილება სისტემათაშორისი**

ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზების ხელმისაწვდომი გამტარუნარიანობის დადგენაში

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და პარალელურ რეჟიმში მუშაობის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაადგინოს გამტარუნარინობა და მისი ხელმისაწვდომი მოცულობა (ATC) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზების (გარდა სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზისა) მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციის შემთხვევაში, კონკრეტული საანგარიშო პერიოდისთვის სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზის სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

Transit ATC = ATC * 0,90 – ∑Import, სადაც

Transit ATC – არის სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზის სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობა კონკრეტული საანგარიშო პერიოდისთვის;

ATC – არის იგივე სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობა დადგენილი ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად იგივე საანგარიშო პერიოდისთვის;

∑Import – არის იგივე სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზით იგივე საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი იმპორტის ჯამური მოცულობა ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსის მიხედვით.

ამასთან, ელექტროენერგიის ისეთი იმპორტი, რომელიც ემსახურება ელექტროენერგიის ექსპორტის უზრუნველყოფას იმავე საანგარიშო პერიოდში, ნებისმიერ შემთხვევაში იზღუდება სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის მოცულობით, მიუხედავად იმპორტზე ხელშეკრულების რეგისტრაციისა.

3. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის გამტარუნარინობისა და მისი ხელმისაწვდომი მოცულობის დასადგენად გამოიყენება ამ წესების $14^{15}$ მუხლის შესაბამისი დებულებები.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*

### მუხლი $14^{12}$. პრიორიტეტულობის ჯგუფები

1. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგიის ექსპორტის უზრუნველსაყოფად პრიორიტეტულობა და უპირატესობა განისაზღვრება შემდეგი კლებადი თანმიმდევრობით:

ა) ავარიულ სიტუაციებში ელექტროენერგიის ექსპორტი ან იმპორტი;

ბ) საქართველოში 2010 წლის შემდეგ აშენებული, განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურის (მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის) მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტი, თუ ასეთი ელექტროენერგიის ექსპორტისთვის გაფორმებულია ამ წესების მე-$14^{1}$ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მრავალწლიანი ხელშეკრულება – მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში;

გ) საქართველოში 2010 წლის შემდეგ აშენებული, განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე, ისეთი ელექტროსადგურის (მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის) მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტი, რომლის ექსპლუატაციაში შესვლის და კომერციული გამოყენების დაწყების დღიდან არ გასულა 10 წელი, თუ ასეთი ელექტროენერგიის ექსპორტისთვის არ არის გაფორმებული ამ წესების მე-$14^{1}$ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მრავალწლიანი ხელშეკრულება. ამავე პრიორიტეტულობის ჯგუფს, ასევე განეკუთვნება მშენებლობის პროცესში მყოფი

განახლებადი ენერგიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგურის (მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის) მიერ, გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტი, თუ:

გ.ა) ასეთი მშენებლობის პროცესში მყოფი ელექტროსადგურის მშენებლობაზე საქართველოს მთავრობასთან გაფორმებულია შეთანხმება და,

გ.ბ) ასეთი ელექტროენერგიის ექსპორტისთვის არ არის გაფორმებული ამ წესების $14^1$ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მრავალწლიანი ხელშეკრულება.

დ) საქართველოს სხვა ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ან საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, რაც არ არის გათვალისწინებული ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

$1^1$. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული პრიორიტეტულობის ჯგუფს მიკუთვნებული ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტის განხორციელება დასაშვებია, თუ მოპოვებულია შესატყვისი საექსპორტოდ ნებადართული მოცულობით სარგებლობის უფლება, ამ წესების და სპეციალური აუქციონის წესების შესაბამისად.

$1^2$. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა ექსპორტის მიზნით სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის, ასევე შიდა შეზღუდავი რესურსის განაწილებაში მონაწილეობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზემოთხსენებული ელექტროენერგიის ექსპორტის სრულად ან ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად საჭირო ხელმისაწვდომი საექსპორტოდ ნებადართული მოცულობა, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული ელექტროსადგურის მშენებლობაზე და/ან ოპერირებაზე საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული შეთანხმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირობები არ ზღუდავს მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტს წლის შესაბამის პერიოდში.

2. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგიის ექსპორტის უზრუნველყოფის მიზნით ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პრიორიტეტულობის მომდევნო რიგის (ჯგუფის) დაკმაყოფილება იწყება მხოლოდ წინა რიგის (ჯგუფის) პრიორიტეტის სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

3. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მიმართ არ გამოიყენება ამ წესების $14^3$ და $14^4$ მუხლებით გათვალისწინებული დებულებები, გარდა საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თითოეული პრიორიტეტულობის ჯგუფის ელექტროენერგიის ექსპორტისთვის მოპოვებული/განაწილებული გამტარუნარიანობა გამოიყენება მხოლოდ იგივე ჯგუფის ელექტროენერგიის ექსპორტისთვის. გამონაკლისია ასეთი ექსპორტის უზრუნველყოფის მიზნით საბალანსო ელექტროენერგიის შეძენა იმ ვადით, რომელიც საჭიროა სისტემათაშორისო ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამორთვის ან ტვირთის შესაბამისად შემცირებისთვის.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*

**მუხლი $14^{13}$. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის გამტარუნარინობის კატეგორიები**

1. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის განსაზღვრის, დახასიათების და განაწილების მიზნებისთვის გამოიყენება სიმძლავრის შემდეგი ძირითადი კატეგორიები:

ა) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობა (ქსელის გამტარუნარიანობა – „NTC" (Net Transfer Capacity);

ბ) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის არახელმისაწვდომი მოცულობა (არახელმისაწვდომი სიმძლავრე) ან „NAC" (Non-Avaliable Capacity);

გ) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ხელმისაწვდომი მოცულობა (შემდეგში: „ხელმისაწვდომი მოცულობა“) ან (ხელმისაწვდომი გადასაცემი სიმძლავრე – „ATC" (Avaliable Transfer Capacity) ;

დ) წინასწარი პრიორიტეტულობით გადანაწილებული მოცულობა („AAC" (Already Allocated Capacity);

ე) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის განაწილებული მოცულობა (სიმძლავრის განაწილება)) ან „ALC" (Allocated Capacity).

2. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობა (ქსელის გამტარუნარიანობა – „NTC" (Net Transfer Capacity) წარმოადგენს სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი

ხაზის მთლიან გამტარუნარიანობას/პროგრამას, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი გადამცემი სისტემების მიერ გარკვეული დროის პერიოდისათვის, აქტიური სიმძლავრის ნაკადის მიმართულებით დაწესებული უსაფრთხოების სტანდარტებს.

3. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის არახელმისაწვდომი მოცულობა (არახელმისაწვდომი სიმძლავრე) ან „NAC" (Non-Avaliable Capacity) არის სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს და შესაბამისი მეზობელი ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემათა ოპერატორების ერთობლივი შეთანხმებით, ექსპორტისთვის არ არის ხელმისაწვდომი, იმ სპეციფიკური ტექნიკური და უსაფრთხოების პრობლემების გამო, რომელთა მოგვარებაც შესატყვისი საექსპორტო პერიოდისთვის შეუძლებელია.

4. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ხელმისაწვდომი მოცულობა (ხელმისაწვდომი გადასაცემი სიმძლავრე) ან „ATC" (Avaliable Transfer Capacity) გულისხმობს NTC-ის ნაწილს, რომელიც შემდგომი კომერციული საქმიანობებისათვის ყოველი განაწილების ფაზის შემდეგ რჩება ხელმისაწვდომი და შეთავაზებულია მომხმარებლებისათვის ასათვისებლად. ATC გამოითვლება, როგორც სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობას გამოკლებული არახელმისაწვდომი მოცულობა (NTC–NAC=ATC + ALC) .

5. წინასწარი პრიორიტეტულობით გადანაწილებული მოცულობა ან „AAC" (Already Allocated Capacity) არის სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ხელმისაწვდომი მოცულობა, რომელიც წინასწარ გადანაწილდება პრიორიტეტულობის მიხედვით საქართველოში 2010 წლის შემდეგ აშენებული, განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტის მოცულობაზე, თუ ასეთი ელექტროენერგიის ექსპორტისთვის გაფორმებულია ამ წესების 14[1] მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მრავალწლიანი ხელშეკრულება გადაცემა – დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე – მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი მოცულობა ნაკლებია ვიდრე წინასწარი პრიორიტეტულობით გადანაწილებული მოცულობა, მისი განაწილება ხორციელდება სპეციალური აუქციონის მეშვეობით, ამ წესების 14[17] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

6. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის განაწილებული მოცულობა (განაწილებული სიმძლავრე) ან „ALC" (Allocated Capacity) არის, სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის სიმძლავრის მოცულობა, რომელიც განაწილებულია კონკრეტული დროის პერიოდისთვის. ALC მოიცავს AAC-ის მოცულობას (NTC-NAC=ATC+ALC).

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*

**მუხლი 14[14]. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის გამტარუნარინობის განაწილების მიზნებისთვის გამოყენებული ძირითადი ცნებები**

1. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის გამტარუნარინობის განაწილების მიზნებისთვის გამოყენებულია შემდეგი ძირითადი ცნებები:

ა) „CAA" (Capacity for Allocation by Auction) – არის სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის აუქციონის წესით გასანაწილებელი მოცულობა, რომელიც შეიძლება იყოფოდეს ცალ – ცალკე ნაწილებად მინიმალური სიმძლავრის და მაქსიმალური სიმძლავრის გამოყენების მიხედვით („CAA"-ს კომპონენტები) ;

ბ) (ამოღებულია – 27.03.2015, N29);

გ) (ამოღებულია – 27.03.2015, N29);

დ) (ამოღებულია – 27.03.2015, N29);

ე) (ამოღებულია – 27.03.2015, N29);

2. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის აუქციონის წესით გასანაწილებელი მოცულობა ან „CAA" (Capacity for Allocation by Auction) ეტოლება:

ა) საწყის ხელმისაწვდომ მუცულობას (საწყისი ATC) – იმ შემთხვევაში, თუ საწყისი ხელმისაწვდომი მოცულობა (საწყისი ATC) უფრო ნაკლებია, ვიდრე წინასწარი პრიორიტეტულობით გადანაწილებული მოცულობა ან/და ასეთი მოცულობების ჯამი, როგორც ეს განსაზღვრულია ამ წესების 14[15] მუხლის მე-2 პუნქტით;

ბ) კალენდარული წლის 1 ნოემბრიდან მომდევნო მე-16 სამუშაო დღის მდგომარეობით არსებულ ნარჩენ ხელმისაწვდომ მოცულობას (ნარჩენი ATC) – იმ შემთხვევებში, რომლებიც განსაზღვრულია ამ წესების 14[17] მუხლის მე-3 პუნქტით;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული შემთხვევის გარდა, ნებისმიერ სხვა ნარჩენ ხელმისაწვდომ მოცულობას (ნარჩენი ATC) , თუ იგი აღემატება ნულს საანგარიშო კალენდარული წლის ერთი ან/და რამდენიმე საანგარიშო პერიოდისთვის, ამასთან აღნიშნული ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილება ხორციელდება წინამდებარე წესების მიხედვით;

დ) ნებისმიერი მომენტისთვის ALC”-ის სრულად ან ნაწილობრივ გამოთავისუფლების შედეგად წარმოქმნილ ხელმისაწვდომ ATC-ის მოცულობას, აუქციონი ტარდება მხოლოდ ასეთი გამოთავისუფლებული „ALC”-ის მოცულობაზე და მისი გამოთავისუფლების პერიოდზე

ე) არაგეგმიური შეზღუდვის („NTC” შემცირება ან „NAC” გაზრდა) შედეგად ხელახლა განსაზღვრულ „CAA”-ს სათანადო მოცულობას/მოცულობებს, თუ საანგარიშო კალენდარული წლის განმავლობაში ადგილი აქვს საქართველოს კანონმდებლობით ან საქართველოსა და მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემების დისპეტჩერიზაციაზე უფლებამოსილ დაწესებულებათა შორის შეთანხმებით გათვალისწინებული სპეციფიკური გარემოებების გამო „NTC”-ის შემცირებას ან/და „NAC”-ის გაზრდას იგივე გარემოებების გამო და საჭირო ხდება „ALC“-ის განტვირთვა, პრიორიტეტულობის ჯგუფებისთვის დადგენილი რიგის მიხედვით. აუქციონი ასეთ შემთხვევაში ცხადდება იმ საანგარიშო პერიოდზე (საანგარიშო კალენდარული წლის კალენდარული თვე, თვეები), რომელზეც ვრცელდება არაგეგმიური შეზღუდვა („NTC” შემცირება ან „NAC” გაზრდა). ამ შემთხვევაში, ანულირდება შეზღუდვის ქვეშ მყოფი პერიოდისთვის უკვე განაწილებული გამტარუნარიანობის მოცულობები იმ მონაწილეებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ბაზრის წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პრიორიტეტულობის ჯგუფს, ხოლო თუ ასეთი ანულირება არ არის საკმარისი „ALC“-ის საჭირო დონეზე განტვირთვისთვის, მაშინ გამტარუნარიანობის მოცულობები ანულირდება აგრეთვე იმ მონაწილეებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ბაზრის წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მომდევნო ზემდგომ პრიორიტეტულობის ჯგუფს, „ALC“-ის საჭირო დონეზე განტვირთვამდე;

ვ) ტრანზიტის მიღების არაგეგმიური შეზღუდვის (ამ წესების $14^{11}$ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ დადგენილი სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზის ხელმისაწვდომი მოცულობის შემცირება) შედეგად ტრანზიტის მიზნებისთვის ხელახლა განსაზღვრულ „CAA”-ს სათანადო მოცულობას/მოცულობებს, თუ საანგარიშო კალენდარული წლის განმავლობაში ადგილი აქვს ბაზრის წესების $14^{11}$ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ დადგენილი სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზის ხელმისაწვდომი მოცულობის შემცირებას და საჭირო ხდება ტრანზიტით დაკავებულ ნაწილში „ALC“-ის განტვირთვა. აუქციონი ასეთ შემთხვევაში ცხადდება იმ საანგარიშო პერიოდზე (საანგარიშო კალენდარული წლის კალენდარული თვე, თვეები) , რომელზეც ვრცელდება ტრანზიტის მიღების არაგეგმიური შეზღუდვა. ამ შემთხვევაში, ანულირდება ტრანზიტის მიღების შეზღუდვის ქვეშ მყოფი პერიოდისთვის ტრანზიტის დამკვეთ პირთა შორის უკვე განაწილებული გამტარუნარიანობის მოცულობები.

3. თუ არაგეგმიურ შეზღუდვას („NTC” შემცირება ან „NAC” გაზრდა) ადგილი აქვს საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე ან/და საანგარიშო პერიოდის დროს და საჭირო ხდება “ALC“-ის განტვირთვა, მაშინ “ALC“-ის განტვირთვა ხდება ბაზრის წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პრიორიტეტულობის ჯგუფების დადგენილი რიგის მიხედვით, დაწყებული პრიორიტეტულობის ბოლო ($14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) ჯგუფიდან, პრეტენდენტების მიერ აუქციონში წარმოდგენილი ფასების შესაბამისად, მინიმალური ოდენობიდან მაქსიმალურამდე. იმ შემთხვევაში, თუ“ALC“-ის განაწილება რომელიმე პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში განხორციელდა ანაზღაურების გარეშე, მაშინ ALC“-ის განტვირთვა ხდება შესაბამისი პრიორიტეტულობის ჯგუფს მიკუთვნებული ექსპორტიორების/რეექსპორტიორების/ტრანზიტიორებს მიერ შესაბამისი პერიოდისათვის წარმოდგენილი განაცხადების პროპორციულად.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის ბრძანება №57 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

**მუხლი $14^{15}$. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის გამტარუნარინობის განაწილების მომზადების ეტაპები**

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი არაუგვიანეს ყოველი წლის 1 აგვისტოსი განსაზღვრავს და საჯაროდ აცხადებს (ვებგვერდზე www.gse.com.ge ინფორმაციის განთავსებით) მომდევნო კალენდარული წლისთვის (წლებისთვის) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობას (NTC), ასევე მომდევნო კალენდარული წლისთვის (წლებისთვის), საანგარიშო პერიოდების მიხედვით, ATC-ის, ALC-ის, NAC-ის

მოცულობებს და ექსპორტის მიმართულებებს.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ყოველი წლის 1 აგვისტოდან 15 სამუშაო დღის ვადაში საწყის ხელმისაწვდომ მოცულობას (ATC) აკლებს წინასწარი პრიორიტეტულობით გადანაწილებულ მოცულობას (AAC) და განსაზღვრავს სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მომდევნო კალენდარული წლისთვის (წლებისთვის), საანგარიშო პერიოდების მიხედვით, განაწილებულ მოცულობას (ALC) და ATC-ის ნარჩენ მოცულობას. იმ შემთხვევაში, თუ საწყისი ხელმისაწვდომი მოცულობა (ATC) უფრო ნაკლებია, ვიდრე წინასწარი პრიორიტეტულობით გადანაწილებული მოცულობა ან/და ასეთი მოცულობების ჯამი, საწყისი ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილება ხორციელდება სპეციალური აუქციონის მეშვეობით, ამ წესების $14^{17}$ მუხლით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ყოველი წლის 1 სექტემბრამდე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი საჯაროდ (ვებ – გვერდზე www.gse.com.ge ინფორმაციის განთავსებით) აცხადებს მომდევნო კალენდარული წლის, საანგარიშო პერიოდების მიხედვით, NTC-ის, ATC-ის, ALC-ის (მ. შ. AAC-ის) და NAC-ის განახლებულ მოცულობებს.

3. ყოველი წლის 1 ნოემბრამდე პრეტენდენტი ექსპორტიორი და ტრანზიტის დამკვეთი საწარმო (შემდეგში – პრეტენდენტი) ვალდებულია წარადგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან განაცხადი ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის მის მიერ ასათვისებელი ოდენობის (მოთხოვნილი მოცულობა) თაობაზე.

4. იმ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნილი მოცულობა აღემატება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გამოცხადებულ ნარჩენ ხელმისაწვდომ მოცულობას, ან/და პრეტენდენტის მიერ ხელმოწერილი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან რეგისტრირებული ექსპორტის პირდაპირი ხელშეკრულებ (ებ) ის მოცულობ (ებ) ას, ასევე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან, ნათელია, რომ იგი იმყოფება გაკოტრების რეჟიმში, ან ლიკვიდაციის პროცესში, ან/და აქვს საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა, აგრეთვე თუ განაცხადი არ შეესაბამება ამ წესების $14^{16}$ მუხლის პირველი პუნქტით, ან/და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ან არ არის წარმოდგენილი სრულად, ან/და შესაბამის პრეტენდენტს არ აქვს მოპოვებული ამ წესების შესაბამისად საექსპორტოდ ნებადართული მოცულობით ან სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობით სარგებლობის უფლება, განაცხადი ვერ მიიღებს მონაწილეობას განაწილების პროცესში. ამასთან, პრეტენდენტს უფლება აქვს შეცვალოს ან გაიწვიოს (გააუქმოს) წარდგენილი განაცხადი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღეში ამოწმებს მიღებულ განაცხადებსა და თანდართულ დოკუმენტაციას და ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, ორი სამუშაო დღის ვადაში არეგისტრირებს მათ (განაცხადის რეგისტრაციის ვადა).

6. ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილებაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ რეგისტრირებული განაცხადები. ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილება ხორციელდება განაცხადების რეგისტრაციის ვადის ამოწურვიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*

**მუხლი $14^{16}$. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის გამტარუნარინობის განაწილებისთვის წარსადგენი ფორმები და საბუთები**

1. ამ წესების $14^{15}$ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ განაცხადის ფორმას ამტკიცებს და თავის ვებგვერდზე (www.gse.com.ge) აქვეყნებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი. განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) რეკვიზიტები (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი (ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი), ფაქტიური მისამართი, საკონტაქტო მონაცემები);

ბ) მითითება იმის შესახებ თუ პრიორიტეტულობის რომელ ჯგუფს მიეკუთვნება პრეტენდენტის მიერ ექსპორტზე გასატანი ელექტროენერგია (გენერაციის ობიექტების მითითებით) . იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს ექსპორტზე გააქვს რამდენიმე პრიორიტეტის ჯგუფზე მიკუთვნებული ელექტროენერგია, იგი ვალდებულია თავისი განაცხადით გათვალისწინებული მოცულობა დაყოს აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადის განხილვა არ მოხდება;

გ) მოთხოვნილი მოცულობა დაყოფილი კონკრეტული საანგარიშო პერიოდების (თვეების) მიხედვით. მოთხოვნილი მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს გამოქვეყნებულ ნარჩენ ხელმისაწვდომ მოცულობას რომელიმე თვისთვის, ასევე პრეტენდენტის მიერ ხელმოწერილ და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან რეგისტრირებული ექსპორტის პირდაპირი ხელშეკრულებ(ებ)ის მოცულობ(ებ)ას.

2. განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ექსპორტიორის, ან ტრანზიტის დამკვეთი პირის შემთხვევაში – ინფორმაცია საჯარო შეზღუდვის

არსებობის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრეტენდენტი არ იმყოფება გაკოტრების, ან ლიკვიდაციის პროცესში, გაცემული სათანდო უფლებამოსილების მქონე ორგანოების მიერ;

ბ) ექსპორტიორის შემთხვევაში, დამატებით წარმოსადგენია ინფორმაცია იმ ხელშეკრულებებისა და დოკუმენტების შესახებ, რომლებიც საჭიროა ექსპორტის უზრუნველსაყოფად:

ბ. ა) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის შესახებ;

ბ.ბ) ელექტროენერგიის ექსპორტზე სათანადო წესით რეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულების შესახებ;

ბ.გ) ელექტროენერგიის ექსპორტზე სათანადო წესით რეგისტრირებული ხელშეკრულების შესახებ;

ბ.დ) ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებაზე სათანადო წესით რეგისტრირებული პირდაპირ ხელშეკრულებაზე;

ბ.ე) ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე სათანადო წესით რეგისტრირებული პირდაპირ ხელშეკრულებაზე;

გ) ტრანზიტის დამკვეთი პირის შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენია:

გ.ა) შესაბამის უფლებამოსილ ლიცენზიატთან გაფორმებული ტრანზიტის უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულება;

გ.ბ) შესაბამისი ხელშეკრულება ელექტროენერგიის მიმღებ პირსა და ტრანზიტის დამკვეთს შორის ტრანზიტული ელექტროენერგიის ყიდვა – გაყიდვაზე/მიწოდებაზე;

გ.დ) ინფორმაცია სათანადო წესით რეგისტრირებული ტრანზიტის გადახრებზე ამ წესების $14^{8}$ მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის ხელშეკრულებებზე:

გ.დ.ა) ელექტროენერგიის ექსპორტის და იმპორტის ხელშეკრულებებზე – იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზიტის დამკვეთი არარეზიდენტი პირია;

გ.დ.ბ) ელექტროენერგიის ექსპორტის და იმპორტის პირდაპირ ხელშეკრულებებზე – იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზიტის დამკვეთი რეზიდენტი პირია.

გ.ე) იმ შემთხვევაში თუ ტრანზიტს არ ახორციელებს თავად ელ. ენერგიის მწარმოებელი პირი, ასევე წარმოსადგენია შესაბამისი ხელშეკრულება ელექტროენერგიის მიმწოდებელსა (გამყიდველსა) და ტრანზიტის დამკვეთს შორის ტრანზიტული ელექტროენერგიის შესყიდვაზე/მიწოდებაზე;

დ) ელექტროენერგიის რეექსპორტის შემთხვევაში, ამ მუხლის „ა“, „ბ. ა“, „ბ. გ“, „ბ. დ“ და „ბ. ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, დამატებით წარმოსადგენია ინფორმაცია ელექტროენერგიის იმპორტზე სათანადო წესით რეგისტრირებულ ხელშეკრულებაზე;

ე) ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში მყოფი განახლებადი ენერგიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტის შემთხვევაში, სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

ე.ა) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) გათვალისწინებული ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის განაწილების შედეგად ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის ექსპორტისთვის მოპოვებული გამტარუნარიანობის მთელ მოცულობაზე გადაიხდება დისპეტჩერიზაციის და გადაცემის მომსახურების ანაზღაურება, მიუხედავად იმისა რამდენად სრულად იქნება გამოყენებული და ათვისებული მოპოვებული გამტარუნარიანობა (განხორციელებული ელექტროენერგიის ექსპორტი) . გამონაკლისია მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც ექსპორტის შეზღუდვა გამოწვეულია დისპეტჩერიზაციის ან გადაცემის ლიცენზიატის ბრალით ან სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) გათვალისწინებული ახალი ელექტროგადამცემი ხაზის (როგორც საქართველოს, ისე შესაბამისი უცხო ქვეყნის მონაკვეთის) ტექნიკური გაუმართაობით მისი ექსპლუატაციაში მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში – ასეთ გამონაკლის შემთხვევებში დისპეტჩერიზაციის და გადაცემის მომსახურების ასანაზღაურებელი საფასურის ოდენობა შემცირდება შეზღუდვის ზემოქმედების პერიოდში/მოცულობით.

ე.ბ) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) გათვალისწინებული ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის განაწილების შედეგად ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის ექსპორტისთვის მოპოვებული გამტარუნარიანობის მთელ მოცულობაზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს გამტარუნარიანობის განაწილების შედეგების გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში წარედგინება საბანკო გარანტიები ყველა შესაბამისი ლიცენზიატის მიმართ, რომლებიც უნდა ფარავდეს დისპეტჩერიზაცია/გადაცემის მომსახურების მთელ ჯამურ საფასურს (შესაბამისი ლიცენზიატების მიხედვით) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის ექსპორტისთვის მოპოვებული გამტარუნარიანობის მთელ მოცულობაზე (ექსპორტის მთლიან პერიოდზე) . საბანკო გარანტიის პირობები წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან და იგი უნდა იძლეოდეს შესაბამისი ლიცენზიატის პირველივე მოთხოვნისთანავე საგარანტიო თანხის უპირობოდ მიღების შესაძლებლობას. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იქნეს საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ ან „ეკონომიკური

თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) " წევრ ნებისმიერ ქვეყანაში მოქმედი ბანკის მიერ, რომლის გარანტიაც კონტრ – გარანტიის საფუძველზე, გადაზღვეულია საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ.

ვ) ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი საბუთების ან მონაცემების წარმოდგენა.

$2^{1}$. (ამოღებულია – 08.06.2015, N57).

3. ექსპორტიორისათვის (რეექსპორტიორისთვის) ან ტრანზიტის დამკვეთი პირისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული ხაზის გამტარუნარიანობის მის მიერ მოთხოვნილ მოცულობაზე ნაკლები მოცულობით განაწილების შემთხვევაში, ასეთი პირი (ექსპორტიორი, რეექსპორტიორი, ტრანზიტის დამკვეთი საწარმო) ვალდებულია განაწილების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წარუდგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს დადგენილი წესით ხელმოწერილი ყველა შესაბამისი (ამ მუხლის მე –2 პუნქტის შესაბამისად) ხელშეკრულების ცვლილება – განაწილების შედეგების მიხედვით მისთვის ფაქტიურად განაწილებული გამტარუნარიანობის მოცულობის შესაბამისად, ხოლოჲ ამ მუხლის $2^{1}$ პუნტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი პირი უფლებამოსილია შეამციროს საბანკო გარანტიის მოცულობა შესაბამისი ოდენობით და დამატებით წარმოადგინოს იგი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან არსებულის ჩასანაცვლებლად ან არსებულთან ერთად გამოსაყენებლად.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 2 ივლისის ბრძანება №75 – ვებგვერდი, 04.07.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის ბრძანება №57 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 20 მაისის ბრძანება №30 – ვებგვერდი, 23.05.2016წ.*

**მუხლი $14^{17}$. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის გამტარუნარინობის განაწილების წესი**

1. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის არსებული რომელიმე საანგარიშო პერიოდისთვის არ აღმოჩნდება საკმარისი ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის რომელიმე ერთი ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის („ბ", „გ" ან „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის) ყველა პრეტენდენტის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ახალი ელექტროგადამცემი ხაზის არსებული არასაკმარისი გამტარუნარიანობა ნაწილდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პრიორიტეტულობის რიგითობის დაცვით ჩატარებული სპეციალური აუქციონის შედეგების მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის არსებული არასაკმარისი გამტარუნარიანობის განაწილების წესები გამოიყენება ხაზის გამტარუნარიანობის იმ ნაშთის (ნარჩენი თავისუფალი მოცულობის) მიმართ, რომელიც რჩება პრიორიტეტულობის მომდევნო რიგის (ჯგუფის) დასაკმაყოფილებლად წინა რიგის (ჯგუფის) პრიორიტეტის სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობა სრულად ნაწილდება ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული პრიორიტეტების რომელიმე ჯგუფის ფარგლებში ისე, რომ სრულად აკმაყოფილებს შესაბამისი ჯგუფის პრეტენდენტ ექსპორტიორთა და ტრანზიტის დამკვეთების (რეექსპორტის განმახორციელებელთა) მოთხოვნილ მოცულობებს, აუქციონი არ ტარდება და ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობა ნაწილდება სათანადო პრიორიტეტულობის ჯგუფის წევრებზე მოთხოვნილი მოცულობების შესაბამისად. სხვა შემთხვევებში ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილება ხორციელდება ამ მუხლისა და სპეციალური აუქციონის პროცედურების შესაბამისად.

4. თუ აუქციონი იმართება ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) აუქციონის გარეშე განაწილების ეტაპის შედეგების მიხედვით, მაშინ აუქციონში მონაწილეობისა და პრეტენდენტის სტატუსით სარგებლობის უფლება, შესატყვის საანგარიში პერიოდებსა და „CAA"-ს მოცულობებზე, ენიჭება მხოლოდ იმ პირებს, რომელთა რეგისტრირებული განაცხადების დაკმაყოფილება ვერ განხორციელდა ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) აუქციონის გარეშე განაწილების ეტაპზე.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*

**მუხლი $14^{18}$. ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) აუქციონის გარეშე და აუქციონის გზით განაწილების შემთხვევები**

1. ხელმისაწვდომი მოცულობა (ATC) აუქციონის გარეშე განაწილების ეტაპზე შეიძლება განაწილდეს შემდეგ შემთხვევებში და წესით:

ა) თუ ამ წესების 14 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში წარდგენილი და რეგისტრირებული განაცხადებით მოთხოვნა არ აღემატება შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტებს და ამავდროულად არ აღემატება იგივე საანგარიშო პერიოდისთვის საექსპორტოდ ნებადართულ მოცულობას – ასეთ შემთხვევაში აღნიშნული განაცხადების მოთხოვნები კმაყოფილდება სრულად;

ბ) თუ ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში წარდგენილი და რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი განაცხადი და მისი მოთხოვნა აღემატება შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტებს ან/და აღემატება იგივე საანგარიშო პერიოდისთვის საექსპორტოდ ნებადართულ მოცულობას – ასეთ შემთხვევაში აღნიშნული განაცხადის მოთხოვნა კმაყოფილდება მხოლოდ ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვისი კომპონენტის ან საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის შემზღუდავი მნიშვნელობის ფარგლებში;

გ) თუ ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში წარდგენილი და რეგისტრირებული განაცხადებით მოთხოვნა არ აღემატება წინა უპირატესობის ჯგუფის ფარგლებში ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში აუქციონის მეშვეობით) შედეგად შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის დარჩენილი ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტებს, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული განაცხადების მოთხოვნები კმაყოფილდება სრულად;

დ) თუ ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში წარდგენილი და რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი განაცხადი, რომლის მოთხოვნაც აღემატება წინა უპირატესობის ჯგუფის ფარგლებში ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში აუქციონის მეშვეობით) შედეგად შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის დარჩენილი ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტებს, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული განაცხადის მოთხოვნა კმაყოფილდება მხოლოდ დარჩენილი ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვისი კომპონენტის ფარგლებში;

ე) ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში წარდგენილი და რეგისტრირებული განაცხადების მოთხოვნები კმაყოფილდება სრულად, თუ ასეთი ექსპორტზე და ტრანზიტზე (რეექსპორტზე) მოთხოვნა ჯამურად არ აღემატება წინა უპირატესობის ჯგუფების ფარგლებში ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში აუქციონის მეშვეობით) შედეგად შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის დარჩენილი ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტებს;

ვ) თუ ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში წარდგენილი და რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი განაცხადი, რომლის მოთხოვნაც:

ვ.ა) ტრანზიტის (რეექსპორტის) შემთხვევაში - აღემატება წინა უპირატესობის ჯგუფების ფარგლებში ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში აუქციონის მეშვეობით) შედეგად შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის დარჩენილი ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტებს,

ვ.ბ) ექსპორტის შემთხვევაში – წინა უპირატესობის ჯგუფების ფარგლებში ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში აუქციონის მეშვეობით) შედეგად აღემატება შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის დარჩენილი ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტებს, ასეთ შემთხვევებში (ვ.ა და ვ.ბ ქვეპუნქტები) განაცხადის მოთხოვნა კმაყოფილდება შესაბამისად დარჩენილი ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტის მნიშვნელობის ფარგლებში;

ზ) ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში წარდგენილი და რეგისტრირებული განაცხადების მოთხოვნები ექსპორტის ნაწილში კმაყოფილდება სრულად, თუ ექსპორტზე ასეთი მოთხოვნების და იგივე საანგარიშო პერიოდისთვის ტრანზიტზე (რეექსპორტზე) მოთხოვნების ჯამი არ აღემატება წინა უპირატესობის ჯგუფების ფარგლებში ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში აუქციონის მეშვეობით) შედეგად შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის დარჩენილი ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტებს;

თ) ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში წარდგენილი და რეგისტრირებული განაცხადების მოთხოვნები ტრანზიტის (რეექსპორტის) ნაწილში კმაყოფილდება სრულად, თუ:

თ.ა) ტრანზიტზე (რეექსპორტზე) ასეთი მოთხოვნების და იგივე საანგარიშო ექსპორტზე მოთხოვნილი მოცულობის ჯამი არ აღემატება წინა უპირატესობის ჯგუფების ფარგლებში ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში აუქციონის მეშვეობით) შედეგად შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის დარჩენილი ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) შესატყვის კომპონენტებს;

თ.ბ) ტრანზიტზე ასეთი მოთხოვნები არ აღემატება იგივე საანგარიშო პერიოდისთვის სატრანზიტოდ ნებადართულ გამტარუნარიანობას.

2. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისა, ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილება ხორციელდება სპეციალური აუქცინოს წესით.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი არ ატარებს სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების სპეციალური აუქციონს, თუ რომელიმე საანგარიშო პერიოდში ამ ხაზით გასატანი ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობისა და სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის ჯამური ოდენობა იგივე საანგარიშო პერიოდში არსებული ATC-ს მოცულობაზე ნაკლებია ან ტოლია.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის საანგარიშო პერიოდში ATC-ს განაწილება მოხდება ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად, იგივე საანგარიშო პერიოდში მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობისა და სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის ოდენობების შესაბამისად.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*

**მუხლი 14[19]. ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების შედეგების პუბლიკაცია**

განაწილების შედეგები, NTC-ის, ATC-ის, ALC-ის (მ.შ. AAC-ის) და NAC-ის განახლებული მოცულობების სახით, ასევე ATC-ს დარჩენილი მოცულობა (ნაშთი) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ ორი სამუშაო დღის ვადაში ცხადდება საჯაროდ (ვებგვერდზე www.gcat.com.ge ინფორმაციის განთავსებით). დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია ATC-ს დარჩენილი მოცულობის (ნაშთის) განაწილების მიზნით, ყოველი ან ნებისმიერი მომდევნო საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე გამოაცხადოს სპეციალური აუქციონი.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის ბრძანება №57 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

**მუხლი 14[20]. სპეციალური (ელექტრონული) აუქციონის წესები**

1. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის და შიდა შემზღუდავი რესურსის განაწილება/გადანაწილებისთვის სპეციალური აუქციონი (ელექტრონული აუქციონი) ხორციელდება ელექტრონულად. სპეციალური აუქციონის ჩატარების წესები სამინისტროსთან შეთანხმებით მტკიცდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ქვეყნდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ვებგვერდზე.

2. აუქციონში გამარჯვებულის მიერ მასზე განაწილებული სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობაზე თუ შიდა შემზღუდავ რესურსზე უარის თქმა არ ათავისუფლებს მას შესაბამისი გამტარუნარიანობის მოცულობის უზრუნველყოფის დამატებითი საფასურის თუ შიდა შემზღუდავი რესურსის ღირებულების გადახდისგან.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*

**მუხლი 14[21]. აუქციონის შედეგად დამატებითი საფასურის გადახდის საფუძვლები და წესი**

1. თუ ექსპორტიორის/რეექსპორტიორის ან/და ტრანზიტორის მიერ რომელიმე საანაგარიშო პერიოდის განმავლობაში სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის ერთეულის (მგვტსთ.) სარგებლობისთვის გადასახდელი დამატებითი საფასურის ოდენობა მეტია ან ტოლია იგივე პერიოდში შიდა შემზღუდავი რესურსის ხელმისაწვდომი მოცულობის ერთეულით (მგვტსთ.) სარგებლობის ღირებულების ოდენობაზე, მაშინ გადაიხდება მხოლოდ სისტემათაშორისი გადადინებისათის ( ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის სარგებლობისათვის დამატებითი საფასური, ხოლო სხვა შემთხვევაში – მხოლოდ შიდა შემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულება“;

2. გამარჯვებული მონაწილე „CAA“-ს შესაბამის მოცულობაზე გადაცემის უფლების მინიჭებისთვის აანაზღაურებს აუქციონის შედეგად განსაზღვრულ საფასურს და შიდა შემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულებას (თუ არსებობს საფუძველი ასეთის გადახდევინებისთვის) .

3. აუქციონის შედეგად დადგენილი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის დამატებითი საფასური წარმოადგენს ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი გადაცემის შესაბამისი ლიცენზიატის, ხოლო საექსპორტოდ ნებადართული მოცულობით სარგებლობის ღირებულება, წარმოადგენს იმ ხაზის მფლობელი გადაცემის შესაბამისი ლიცენზიატის შემოსავლის დამხმარე წყაროს, რომლის მეშვეობითაც ექსპორტის მიზნით მოხდა საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილება.

4. ტრანზიტის (რეექსპორტის) მიზნებში გადასახდელი სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობით სარგებლობის ღირებულება წარმოადგენს ასეთი ტრანზიტის (რეექსპორტის) განხორციელებაში მონაწილე სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის (გარდა სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზისა) მფლობელი გადაცემის შესაბამისი ლიცენზიატის (ლიცენზიატების) შემოსავლის დამხმარე წყაროს. თუ ტრანზიტის (რეექსპორტის) მიზნებში გადასახდელი სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობით სარგებლობის ღირებულება ტრანზიტის (რეექსპორტის) განხორციელებაში მონაწილე რომელიმე სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზზე გასანაწილებელია ასეთი ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელ რამდენიმე გადაცემის ლიცენზიატს შორის, განაწილება მათ შორის განხორციელდება გადაცემის ლიცენზიატებისთვის შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის დადგენილი გადაცემის ტარიფების პროპორციულად.

4[1]. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში განსაზღვრული დამატებითი საფასური აუქციონის მონაწილის მიერ აუქციონში განაცხადის წარდგენისას უნდა იყოს მითითებული „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ გათვალისწინებული დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე.

4[2]. გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია წინასწარ, გამარჯვებულად გამოვლენის და სათანადო ანგარიშფაქტურის მიღების დღიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში, გადაიხადოს აუქციონის შედეგად დადგენილი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის დამატებითი საფასური ან აუქციონის შედეგად დადგენილი შიდაშემზღუდავი მოცულობით სარგებლობის ღირებულება (დღგ – ის ჩათვლით) არანაკლებ 25%-ის (ოცდახუთი პროცენტი) ოდენობით, ხოლო დარჩენილ ნაწილზე (წინასწარ მთლიანად გადაუხდელობის შემთხვევაში) იმავე ვადაში წარმოადგინოს საბანკო გარანტია. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული მონაწილე გამოვლენილია ექსპორტის/ტრანზიტის/რეექსპორტის საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არანაკლებ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღით ადრე, იგი უფლებამოსილია წინასწარი გადახდა ან/და საბანკო გარანტიის წარდგენა დარჩენილ ნაწილზე განახორციელოს უფრო გვიანაც, მაგრამ საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

4[3]. საბანკო გარანტია:

ა) უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესების 14[16] მუხლის მე-2 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა უნდა ვრცელდებოდეს წარმოდგენის დღიდან გადადინების დასრულების საანგარიშო პერიოდის მომდევნო 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ჩათვლით პერიოდზე;

ბ) უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი გადაცემის ლიცენზიანტის უფლებას უპირობოდ მიიღოს საბანკო გარანტიის შესაბამისი თანხა, თუ იგი არ იქნება გადახდილი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, გამარჯვებული მონაწილისთვის შესაბამისი კორექტირებული ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში“;

5. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული მონაწილე სრულად, ან ნაწილობრივ უარს აცხადებს მასზე განაწილებული „CAA“-ს მოცულობის გამოყენებაზე, მას არ დაუბრუნდება წინასწარ გადახდილი დამატებითი საფასური, აგრეთვე შიდა შემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულება, ხოლო თუ წინასწარი გადახდის ნაცვლად წარმოდგენილია საბანკო გარანტია, განხორციელდება გარანტიის რეალიზება გამოუყენებელი „CAA“-ს მოცულობაზე გადასახდელი საფასურის, აგრეთვე შიდა შემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულების ოდენობის შესაბამისად.

6. თუ გამარჯვებული მონაწილე ამ მუხლის 4[2] პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში სრულად არ გადაიხდის შესაბამის თანხას ან არ წარმოადგენს სათანადო საბანკო გარანტიას, ან სრულად ან ნაწილობრივ უარს აცხადებს მასზე განაწილებული „CAA“-ს მოცულობის გამოყენებაზე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია ჩამოართვას მას განაწილებული შიდაშემზღუდავი რესურსით და/ან ხაზის გამტარუნარიანობის შესაბამისი მოცულობით სარგებლობის უფლება, ხსენებული ვადის გასვლის შემდეგი დღიდან, ამასთან, აღნიშნული მონაწილე ვალდებულია

აუნაზღაუროს გადაცემის შესაბამის ლიცენზიანტს საჯარიმო თანხა, მის მიერ გამოუყენებელი „CAA"-ს მოცულობაზე გადასახდელი დამატებითი საფასური ან შიდაშემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულება, რომელიც იყო გადასახდელი $14^{21}$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გამოთავისუფლებული შიდაშემზღუდავი რესურსის მოცულობა ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობა გაუნაწილდება აუქციონის წაგებულ მონაწილეთა შორის ყველაზე მაღალი ფასის შემთავაზებელ მონაწილეს, ხოლო თუ ამის შემდგომ კვლავ დარჩება გამონთავისუფლებული მოცულობა, იგი გაუნაწილდება რიგით მომდევნო ყველაზე მაღალი ფასის წარმომდგენ წაგებულ მონაწილეს და ა. შ სანამ სრულად არ იქნება განაწილებული გამოთავისუფლებული შიდაშემზღუდავი რესურსის მოცულობა ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობა. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამარჯვებული მონაწილე, რომელზე განაწილებული მოცულობაც გამოთავისუფლდა ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, გამოვლენილი იყო ექსპორტის/ტრანზიტის/რეექსპორტის საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არანაკლებ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღით ადრე – ამ შემთხვევაში გამოთავისუფლებულ მოცულობაზე ცხადდება შესაბამისი აუქციონი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე შიდაშემზღუდავი მოცულობისა ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის სარგებლობის უფლების მიმღები აუქციონის მონაწილეები ვალდებულნი არიან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში წინამდებარე მუხლის $4^2$ პუნქტის შესაბამისად გადაიხადონ წარმოდგენილი ფასის მიხედვით ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის დამატებითი საფასურის ან აუქციონის შედეგად დადგენილი შიდაშემზღუდავი მოცულობით სარგებლობის ღირებულების (დღგ-ს ჩათვლით) არანაკლებ 25% (ოცდახუთი პროცენტი), და წარმოადგინონ ამავე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი საბანკო გარანტია დარჩენილ ნაწილზე და ის მონაწილე, რომელმაც არ შეასრულა ამ პუნქტით დადგენილი მოთხოვნები, კარგავს შიდაშემზღუდავი მოცულობის ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის სარგებლობის უფლებას და ამის შედეგად გამოთავისულებული, საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განკარგვა ხდება ამ წესების მე-$14^{23}$ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

9. თუ ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დარჩება გაუნაწილებელი მოცულობა, რომლის შედეგადაც გამოთავისუფლდა საექსპორტოდ ნებადართული მოცულობა, ამ მოცულობის განკარგვა მოხდება ამ წესების $14^{23}$ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

10. აუქციონის შედეგად დადგენილი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის საფასური ან შიდაშემზღუდავი მოცულობით სარგებლობის ღირებულება არ გადაიხდება იმ შემთხვევაში თუ:

ა) გამარჯვებული მონაწილის მიერ ვერ მოხერხდა ამ მოცულობების გამოყენება საქართველოს ან/და მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემაში შექმნილი მდგომარეობის გამო (მათ შორის, ავარიული სიტუაციის ან მეზობელ ენერგოსისტემასთან პარალელური მუშაობის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების გამო);

ბ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ გაცემული განკარგულების ან/და მითითების საფუძველზე შეიზღუდა ან შეწყდა ელექტროენერგიის ექსპორტი, რის შედეგადაც არ მოხდა გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ გასატანი ელექტროენერგიის მოცულობის ნაწილობრივ ან სრულად გატანა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მითითება გამოწვეულია გამარჯვებული მონაწილის, მისი მყიდველის ან/და მისი მიმწოდებლის მოქმედებით ან/და უმოქმედობით (მათ შორის, გასატანი ენერგიის (სიმძლავრის) უზრუნველსაყოფად საჭირო ენერგიის არგამომუშავების მიზეზით);

გ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტმა არ შეითანხმა გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ექსპორტის/ტრანზიტის განაცხადი ან მოახდინა ამ განაცხადის შემცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განაცხადი არ არის წარმოდგენილი დადგენილი წესის შესაბამისად ან/და არ შეესაბამება განაწილების ან სპეციალური აუქციონის შედეგებს;

11. აუქციონის შედეგად დადგენილი შიდაშემზღუდავი მოცულობით სარგებლობის ღირებულების ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის საფასური არ იქნება გადახდილი მხოლოდ იმ მოცულობაზე, რომლის გატანაც არ განხორციელდა ამ მუხლის მე-10 პუნქტში მითითებული გარემოებების გამო.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტი არ ვრცელდება იმ ექსპორტიორებზე, რომელთანაც გაფორმებულია ამ წესების მე-$14^1$ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მრავალწლიანი ხელშეკრულება – მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში.

13. აუქციონის შედეგად დადგენილი შიდაშემზღუდავი მოცულობის ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის გამოუყენებელი ნაწილი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის გამარჯვებული მონაწილის მიერ დაგეგმილ სიმძლავრესა (მგვტ) და ფაქტიურად გატანილ სიმძლავრეს შორის სხვაობას იმ საათ (ებ)

ისთვის, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებით გამოწვეულ გეგმიდან გადახრას. პერიოდი დგინდება წუთების სიზუსტით, ხოლო მიუწოდებელი ენერგიის მოცულობა დგინდება კვტსთ – ებში, სრული საათის მონაცემებიდან გამომდინარე. თუ საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა გეგმიდან რამოდენიმე გადახრას, მაშინ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემზღუდავი მოცულობის ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის გამოუყენებელი ნაწილი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თითოეული ასეთი შემთხვევის დროს მიუწოდებელი ენერგიის ჯამს.

14. აუქციონის შედეგად დადგენილი შიდაშემზღუდავი მოცულობის ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის გამოუყენებელი ნაწილის დადგენა ხდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

15. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საბანკო გარანტიის მიმღებ პირს უფლება აქვს გამოიხმოს გამარჯვებული მონაწილის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია ამ მუხლის მე-14 პუნქტში მითითებული ვადის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ვერ განხორციელდა მოცულობების გამოყენება;

16. აუქციონის შედეგად დადგენილი შიდაშემზღუდავი რესურსის მოცულობით სარგებლობის ღირებულების ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის საფასური, რომელიც არ ექვემდებარება გადახდას ამ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად გამოითვლება, როგორც ამ მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით დათვლილი მოცულობა გამრავლებული აუქციონზე შემოთავაზებულ ფასზე. თუ გამარჯვებულ მონაწილეს შემოთავაზებული ჰქონდა რამოდენიმე ფასი, იმ საფასურის დათვლა, რომელიც არ ექვემდებარება გადახდას იწყება უმცირესი ფასის შემოთავაზებით დადგენილი (განაწილებული) სიმძლავრის ეკვივალენტი ენერგიის საფასურიდან უდიდესი ფასის შემოთავაზებით დადგენილი (განაწილებული) სიმძლავრის ეკვივალენტური ენერგიის საფასურისკენ.

17. გამარჯვებული მონაწილის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად თანხის წინასწარ სრულად გადახდის შემთხვევაში, მას უბრუნდება შიდაშემზღუდავი მოცულობით სარგებლობის ღირებულების ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის საფასურის ის ნაწილი, რომელიც არ ექვემდებარება გადახდას.

18. შიდაშემზღუდავი რესურსით ხელმისაწვდომი მოცულობით სარგებლობის ღირებულება ან/და სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობით (სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის შემთხვევაში შესაბამისი „CAA“-ის მოცულობა) სარგებლობის დამატებითი საფასური გადახდილ უნდა იქნეს ელექტროენერგიის ექსპორტის (გადადინების) განხორციელების საანგარიშსწორებო პერიოდის დასრულების შემდეგ განხორციელებული ელექტროენერგიის ექსპორტის ფაქტობრივი შედეგების შესაბამისად წინამდებარე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული პირობებით. შესაბამისად იმ შემთხვევაში თუკი გამარჯვებული მონაწილის მიერ წარმოდგენილია საბანკო გარანტია, შემზღუდავი რესურსის ხელმისაწვდომი მოცულობით სარგებლობის ღირებულება ან/და სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობით (სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის შემთხვევაში შესაბამისი „CAA“-ის მოცულობა) სარგებლობის დამატებითი საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს საანგარიშსწორებო პერიოდში განხორციელებული ექსპორტის მოცულობაზე გამოწერილი შესაბამისი კორექტირებული საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გადახდის ვადის ამოწურვისთანავე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ განხორციელდება გამარჯვებული მონაწილის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიის რეალიზება.

19. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული მონაწილის მიერ წინამდებარე მუხლის $4^2$ პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში განხორციელდება შიდაშემზღუდავი რესურსით ხელმისაწვდომი მოცულობით სარგებლობის ღირებულების ან/და სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობით (სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის შემთხვევაში შესაბამისი „CAA“-ის მოცულობა) სარგებლობის დამატებითი საფასურის გადახდა, ხოლო საანგარიშსწორებო პერიოდის დასრულების შემდეგ სახეზე იქნება გამარჯვებული მონაწილის მიერ აუქციონის წესით მოპოვებული ექსპორტის მოცულობის სრულად ან ნაწილობრივ გაუტანლობას შესაბამის საანგარიშსწორებო პერიოდში, შესაბამისი კორექტირებული საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე უნდა დაუბრუნდეს შიდაშემზღუდავი რესურსის ხელმისაწვდომი მოცულობით სარგებლობის ღირებულების ან/და სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობით

(სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის შემთხვევაში შესაბამისი „CAA“-ის მოცულობა) განაწილების/გადანაწილების დამატებითი საფასურის შესატყვისი ოდენობა ელექტროენერგიის იმ მოცულობაზე, რომლის ექსპორტიც ვერ განხორციელდა წინამდებარე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების პირობების გათვალისწინებით.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის ბრძანება №57 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

**მუხლი $14^{22}$. გამტარუნარიანობით სარგებლობის უფლების გადაცემა/რეალოკაცია**

1. თუ რომელიმე საანგარიშო პერიოდისთვის (წელი, თვე) ან ასეთი პერიოდის გარკვეული ნაწილისთვის (დღე, საათი) ცნობილია, რომ სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის რომელიმე მომხმარებელი ვერ უზრუნველყოფს მისთვის განკუთვნილი გამტარუნარიანობის მოცულობის სრულად ათვისებას:

ა) შესაბამისი მომხმარებელი უფლებამოსილია, გადამცემი სისტემის ოპერატორთან შეთანხმებით, ასეთი გამოთავისუფლებელი გამტარუნარიანობის მოცულობა წერილობითი ხელშეკრულების (გამტარუნარიანობით სარგებლობის უფლების გადაცემის ხელშეკრულება) საფუძველზე გადასცეს სხვა პირს/პირებს. ასეთი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესებითა და სპეციალური აუქციონის წესებით ექსპორტიორისთვის/ტრანზიტის დამკვეთისთვის დადგენილ პირობებს, ამასთან, არ არის სავალდებულო პირი მიეკუთვნებოდეს იმავე პრიორიტეტულ ჯგუფს, რომლის ფარგლებში მოპოვებული გამტარუნარიანობის უფლების გადაცემაც ხდება;

ბ) გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, განახორციელოს გამოთავისუფლებული გამტარუნარიანობის მოცულობის რეალოკაცია (გადანაწილება) ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პრიორიტეტულობის რიგითობის დაცვით ჩატარებული სპეციალური აუქციონის შედეგების მიხედვით.

2. გამტარუნარიანობით სარგებლობის უფლების გადაცემის ხელშეკრულება ამ წესებით $14^{16}$ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად (იმის მიხედვით ექსპორტის მიზნებისთვის ხდება გადაცემა თუ ტრანზიტის) ექვემდებარება გადამცემი სისტემის ოპერატორთან სავალდებულო წარდგენას. გადამცემი სისტემის ოპერატორი ამოწმებს წარდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაცემული გამტარუნარიანობის მოცულობას და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის (წელი, თვე) ან ასეთი პერიოდის გარკვეული ნაწილისთვის (დღე, საათი) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის რეალოკაციას (გადანაწილებას).

3. გადამცემი სისტემის ოპერატორთან წარდგენილი გამტარუნარიანობით სარგებლობის უფლების გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე, გამტარუნარიანობის ახალი მომხმარებელი, გამტარუნარიანობის შესაბამისი მოცულობის მოხმარების ნაწილში იძენს ძველი მომხმარებლის უფლებებსა და მოვალეობებს.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 21 ივლისის ბრძანება №1-1/322 - ვებგვერდი, 21.07.2022 წ.*

**მუხლი $14^{23}$. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების წესი**

1. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის მსურველი პრეტენდენტები, ვალდებული არიან არაუგვიანეს 1 ნოემბრისა წარუდგინონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შესაბამისი განაცხადი, რომელშიც უნდა მიუთითონ შემდეგი ინფორმაცია:

ა) გასატანი ელექტროენერგიის მოცულობა;

ბ) გასატანი სიმძლავრის მაქსიმალური ოდენობა;

გ) ექსპორტის დანიშნულების ქვეყანა, ექსპორტის განხორციელებისთვის საჭირო სისტემათაშორისი ელექტროგდამცემი ხაზის მითითებით;

დ) სათანადოდ რეგისტრირებული ელექტროენერგიის ექსპორტის იმ ხელშეკრულებებისა და პირდაპირი ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ელექტროენერგიის ექსპორტი ცალ-ცალკე მოცულობების მითითებით.

2. პრეტენდენტის განაცხადი არ განიხილება და არ დაიშვება საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად თუ:

ა) პრეტედენტს არ გააჩნია ექსპორტიორის სტატუსი;

ბ) პრეტენდენტს ელექტროენერგიის ექსპორტზე არ გააჩნია გადაცემა დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე რეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულებები;

გ) მოთხოვნილ საანგარიშო პერიოდში პრეტენდენტს უკვე გააჩნია მის განაცხადში წარმოდგენილი ელექტროენერგიის ექსპორტის მიზნით საექსპორტოდ ნებადართული მოცულობით ან/და სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის ნაწილით სარგებლობის უფლება;

დ) პრეტედენტის მიერ მოთხოვნილი მოცულობა აღემატება საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ხელმისაწვდომ ოდენობას;

ე) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი ითვალისწინებს ერთი და იგივე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის, სხვადასხვა მიმართულებით ექსპორტს ერთი და იგივე საანგარიშო პერიოდისთვის;

ვ) განაცხადი წარმოდგენილია ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დარღვევით;

ზ) პრეტენდენტის გადაცემის მომსახურებასთან დაკავშირებით რეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში შიდაშემზღუდავი მოცულობით სარგებლობის ღირებულების ან ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის საფასურის დადგენილი წესით გადახდის ვალდებულებას.

3. პრეტენდენტის მიერ მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ფარგლებში ელექტროენერგიის ექსპორტის მიმართულება (სისტემათაშორისი ხაზი) დგინდება მიღებული განაცხადების საფუძველზე, ხოლო შესაბამის საანგარიშო პერიოდში და პრეტენდენტისთვის განაწილებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ოდენობის დადგენა ხორციელდება აუქციონის გზით.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში ატარებს საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების სპეციალურ აუქციონს.

5. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის სპეციალური აუქციონის განაწილების შედეგად მიღებული სარგებლობის უფლება გამოიყენება მხოლოდ ისეთი ქვეყნის მიმართულებით, იმ სისტემათაშორისი ხაზით და იმ მოცულობით (სიმძლავრით) ელექტროენერგიის გატანისთვის, რისთვისაც მოხდა ამ საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის მოთხოვნა.

$5^1$. გამარჯვებული მონაწილის მიერ საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის სპეციალური აუქციონის განაწილების შედეგად მიღებული სარგებლობის უფლება გამოიყენება მხოლოდ იმ ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროეენერგიის ექსპორტისათვის, რომლებთანაც წარმოდგენილია ექსპორტზე პირდაპირი ხელშეკრულება. დაუშვებელია განაწილების შემდეგ გასატანი ელექტროენერგიის უზრუნველყოფის წყაროების ჩანაცვლება.

$5^2$. თუ ცნობილი გახდა, რომ საექსპორტოდ განკუთვნილი რომელიმე სადგურ (ებ) ის გამომუშავებული ელექტროენერგია არ აღმოჩნდება საკმარისი ექსპორტის სრული მოცულობის დასაკმაყოფილებლად, შესაბამისი ექსპორტიორი უფლებამოსილია წარმოადგინოს დამატებითი პირდაპირი ხელშეკრულება ექსპორტზე.

$5^3$. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ამ მუხლის $5^2$ პუნქტის ფარგლებში წარმოდგენილ ხელშეკრულებას არეგისტრირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ამ ხელშეკრულების ფარგლებში გასატანი ელექტროენერგია დისპეტჩირებადია;

ბ) ხელშეკრულებაში წარმოდგენილი ელექტროსადგური მიეკუთვნება $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იგივე ან ზედა პრიორიტეტულობის ჯგუფს, რომლის ფარგლებშიც მოხდა საექსპორტოდ ნებადაართული მოცულობის განაწილება.

$5^4$. ამ მუხლის $5^2$ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, თუ არ მოხდა ექსპორტზე დამატებითი პირდაპირი ხელშეკრულების წარდგენა ან ამ მუხლის $5^3$ პუნქტის წესების დაცვით არ მოხდა ხელშეკრულების რეგისტრაცია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ზღუდავს ექსპორტს იმ მოულობით, რომლის გამომუშავებაც არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში შეუძლებელია.

6. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის უფლება გააჩნია ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის ჯგუფს მიკუთვნებული ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტის პრეტენდენტებს, რომლებსაც წარმოდგენილი აქვთ ამ წესების $14^{15}$ და $14^{23}$ მუხლების შესაბამისი განაცხადები.

7. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილებისას მოქმედებს ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის მიერ „გ“ და „დ“ პრიორიტეტულობის ჯგუფისთვის დადგენილი პრიორიტეტულობის/უპირატესობის წესები.

8. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის სპეციალურ აუქციონზე თუ მოთხოვნების საერთო

ჯამური ოდენობა არ აღემატება საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ხელმისაწვდომ ოდენობას, ხელმისაწვდომი ოდენობა განაწილდება მოთხოვნილი მოცულობების შესაბამისად და შემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულება არ გადაიხდება.

9. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების საერთო ჯამური ოდენობა აღემატება საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ხელმისაწვდომ ოდენობას, მოთხოვნების დაკმაყოფილება განხორციელდება სპეციალური აუქციონის შედეგების შესაბამისად შემდეგი პრინციპის დაცვით:

ა) განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ამ წესების $14^{12}$ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული. პრიორიტეტულობის გათვალისწინებით ისე, რომ ჯერ კმაყოფილდება „გ“ პრიორიტეტულობის ჯგუფს მიკუთვნებული განაცხდები და შემდეგ „დ“ პრიოტიტულობის ჯგუფის განაცხადები.

ბ) თუ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული „გ“ პრიორიტეტულობის კატეგორიას მიკუთვნებული განაცხადების ჯამური ოდენობა საექსპორტოდ ნებადართული მოცულობზე ნაკლებია ან ტოლია, მაშინ „გ“ კატეგორიის პრეტენდეტების განაცხადები კმაყოფილდება სრულად დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე, ხოლო საექსპორტოდ ნებადათული მოცულობის ნარჩენი მოცულობა ( ასეთის არსებობის შემთვევაში) უნაწილდება მომდევნო „დ“ კატეგორიას მიკუთვნებული განაცხადების დასაკმაყოფილებლად.

გ) თუ „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პრიორიტეტულობის კატეგორიას მიკუთვნებული განაცხადების ჯამური ოდენობა საექსპორტოდ ნებადათული მოცულობაზე ან მის ნაშთზე მეტია, მაშინ პრიორიტეტულობის შესაბამისი კატეგორიის პრეტენდენტების განაცხადები კმაყოფილდება პრეტენდენტებს შორის მათ მიერ მაქსიმალური შემოთავაზებული ფასის მიხედვით ისე, რომ ჯერ დაკმაყოფლდება ყველაზე დიდი ფასის მქონე განაცხადი სრულად და შემდეგ მომდევნო ყველაზე დიდი ფასის მქონე განაცხადი სრულად, სანამ არ მოხდება საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის სრულად განაწილება. თუ საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ნარჩენი არ არის საკმარისად რომელიმე პრეტენდენტის განაცხადის სრულად დასაკმაყოფილებლად ეს განაცხადი კმაყოფილდება საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ნარჩენი მოცულობის ფარგლებში.

დ) ყველა გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ საექსპორტოდ ნებადართული მოცულობაზე შიდა შემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულება გადაიხდება თითოეული გამარჯვებულის მიერ მისი შემოთავაზებული ფასით.

10. თუ საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის მოპოვებული ჯამური მოცულობა აღემატება იმ პერიოდში შესაბამის ხაზის ხელმისაწვდომი გამტარუნარიანობის ოდენობას (ATC), ან იგი ამ ხაზის ATC-ს განაწილების შემდეგ დარჩება აუთვისებელი, საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ასეთ აუთვისებელ ნაწილზე შესატყვისი შიდა შემზღუდავი რესურსის ღირებულების გადახდა არ ხდება. ამასთან, გამოთავისუფლებული ნაწილის გადანაწილებას ახდენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი შესაბამისი საექსპორტოდ ნებადართული მოცულობისა და სისტემათაშორისი ტრანზიტისათვის (გადადინებისათვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის განაწილების სპეციალური აუქციონების მეშვეობით, მაგრამ არაუგვიანეს გამოთავისუფლებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების თვის მომდევნო საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე 15 სამუშაო დღისა.

11. თუ გამოთავისუფლებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების თვის მომდევნო საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე დარჩენილია 15 სამუშაო დღეზე ნაკლები ან/და აუქციონებში არ გამოვლინდა გამარჯვებული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ახდენს გამოთავისუფლებული რესურსის მარეგულირებელი ელექტროსადგურების წყალსაცავებში წყლის მარაგის სახით შენახვას, ხოლო თუ ამის ტექნიკური საშუალება არ არსებობს ამ ელექტროენერგიის ექსპორტი ხორციელდება იმავე სისტემათაშორისი ხაზით, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პარალელური სინქრონული მუშაობა.

12. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის შემცირების შემთხვევაში:

ა) თუ განაწილებულ მოცულობებზე არ იყო გადასახდელი შიდა შემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულება, შემცირებული მოცულობა ნაწილდება საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილებული მნიშვნელობების პროპორციულად;

ბ) თუ განაწილებულ მოცულობებზე იყო გადასახდელი შიდა შემზღუდავი რესურსით სარგებლობის ღირებულება, მოცულობის შემცირება იწყება იმ ექსპორტიორიდან, რომელსაც შემოთავაზებული ჰქონდა ყველაზე მცირე შიდა შემზღუდავი რესურსის ღირებულება, თუ აღნიშნული არ იქნება საკმარისი, მაშინ მოცულობის შემცირება გაგრძელდება სიდიდით შემდეგი შიდა შემზღუდავი რესურსის ღირებულების შემომთავაზებელ ექსპორტიორზე და ა.შ. იგივე პრინციპით და რიგით შემდეგ ექსპორტიორებზე, სანამ არ მოხდება შემცირებული მოცულობის და განაწილებული მოცულობის გათანაბრება. ერთი და იგივე შიდა შემზღუდავი რესურსის ღირებულების შემომთავაზებელი

ექსპორტიორების მიმართ მოცულობის შემცირება ხორციელდება მათზე განაწილებული მოცულობების პროპორციულად

13. თუ საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის შემცირება ხდება იმ ელექტროსადგურის გამომუშავების შემცირების გამო, რომლის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტზეც იყო მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობით სარგებლობის უფლება, ასეთ შემთვევაში მცირდება უშუალოდ ამ სადგურის ელექტროენერგიის ექსპორტიორის საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ოდენობა, შემცირებული გამომუშავების შესაბამისად და ექსპორტიორი არ თავისუფლდება მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის საფასურის გადახდისაგან.

14. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ასევე წლის შიგნით ან/და საანგარიშო პერიოდის შიგნით საექსპორტო ნებადართული მოცულობის განაწილებისას.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის ბრძანება №57 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

**მუხლი $14^{24}$. სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის განაწილების წესი**

1. სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების/გადანაწილების მიზნით სპეციალური აქუციონის გამოცხადება ხდება მხოლოდ იმ შემთვევაში, თუ შემოსულია შესაბამისი განაცხადი ელექტროენერგიის ტრანზიტის (რეექსპორტის) მოთხოვნით და მხოლოდ იმ მიმართულებაზე/ სატრანზიტო დერეფანზე, რომელზედაც არის შემოსული განაცხადი.

2. ეს მუხლი განსაზღვრავს განაწილების წესს სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის სპეციალურ აუქციონზე შემოსული განაცხადების მიხედვით შემდეგ შემთხვევებში:

ა) შემოსულია ერთი განაცახადი, რომლის ოდენობაც არ აღემატება მოთხოვნილი მიმართულების/ სატრანზიტო დერეფნით ელექტრეოენერგიის ტრანზიტის (რეექსპორტის) დროს სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის ხელმისაწვდომ მოცულობას ან

ბ) შემოსულია ერთი განაცახადი, რომელიც აღემატება მიმართულების/სატრანზიტო დერეფნით ელექტრეოენერგიის ტრანზიტის (რეექსპორტის) დროს სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის ხელმისაწვდომ მოცულობას;

გ) შემოსულია ერთზე მეტი განაცხადი ერთი და იგივე მიმართულების/სატრანზიტო დერეფნის მეშვეობით ელექტროენერგიის ტრანზიტის (რეექსპორტის) მოთხოვნით და განაცხადების ჯამური სიდიდე არ აღემატება ამ მიმართულების/სატრანზიტო დერეფნის სატრანზიტო ნებადართულ მოცულობას;

დ) შემოსულია ერთზე მეტი განაცხადი სხვადასხვა მიმართულების/სატრანზიტო დერეფნის მეშვეობით ელექტროენერგიის ტრანზიტის (რეექსპორტის) მოთხოვნით და განაცხადების ჯამური სიდიდეები ცალკეული მიმართულებით არ აღემატება ამ მიმართულებებით/სატრანზიტო დერეფნებით სატრანზიტო ნებადართული მოცულობების ხელმისაწვდომ მოცულობას და ტექნიკურად შესაძლებელია ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება სისტემის მუშაობის რეჟიმების გათვალისწინებით;

ე) შემოსულია ერთზე მეტი განაცხადი ერთი და იგივე მიმართულების/სატრანზიტო დერეფნის ელექტროენერგიის ტრანზიტის (რეექსპორტის) მოთხოვნით და განაცხადების ჯამური სიდიდე აღემატება ამ მიმართულების/სატრანზიტო დერეფნის მეშვეობით ელექტროენერგიის ტრანზიტის ( რეექსპორტის) შემთხვევაში სატრანზიტო ნებადართულ მოცულობის ხელმისაწვდომ მოცულობას;

ვ) შემოსულია ერთზე მეტი განაცხადი სხვადასხვა მიმართულების/სატრანზიტო დერეფნის მეშვეობით ელექტროენერგიის ტრანზიტის (რეექსპორტის) მოთხოვნით და განაცხადების ჯამური სიდიდეები ცალკეული მიმართულებებით/სატრანზიტო დერეფნებით აღემატება ელექტრეოენერგიის ტრანზიტის (რეექსპორტის) შემთხვევაში სატრანზიტო ნებადართულ მოცულობების ხელმისაწვდომ ოდენობას ან ტექნიკურად შეუძლებელია ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება სისტემის მუშაობის რეჟიმების გათვალისწინებით.

3. სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის აუქციონის გამოცხადება ხდება ცალცალკე თითოეული მიმართულების/სატრანზიტო დერეფნისათვის და საანგარიშო პერიდისათვის.

4. ტრანზიტის (რეექსპორტის) მსურველი პრეტენდენტები, ვალდებული არიან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს არაუგვიანეს 1 ნოემბრისა წარუდგინონ შესაბამისი განაცხადი, რომელსაც უნდა ერთვოდეს ამ წესების $14^{16}$ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

5. პრეტენდენტის განაცხადი არ განიხილება და არ დაიშვება სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად თუ:

ა) პრეტედენტის მიერ მოთხოვნილი მოცულობა აღემატება შესაბამისი მიმართულებით სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის ხელმისაწვდომ ოდენობას;

ბ) ელექტროენერგიის ტრანზიტის (რეექსპორტი) საფრთხეს უქმნის სისტემის მუშაობას (მ. შ. ელექტროენერგიის გამომუშავებას) ან/და ზღუდავს საქართველოს შიდა მოხმარების დაკმაყოფილებას;

გ) განაცხადი წარმოდგენილია ამ წესების $14^{16}$ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების დარღვევით;

დ) დარღვეულია ამ წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები;
6. მიღებული განაცხადების საფუძველზე ხორციელდება სასურველი ტრანზიტის მიმართულების დადგენა, ხოლო პერიოდებისა და მოცულობების დადგენა ხდება აუქციონის გზით.
7. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღეში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ატარებს სატრანზიტოდ ნებადართულ მოცულობის განაწილების სპეციალურ აუქციონს.
8. სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის სპეციალური აუქციონის განაწილების შედეგად მიღებული სარგებლობის უფლება გამოიყენება მხოლოდ იმ მიმართულებით/სატრანზიტო დერეფნით და იმ მოცულობით (სიმძლავრით) ელექტროენერგიის ტრანზიტისათვის (რეექსპორტისათვის) რისთვისაც მოხდა ამ სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის მოთხოვნა.
9. ამ მუხლის მე-2 პუნტის „ა“, „ბ“ „გ“ ან/და „დ“ შემთხვევებში მოთხოვნების სპეციალური აუქციონის შედეგების შესაბამისად დაკმაყოფილებისას შიდა შემზღუდავი რესურსის ღირებულება არ გადაიხდება. ხოლო ამ მუხლის მე–2 პუნტის „ე“ ან/და „ვ“ ქვეპუნქტების შემთვევაში აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა ხორციელდება უმაღლესი შეთავაზებული ფასის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი ფასის მქონე მოთხოვნა სრულად არ მოიცავს სატრანზიტოდ ნებადართულ მოცულობის ხელმისაწვდომ ოდენობას, დარჩენილი მოცულობა გადანაწილდება შემდეგი უმაღლესი ფასის მქონე მოთხოვნაზე, მანამდე სანამ სრულად არ იქნება განაწილებული სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის ხელმისაწვდომი ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ყველა გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის ღირებულება გადაიხდება თითოეული გამარჯვებულის მიერ მის შემოთავაზებული ფასით.
10. სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის განაწილებული მოცულობის შემცირების შემთხვევაში შემცირებული მოცულობა ნაწილდება სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის განაწილებული მოცულობების პროპორციულად.
11. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე 10 სამუშაო დღით ადრე გამოაცხადოს ელექტროენერგიის ტრანზიტის ის მიმართულებები ( სატრანზიტო დერეფნები) დასაშვები სიმძლავრის მითითებით, რომელთა მეშვეობითაც დასაშვებია ელექტროენერგიის გადადინება სისტემის იმედიანი, სტაბილური და უსაფრთხო მუშაობიდან გამომდინარე.
12. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ასევე წლის შიგნით ან/და საანაგარიშო პერიოდის შიგნით სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის განაწილებისას.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*

**მუხლი $14^{25}$. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ხაზის მიმართ დადგენილი წესების მოქმედების შეზღუდვა** *(4.03.2014 N 20)*

ამ წესების $14^{12}$-$14^{24}$ მუხლების მოქმედება არ ვრცელდება კერძო ინვესტიციების (სახელმწიფო გარანტიის გამოყენებით მოზიდული საერთაშორისო საკრედიტო ფინანსური რესურსების გარეშე) საფუძველზე მშენებარე/აშენებულ სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგიის ექსპორტზე.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*

## თავი V
## სისტემის კომერციული ოპერატორი

**მუხლი 15. სისტემის კომერციული ოპერატორის ფუნქციები**

1. სისტემის კომერციული ოპერატორი ახორციელებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საქმიანობას. მისი ფუნქციები და უფლებამოსილების სფერო განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, მისი წესდებითა და წინამდებარე წესებით.
2. სისტემის კომერციული ოპერატორის ფუნქციებია:

ა) საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა – გაყიდვა (მათ შორის, იმპორტსა და ექსპორტზე საშუალო და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმების გზით). ამ მიზნით სისტემის კომერციული ოპერატორი ახორციელებს:

ა.ა) საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობისათვის პირდაპირი ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების სარეგისტრაციოდ წარდგენას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან;

ა.ბ) საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობის განსაზღვრას, გამომუშავებული, მიწოდებული, იმპორტი – რებული, მოხმარებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის, ასევე პირდაპირი ხელშეკრულებებით დადგენილი და მხარეთა მიერ ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტებში

პირდაპირი ხელშეკრულებების შესაბამისად დაფიქსირებული ფაქტობრივი რაოდენობების შედარების გზით;

ა.გ) ამ წესების შესაბამისად საბალანსო ელექტროენერგიის ფასების გაანგარიშებას;

ა.დ) სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესყიდულ და გაყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაზე კვალიფიციურ საწარმოებთან ანგარიშსწორებას;

ა.ე) ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტზე (გაცვლა) უცხო ქვეყნის შესაბამის სუბიექტებთან საშუალო და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებას. ამ მიზნით სისტემის კომერციული ოპერატორი უფლებამოსილია იმპორტირებული და/ან საექსპორტოდ განკუთვნილი ელექტროენერგია გაყიდოს და/ან შეისყიდოს როგორც პირდაპირი ხელშეკრულებებით, აგრეთვე საბალანსო ელექტროენერგიის ყიდვა – გაყიდვისათვის ამ წესებით დადგენილი სხვა ფორმით (პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით) ;

ბ) გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ წესების შესაბამისად, მათ შორის და არა მხოლოდ:

ბ.ა) გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისაგან გარანტირებული სიმძლავრის ყიდვაზე და გარანტირებული სიმძლავრის მყიდველ კვალიფიციურ საწარმოებზე გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვაზე პირდაპირი ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების სარეგისტრაციოდ წარდგენა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან;

ბ.ბ) გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დარიცხვა და კვალიფიციურ საწარმოებთან ანგარიშსწორება.

გ) საბითუმო ყიდვა – გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება. მათ შორის და არა მხოლოდ:

გ.ა) აღრიცხვის წერტილების ერთიანი ბაზის შექმნა და წარმოება;

გ.ბ) საანგარიშო პერიოდების მიხედვით მრიცხველების ჩვენებების ერთიანი ბაზის შექმნა;

გ.გ) ელექტროენერგიის წარმოების საშუალებების, ქვესადგურების, მომხმარებელთა შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის მოგროვება და სისტემატიზაცია.

დ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტისა და კვალიფიციური საწარმოების მიერ მიწოდებული, შესაბამისი ინფორმაციის სათანადოდ დამუშავების (ანალიზის) საფუძველზე, ელექტროენერგიის გამყიდველების, მყიდველების, მათ მიერ გაყიდული და შესყიდული ან/და მიღებული (მოხმარებული) ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობების (მოცულობების) განსაზღვრა და საბოლოო ანგარიშსწორებისათვის ინფორმაციის წარდგენა, აგრეთვე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან ერთობლივად ელექტროენერგიის გადაცემის კონკრეტული სისტემათაშორისი ხაზის (ხაზების) მიმართულებით შესატყვისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის (მათ შორის, ექსპორტირებული, იმპორტირებული ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის) შემაჯამებელი სააღრიცხვო აქტის შესაბამისი უცხო ქვეყნის უფლებამოსილ სამართალსუბიექტთან გაფორმება;

ე) ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ საქართველოს მეზობელი ელექტროენერგე – ტიკული სისტემების შესაბამის საწარმოებთან გაფორმებული პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრუ – ლებების წინასწარი შეთანხმება და მისი სათანადოდ შესრულების მიზნით მონიტორინგი და კანონმდებლობითა და ამ წესებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება;

ვ) საბითუმო აღრიცხვაში გამოყენებული მრიცხველების ინსპექტირება;

ზ) გადაცემის ქსელში ზენორმატიული დანაკარგის შემთხვევაში, დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვროს შესაბამისი კვალიფიციური საწარმოს მიერ ზენორმატიული დანაკარგის შედეგად შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობა და ღირებულება. (25.04.200731)

3. საქმიანობის გამჭვირვალობისა და მის ხელთ არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სისტემის კომერციული ოპერატორი ყველასათვის ხელმისაწდომ ადგილზე აქვეყნებს ინფორმაციას:

ა) ყოველ საანგარიშო პერიოდში პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე გაყიდული და შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობების შესახებ;

ბ) ყოველ საანგარიშო პერიოდში პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების საფუძველზე გაყიდული და შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობებისა და საშუალო შეწონილი ფასების შესახებ;

გ) ქსელში ფაქტობრივი საშუალო დანაკარგების ოდენობაზე;

დ) ყოველ საანგარიშო პერიოდში გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა – გაყიდვის თაობაზე, გარანტირებული სიმძლავრის წყაროების, უზრუნველყოფილი სიმძლავრის მოცულობისა და ჩამოყალიბებული ტარიფების (ფასების) მითითებით.

4. (ამოღებულია).

5. სისტემის კომერციული ოპერატორი ვალდებულია, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება იმ ელექტროსადგურთან (წარმოების ლიცენზიატი ან/და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური) , რომლის მიერ წარმოებული ელექტროენერგია (სიმძლავრე) მოქმედი კანონმდებლობის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად ექვემდებარება სრულად ან ნაწილობრივ სავალდებულოდ წესით შესყიდვას. აღნიშნული ხელშეკრულება შესრულებისათვის საჭიროებს იმავე პირობებისა და პროცედურების დაკმაყოფილებას, როგორც პირდაპირი ხელშეკრულების შემთხვევაში, მათ შორის, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან რეგისტრაციას.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 7 ივნისის №70 ბრძანება – ვებგვერდი, 08.06.2011წ.*

**მუხლი 16. სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ანაზღაურება**

1. სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება სავალდებულოა ელექტროენერგიის (სიმძლავრის) კვალიფიციური საწარმოებისათვის. სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურება ანაზღაურდება კვალიფიციური საწარმოების მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად მწარმოებლების მიერ (გარდა გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისა) წარმოებული (სალტეზე გაცემული), განაწილების ლიცენზიატების მიერ განაწილების ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით შესყიდული/მიღებული, პირდაპირი მომხმარებლების მიერ მიღებული (მოხმარებული), იმპორტიორების მიერ იმპორტირებული, ექსპორტიორების მიერ ექსპორტირებული, საბითუმო მიმწოდებლის, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლისა და თავისუფალი მიმწოდებლის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის სრული რაოდენობების მიხედვით, კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით.

1[1]. სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ ხდება მათ მიერ საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის რაოდენობისა (საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სიმძლავრის შესატყვისი კილოვატი/საათში) და უზრუნველყოფის პერიოდის (დღეების) მიხედვით, კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით. გარანტირებული სიმძლავრის წყაროებზე (მათ მიერ წარმოებულ (სალტეზე მიწოდებულ) ელექტროენერგიის ნაწილში) არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

2. აღნიშნული მომსახურების გადახდა კვალიფიციური საწარმოს მიერ ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ საქმიანობებზე ცალ-ცალკე.

3. (ამოღებულია).

4. კვალიფიციური საწარმოები ვალდებულნი არიან ყოველი საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს 25 რიცხვისა აანაზღაურონ მათზე დარიცხული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ღირებულება.

5. სისტემის კომერციული ოპერატორის მოთხოვნისთანავე კვალიფიციური საწარმოები ვალდებულნი არიან მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინონ სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ღირებულების დაფარვის კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები ან/და აწარმოონ წინასწარი გადახდა.

6. სისტემის კომერციული ოპერატორი უფლებამოსილია, მომსახურების ღირებულების არგადამხდელი ან გადახდის ვადების დამრღვევი კვალიფიციური საწარმოების მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული ზომები.

7. (ამოღებულია).

8. (ამოღებულია).

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

## თავი V[I]
## დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*

მუხლი 16 . დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ძირითადი ვალდებულებები, ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობა, უსაფრთხოება და საიმედო ფუნქციო – ნირება, ასევე დააკმაყოფილოს ყველა შესაბამისი ლიცენზიანტის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და პირდაპირი მომხმარებლის მოთხოვნები ისე, რომ შესრულდეს მათ მიერ დარეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულებები;

ბ) პირდაპირი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით დაამუშაოს რეჟიმები, ხელი შეუწყოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას და ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენოს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული ადმინისტრაციული ბერკეტები, მათ შორის სათანადო ოპერატიული სადისპეტჩერო მითითებებისა და ოქმების შედგენით;

გ) კვალიფიციური საწარმოს მოთხოვნის ან/და თავის შეხედულებისამებრ, ელექტროენერგეტიკული სისტემის საჭიროების მიხედვით (მდგრადობის და სტაბილურობის მიზნით) და ამ წესების პირობების დაცვით, დატვირთოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული აუთვისებელი სიმძლავრე მინიმალური ღირებულების პრინციპის შესაბამისად ისე, რომ ამ დატვირთვამ არ გამოიწვიოს წინასწარ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

დ) დროის ნებისმიერ მონაკვეთში ხელმისაწვდომი გახადოს სისტემის კომერციული ოპერატორისთვის ყველა იმ მითითებებისა და ინსტრუქციების ჩანაწერები, რომლებიც მან გასცა მთელი დღის განმავლობაში, ასევე ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც შეტანილ იქნა წინასწარ შედგენილ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების გეგმაში;

ე) მის მიერ განხორციელებული გაუფრთხილებელი შეზღუდვები, რომელიც განპირობებულ იქნა ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის, დააფიქსიროს ცენტრალური სადისპეტჩეროს ოპერატიულ ჟურნალში;

ვ) სისტემის კომერციულ ოპერატორს, ამ წესების შესაბამისად, მიაწოდოს დამუშავებული ინფორმაცია, პირდაპირ ხელშეკრულებებში გასაყიდად დაფიქსირებული და ფაქტობრივად გაყიდული (შესრულებული) ელექტროენერგიის რაოდენობაზე (მათ შორის ამ წესების 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციაც) შემდეგი წესით:

ვ.ა) ყოველდღიურად მიაწოდოს ყველა იმ მითითებისა და ინსტრუქციის ჩანაწერი, რომელიც მან გასცა წინა დღის განმავლობაში, ყველა იმ ცვლილების აღნიშვნით, რომელიც შეტანილ იქნა წინასწარ შედგენილ (შეთანხმებულ) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წარმოების ან/და მიწოდების გრაფიკებში; დღის განმავლობაში წარმოებული, გადაცემული ან/და მოხმარებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) შესახებ ინფორმაცია შესაბამისი კვალიფიციური საწარმოების მითითებით; პირდაპირი ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია – ამა თუ იმ ხელშეკრულებაში მოცემული გრაფიკების დარღვევის ან დაცვის აღნიშვნით;

ვ.ბ) ყოველი თვის დამთავრებიდან ამ წესებით გათვალისწინებული პირობებით მიაწოდოს საანგარიშო თვის განმავლობაში მიწოდებისა და მიღების პუნქტებში მიწოდებული ან გაცემული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მის ხელთ არსებული ფაქტობრივი მონაცემები; საანგარიშო თვის განმავლობაში შესაბამისი გადაცემის ლიცენზიატის ქსელში დაფიქსირებული ელექტროენერგიის ფაქტობრივი დანაკარგების ოდენობა; მიწოდებისა და მოხმარების გრაფიკებში ასახული და მრიცხველებზე ფაქტობრივად დაფიქსირებული (მიწოდებული ან/და მოხმარებული) ელექტროენერგიის შესახებ ინფორმაცია (ცდომილებების მითითებით) . ასევე პირდაპირი ხელშეკრულებების შესრულების შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია;

ზ) ყოველი საანგარიშო თვის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში სამინისტროს გაუგზავნოს მთლიანად ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ცალკეული კვალიფიციური საწარმოების მიერ გამომუშავებული, მიღებისა და მიწოდების პუნქტებში გაცემული და მიღებული (მოხმარებული) ელექტროენერგიის ფაქტობრივი ბალანსი, გადაცემის ქსელში დანაკარგების ჩვენებით;

თ) ამ წესების დაცვით დაარეგისტრიროს პირდაპირი ხელშეკრულებები და გააუქმოს მათი რეგისტრაცია. ასევე შეაჩეროს პირდაპირი ხელშეკრულებების რეგისტრაცია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, თუ რეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დისპეტჩირება შეუძლებელია ან/და ამ პირდაპირი ხელშეკრულების განხორციელებამ შესაძლებელია, ხელი შეუშალოს სისტემის ოპერატიულ-დისპეტჩერულ მართვას პირდაპირი ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე მცირე პერიოდის განმავლობაში, რაზედაც უნდა აცნობოს პირდაპირი ხელშეკრულებების მონაწილე მხარეებს ამ წესების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში;

ი) განახორციელოს კონტროლი ამ წესების დაცვით კვალიფიციური საწარმოების მიერ ელექტროენერ-გეტიკულ სისტემაში არსებული სიმძლავრეების გამოყენების შესახებ;

კ) ხელმისაწვდომი გახადოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია შესყიდული და თავისუფალი

სიმძლავრეების შესახებ (კვალიფიციური საწარმოებისა და სიმძლავრეების მითითებით) ;

ლ) აწარმოოს პირდაპირი ხელშეკრულებების ერთიანი ელექტრონული ნუსხა, დადგენილი წესით განაცხადოს ინფორმაცია ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებულ და აუთვისებელ სიმძლავრეზე. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება ასევე განთავსდეს ოფიციალურ ვებგვერდზე;

მ) წინასწარი გაფრთხილების გარეშე არ შეამციროს კვალიფიციური საწარმოსთვის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული სიმძლავრე, გარდა სასისტემო ავარიული სიტუაციის, ფორსმაჟორის, ამ წესების ან პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა;

ნ) ამ წესების შესაბამისად, შეასრულოს კვალიფიციური საწარმოს მოთხოვნები ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ან განახლების შესახებ;

ო) აწარმოოს ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძ(ებ) ის (მათ შორის, საბითუმო ვაჭრობაში გამოყენებულის) „ზედა დონის ესკაა სისტემასთან დაკავშირების დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტების“ რეესტრი („ესკაა სისტემასთან დაკავშირების რეესტრი“), რომელშიც დაუყოვნებლივ აისახება „ზედა დონის ესკაა სისტემასთან დაკავშირების დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტ(ებ) ის“ გაცემის ფაქტი ელექტროენერგიის სათანადო აღრიცხვის კვანძ(ებ) ის მითითებით;

პ) ყოველი გასული საანგარიშო პერიოდისთვის მოამზადოს „ესკაა სისტემასთან დაკავშირების რეესტრში“ დაფიქსირებული ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში გამოყენებული ელექტროენერგიის აღრიცხვის იმ კვანძ(ებ) ის (მათ შორის გენერატორების და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორების) ჩამონათვალი, საიდანაც საგამონაკლისო (საპატიო) მიზეზის გარეშე 24 საათზე მეტი პერიოდის განმავლობაში ვერ განხორციელდა ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემების მიღება და ასეთი ფაქტის დაფიქსირების შესახებ, კონკრეტული აღრიცხვის კვანძ(ებ) ის მიხედვით, წერილობით აცნობოს სათანადო კვალიფიციურ საწარმოს და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს, ამასთან ასეთ შემთხვევაში ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემების მიუწოდებლობაზე პასუხისმგებელი კვალიფიციური საწარმო ვალდებულია თავისი ხარჯებით უზრუნველყოს სათანადო ელექტროენერგიის მრიცხველებში დაფიქსირებული აღრიცხვის მონაცემების დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის მიწოდება ამ წესების, მათ შორის 26-ე მუხლის 51 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

ჟ) იმ შემთხვევაში, თუ გასული სამი (3) თანმიმდევრული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში „ესკაა სისტემასთან დაკავშირების რეესტრში“ დაფიქსირებული ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში გამოყენებული ელექტროენერგიის აღრიცხვის რომელიმე კვანძ(ებ) იდან (მათ შორის გენერატორების და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორების) ჯამურად სამას სამოცი (360) ან მეტი საათის განმავლობაში ვერ განხორციელდა ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემების მიღება ამისთვის რაიმე საგამონაკლისო (საპატიო) მიზეზის არსებობის გარეშე, წერილობით შეატყობინოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს და სათანადო კვალიფიციურ საწარმოს ასეთი ფაქტის დაფიქსირების შესახებ, მათ შორის ასეთი აღრიცხვის კვანძ(ებ) ის ნაწილში სათანადო კვალიფიციური საწარმოსთვის ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

რ) აწარმოოს სათანადო იურიდიულ პირთან გაფორმებული ელექტროენერგიის სათანადო აღრიცხვის კვაძ(ებ) იდან აღრიცხვის მონაცემების ზედა დონის „ესკაა სისტემა“-ში გადაცემის ტექნიკური პირობების, წესისა და მოცულობის შესახებ შეთანხმებების რეესტრი („ესკაა სისტემასთან დაკავშირების შეთანხმებების რეესტრი“);

ს) მის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით ჩაატაროს მრიცხველების ინსპექცია;

ტ) გადამცემ ქსელში დანაკარგების შესყიდვის მიზნით მონაწილეობა მიიღოს ელექტროენერგიით (სიმძლავრის) საბითუმო ვაჭრობაში და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან შეისყიდოს გადამცემ ქსელში დანაკარგის შესატყვისი საბალანსო ელექტროენერგია;

უ) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით შეისყიდოს ელექტროენერგია როგორც პირდაპირი ხელშეკრულებით, ისე პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ძირითადი ფუნქციებია:

ა) დროის ნებისმიერ მომენტში უზრუნველყოს ელექტროენერგიის მიწოდების და მოხმარების დაბალანსება;

ბ) დაგეგმოს და დისპეტჩერიზაცია გაუწიოს ერთიან ენერგოსისტემას იმგვარად, რომ ელექტროენერგიის პარამეტრები (სიხშირე, ძაბვა და სხვა) შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს;

გ) უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობა, სტაბილურობა და საიმედო ფუნქციონირება;

დ) მომსახურების სათანადოდ განხორციელების მიზნით, განახორციელოს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) იმპორტი, ექსპორტი ან/და ჩაერთოს მეზობელი ქვეყნის (ქვეყნების) ელექტროენერგეტიკულ სისტემებთან პარალელურ რეჟიმში კანონმდებლობისა და ამ წესებში მოცემული პრინციპებისა და პროცედურების დაცვით;

ე) განსაზღვროს შესაბამისი საანგარიშო თვის განმავლობაში გადაცემის ქსელში არსებული

ელექტროენერგიის ფაქტობრივი დანაკარგები.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილებები:

ა) გამოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს ინფორმაცია კვალიფიციური საწარმოების ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებების მდგომარეობისა და მზადყოფნის ხარისხის შესახებ;

ბ) განახორციელოს ელექტროენერგიის აღრიცხვის სისტემ (ებ) ის (მათ შორის ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის) ან/და მისი შემადგენელი კომპონენტების ინსპექტირება/შემოწმება, ხოლო ელექტროენერგიის მრიცხველების დაპროგრამება და აღრიცხვის საკომუნიკაციო მოწყობილობების პროგრამულ – ტექნიკური გამართვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

გ) მისი მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის, არასრული გადახდის ან/და გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ამ წესების შესაბამისად შეწყვიტოს ან შეზღუდოს კვალიფიციური საწარმოსთვის ელექტროენერგიის მიწოდება;

დ) ელექტროენერგიის დამტკიცებული ლიმიტის (შეთანხმებული დღეღამური გრაფიკები) კვალიფიციური საწარმოს მხრიდან გადაჭარბების შემთხვევაში, მოითხოვოს მოხმარების (სიმძლავრეების) შემცირება, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში იმოქმედოს წინამდებარე წესების თანახმად;

ე) გასცეს სათანადო სადისპეტჩერო მითითებები, რათა უზრუნველყოს კვალიფიციური საწარმოსთვის ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება შეთანხმებული გრაფიკითა და მოცულობით;

ვ) მოითხოვოს კვალიფიციური საწარმოსაგან, ამ წესების თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული ანაზღაურების მიზნით, კვალიფიციური საწარმოს მიერ კომერციული ბანკის საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

ზ) ავარიის შემთხვევაში ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიული მართვისა და მდგრადობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად კვალიფიციური საწარმოებისათვის პირდაპირი ხელშეკრულებებით (ბალანსებით დადგენილი) მისაწოდებელი ელექტროენერგია შეზღუდოს გაუფრთხილებლად;

თ) ქვეყანაში ელექტროენერგიის და სიმძლავრის დეფიციტის დროს ან/და ამ წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეზღუდვების გრაფიკის შემოღებისას, კვალიფიციურ საწარმოს ელექტროენერგია მიაწოდოს ურთიერთშეთანხმებული დამატებითი გრაფიკით ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის კორექტირებასთან შესაბამისობაში, ხოლო ურთიერთშეთანხმებული დამატებითი გრაფიკის არარსებობის შემთხვევაში იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ;

ი) ქვეყანაში შიდა რესურსების ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსთან შედარებით სიმცირის (დეფიციტის) ან სიჭარბის ან/და ავარიის დადგომის, ან ასეთის (დეფიციტის, სიჭარბის, ავარიის) რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევებში, შეზღუდოს, ან შეწყვიტოს ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინება, ან/და შემოდინება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობა, უსაფრთხოება და საიმედო ფუნქციონირება;

კ) ქვეყანაში ელექტროენერგიის (სიმძლავრის) სიჭარბის ან ასეთი პროგნოზის შემთხვევებში, შეწყვიტოს (ხოლო ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით – შეზღუდოს) ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო შემოდინება და საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდოს ელექტროენერგიის წარმოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობა, უსაფრთხოება და საიმედო ფუნქციონირება. ამასთან, ელექტროენერგიის წარმოების შეზღუდვის შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

კ.ა) ელექტროენერგიის წარმოების შეზღუდვა უნდა განხორციელდეს შეზღუდვის პერიოდში ჰიდროელექტროსადგურების (გარდა საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების ფარგლებისა) ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მოსალოდნელი დღეღამური დატვირთვის ბალანსით გათვალისწინებული გამომუშავების პროპორციული შემცირების გზით;

კ.ბ) ელექტროენერგიის წარმოების შეზღუდვა არ ეხება ჰიდროელექტროსადგურების მიერ საექსპორტოდ განკუთვნილი ელექტროენერგიის წარმოებას;

კ.გ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, წლიურ მარეგულირებელ სადგურად მიჩნეულ (საჯარო მომსახურების ვალდებულების მქონე) ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წარმოების შეზღუდვა (წყლის დაღვრა) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების მიზეზით.

**შენიშვნა**: ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) სიჭარბედ ითვლება მდგომარეობა, როდესაც წლიური რეგულირების წყალსაცავიან ჰიდროელექტროსადგურებში, ტექნიკური უსაფრთხოების პარამეტრების გათვალისწინებით აღარ არსებობს წყლის დაგროვების საშუალება და ამავდროულად ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოება აღემატება ელექტროენერგიის მოხმარებას (ექსპორტის ჩათვლით). ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის განხორციელების შემთხვევაში, გადამცემი სისტემის ოპერატორი თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, რეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულებების შესრულების ვალდებულებისაგან.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია მომსახურების განხორციელებისას იხელმძღვანელოს ამ წესებით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესაბამისად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ მუხლში მოცემული პრინციპების უპირატესი შესრულება.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 22.10.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 27 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 27.03.2015წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №1-1/230 - ვებგვერდი, 07.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 4 მაისის ბრძანება №1-1/200 - ვებგვერდი, 05.05.2022 წ.*

### მუხლი 16$^{2}$. დამატებითი/სასისტემო მომსახურების სახეობები

1. დამატებითი/სასისტემო მომსახურების სახეობებია:
ა) სიხშირის შენარჩუნების რეზერვი (პირველადი რეზერვი);
ბ) სიხშირის აღდგენის რეზერვი (მეორეული რეზერვი);
გ) ჩანაცვლების რეზერვი (მესამეული რეზერვი);
დ) ძაბვის რეგულირება;
ე) ენერგოსისტემის (ენერგოსისტემის ნაწილის) აღდგენა ნულოვანი მდგომარეობიდან.

2. დამატებითი/სასისტემო მომსახურების თითოეული სახეობის პარამეტრების და მახასიათებლების განსაზღვრა და მის განხორციელებაში მონაწილე სუბიექტების შერჩევა ხდება ქსელის წესებით დადგენილი წესით.

3. დამატებითი/სასისტემო მომსახურების სახეობების ერთიანი ორგანიზებისა და განხორციელების კოორდინირებას და კონტროლს ახდენს გადამცემი სისტემის ოპერატორი.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 23.09.2015წ.*

### მუხლი 16$^{3}$. ხელშეკრულებები დამატებით/სასისტემო მომსახურებაზე

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ქსელის წესებით დადგენილ შემთხვევებში ან საჭიროების მიხედვით უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებით/სასისტემო მომსახურებაზე ხელშეკრულებების გაფორმება მომსახურების სხვადასხვა სახეობის განხორციელებაში მონაწილე შესაბამის სუბიექტებთან.

2. ხელშეკრულება დამატებით/სასისტემო მომსახურებაზე შეიძლება აწესრიგებდეს მომსახურების კონკრეტული სახეობის უზრუნველყოფისა და განხორციელების სამართლებრივ, ტექნიკურ და სხვა ასპექტებს, ტესტირების და კონტროლის პროცედურებს, მხარეთა პასუხისმგებლობას და რეაგირების ზომებს.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 23.09.2015წ.*

## თავი VI. დატვირთვის რეზერვი და გარანტირებული სიმძლავრე

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

### მუხლი 17. ელექტროენერგიის მიწოდება-მოხმარების დაბალანსება და დაუტვირთავი სიმძლავრე

1. ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობისა და ელექტროენერგიის ტექნიკური პარამეტრების შენარჩუნების მიზნით, ელექტროენერგიის მიწოდება – მოხმარების დაბალანსება შეიძლება განხორციელდეს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული შემდეგი სიმძლავრეების გამოყენებით:

ა) დატვირთვის რეზერვი – სისტემაში არსებული აუთვისებელი სიმძლავრე, რომლის აღების დრო შეადგენს არა უმეტეს 60 წამისა;

ბ) გარანტირებული სიმძლავრე – საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ ამ წესების შესაბამისად უზრუნველყოფილი სიმძლავრე, მათ შორის:

ბ.ა) გარანტირებული სიმძლავრის იმ წყაროს მიერ უზრუნველყოფილი სიმძლავრე, რომელსაც, სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად, გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაცია შეუძლია არა უმეტეს 25 წუთისა და მოთხოვნილი სიმძლავრის აღება – არა უმეტეს მომდევნო 35 წუთისა;

ბ.ბ) გარანტირებული სიმძლავრის იმ წყაროს მიერ უზრუნველყოფილი სიმძლავრე, რომელსაც, სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად, გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაცია შეუძლია არა უმეტეს 24 საათისა, მოთხოვნილი სიმძლავრის აღება – არა უმეტეს მომდევნო 12 საათისა.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

### მუხლი 18. დაუტვირთავი სიმძლავრე და გარანტირებული სიმძლავრის გამოყენება

1. დატვირთვის რეზერვი და გარანტირებული სიმძლავრე იმყოფება დისპეტჩერიზაციის

ლიცენზიანტის განკარგულებაში და გამოიყენება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდება – მოხმარების დასაბალანსებლად.

2. ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის და ელექტროენერგიის სათანადო ტექნიკური პარამეტრების შესანარჩუნებლად, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება დატვირთვის რეზერვის გამოყენებაზე და გასცეს შესაბამისი განკარგულება ელექტროენერგეტიკული სისტემაში არსებული გამოუყენებელი სიმძლავრის დატვირთვის თაობაზე, დატვირთვის შენარჩუნებით არა უმეტეს 1 საათისა.

3. პირდაპირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკებისა და პარამეტრების შესრულების მიზნით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, დატვირთვის რეზერვის გამოყენების შედეგად გამოყენებული სიმძლავრე დატვირთვიდან ერთი საათის განმავლობაში ჩაანაცვლოს გარანტირებული სიმძლავრით.

4. მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესებში მოცემული პირობების დაცვით, გადაწყვეტილებას გამოყენებული სიმძლავრის სხვა წყაროებით ჩანაცვლებისა და დატვირთვის შესახებ იღებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოებისა და მინიმალური ღირებულების პრინციპის შესაბამისად.

5. ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოებისა და მინიმალური ღირებულების პრინციპის დაცვით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია 1 საათზე მეტი დროით დატვირთოს ელექტრო – ენერგიის მწარმოებელი ის კვალიფიციური საწარმო, რომელსაც ელექტროენერგიის მიწოდების წინასწარ განსაზღვრულ გრაფიკებში მოცემული სიმძლავრეები არ აქვს რეალიზებული პირდაპირი ხელშეკრულების ფარგლებში და ამ მწარმოებლის დატვირთვა არ გამოიწვევს წინასწარ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულების პირობების დარღვევას. ამ პუნქტში მოცემული პირობა არ ათავისუფლებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს პირდაპირი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

**მუხლი 19. გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფისათვის მზადყოფნის განაცხადი**

1. ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის საჭირო გარანტირებული სიმძლავრის ოდენობას, ასევე ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდს გარანტირებული სიმძლავრის თითოეული წყაროს მიხედვით, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. გარანტირებული სიმძლავრის წყარო, ყოველი საანგარიშო თვის დაწყებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე, მზადყოფნის გამოცხადების მიზნით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) განაცხადს გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფისათვის მზადყოფნის შესახებ (შემდგომში – მზადყოფნის განაცხადი), რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა.ა) სადგურის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები;

ა.ბ) საჭირო დრო (წუთი) გაჩერებული მდგომარეობიდან ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან სინქრონიზაციამდე;

ა.გ) საჭირო დრო (წუთი) ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან სინქრონიზაციიდან საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის მიღწევამდე;

ა.დ) მომავალი საანგარიშო პერიოდის ის ზუსტი მონაკვეთები, რომელთა განმავლობაში გარანტირებული სიმძლავრე ვერ იქნება უზრუნველყოფილი, მათ შორის, შეკეთების ან/და რემონტის გამო.

ბ) საწვავით უზრუნველყოფის ხელშეკრულების ასლი მხოლოდ თბოელექტროსადგურის შემთხვევაში.

3. ამ თავის მიზნებისათვის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოების საშუალებების შეკეთება ან/და რემონტი გულისხმობს იმ სახის სამუშაოებს, რომლის შედეგადაც გარანტირებული სიმძლავრის წყარო ვერ უზრუნველყოფს ენერგეტიკულ სისტემას გარანტირებული სიმძლავრით ამ წესების შესაბამისად და მისი წარმოების საშუალებები გამოყვანილია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის დაქვემდებარებიდან.

4. მზადყოფნის განაცხადის ფორმას ადგენს და ამტკიცებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი.

5. გარანტირებული სიმძლავრის წყარო ვალდებულია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მის მფლობელობაში არსებული წარმოების საშუალებების ტექნიკური შესაძლებლობებისა და პარამეტრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ წინასწარ მოთხოვნილი სახით.

6. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ მზადყოფნის განაცხადის წარდგენა სავალდებულოა

შესაბამის საანგარიშო პერიოდში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ მისი მზადყოფნის განხილვისათვის. მზადყოფნის დადასტურება გულისხმობს გარანტირებული სიმძლავრის შესაბამისი წყაროს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის განკარგულებაში ყოფნას და ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფას მე-17 მუხლის „ზ.ა " ან „ზ.ბ " ქვეპუნქტებით დადგენილი პირობებით. პასუხისმგებლობა მზადყოფნის განაცხადში მითითებული მონაცემების სისწორეზე ეკისრება გარანტირებული სიმძლავრის წყაროს.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*

### მუხლი 19[1]. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირება

1. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნა შესაძლებელია შემოწმდეს ტესტირების გზით.

2. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირება წარმოადგენს პროცესს, რომელიც ადასტურებს ამ წესების მე-17 მუხლის „ზ.ა " ან „ზ.ბ " ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნას. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირებით უნდა დადასტურდეს:

ა) ამ წესების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ა " პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი სადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში, გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაცია შესაძლებლობა არა უმეტეს 25 წუთისა, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის განსაზღვრული სიმძლავრის აღების შესაძლებლობა – არა უმეტეს მომდევნო 35 წუთისა და დატვირთვის შენარჩუნების შესაძლებლობა – არანაკლებ 1 და არა უმეტეს 24 საათისა;

ბ) ამ წესების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ბ" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი სადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში, გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაციის შესაძლებლობა – არა უმეტეს 24 საათისა, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის განსაზღვრული სიმძლავრის აღების შესაძლებლობა – არა უმეტეს მომდევნო 12 საათისა და დატვირთვის შენარჩუნების შესაძლებლობა – არანაკლებ 1 და არა უმეტეს 24 საათისა.

3. ტესტირება ხდება ამ წესებისა და ტესტირების ტექნიკური ინსტრუქციის საფუძველზე, რომელსაც დაინტერესებული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წინადადებების გათვალისწინებით, შეიმუშავებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი.

4. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირება ხორციელდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის ან გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მოთხოვნით. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მოთხოვნით გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირება უნდა ჩატარდეს არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

5. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მოთხოვნით, ტესტირება ხდება ამ წესების მე-20 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ე " ქვეპუნქტისა, ან როდესაც ტესტირება უკვე მოთხოვნილია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ).

6. გარანტირებული სიმძლავრის წყარო ვალდებულია ტესტირების ჩატარების მოთხოვნასთან ერთად წარადგინოს ამ წესების მე-19 მუხლით გათვალისწინებული მზადყოფნის განაცხადი (რომლის წარდგენაზეც არ ვრცელდება მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა) . გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მოთხოვნა ტესტირების ჩატარების შესახებ, ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზია ნ ტის მიერ უნდა დაკმაყოფილდეს განაცხადის წარდგენიდან არა უმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში.

7. ელექტროენერგეტიკული სისტემის საჭიროების გათვალისწინებით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია გარანტირებული სიმძლავრის წყაროს დატვირთვა (მუშაობა) გააგრძელოს ტესტირების დასრულების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, ტესტირებით დადასტურდა თუ არა მისი მზადყოფნა 19[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პირობებითა და ვადებში.

8. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია გამიჯნოს ტესტირების დროს გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა შესაბამის საანგარიშო პერიოდში ჯამური გამომუშავებისაგან ტესტირების მიმდინარეობისათვის მის მიერ ამ წესების შესაბამისად განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.

9. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოს გააცნოს ტესტირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 16 სექტემბრის №190 ბრძანება – ვებგვერდი, 22.09.2011წ.*

### მუხლი 20. გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობის წესი და პირობები

1. გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხდება მხოლოდ სისტემის კომერციული ოპერატორის მეშვეობით.

2. საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე 10 კალენდარული დღით ადრე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი სისტემის კომერციულ ოპერატორსა და გარანტირებული სიმძლავრის შესაბამის წყაროებს უგზავნის გარანტირებული სიმძლავრის იმ წყაროთა ნუსხას, რომელთა მზადყოფნა მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის დადასტურებულია მე-19 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, შესაბამისი გარანტირებული სიმძლავრის ოდენობისა და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის საპროგნოზო პერიოდების (დღეების მიხედვით) მითითებით. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია წარდგენილ ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სისტემის კომერციულ ოპერატორსა და გარანტირებული სიმძლავრის შესაბამის წყაროებს.

3. სისტემის კომერციული ოპერატორი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტისაგან ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე სათანადო შეტყობინებას უგზავნის გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოებს. სისტემის კომერციული ოპერატორი ვალდებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოებს.

4. სისტემის კომერციული ოპერატორი საანგარიშო პერიოდში გარანტირებულ სიმძლავრეს შეისყიდის და, შესაბამისად, გარანტირებული სიმძლავრის საფასურს აუნაზღაურებს გარანტირებული სიმძლავრის მხოლოდ იმ წყაროებს და იმ პერიოდში, რომელთა მზადყოფნაც და მზადყოფნის პერიოდიც დადასტურებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გარდა 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს გარანტირებული სიმძლავრის საფასური არ აუნაზღაურდება იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული სიმძლავრის წყარო ენერგეტიკულ სისტემას ვერ უზრუნველყოფს გარანტირებული სიმძლავრის იმ ოდენობით, რომელიც დადგენილია საქართველოს მთავრობის მიერ, მათ შორის და არა მხოლოდ:

ა) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მფლობელობაში არსებული წარმოების საშუალებების შეკეთების ან/და რემონტის პერიოდში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული სიმძლავრის წყარო ტესტირების დროს შესაბამისი სადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში ვერ უზრუნველყოფს სისტემასთან სინქრონიზაციას და/ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის აღებას და/ან შენარჩუნებას 19[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პირობებითა და ვადებში;

გ) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ავარიული გაჩერების შემთხვევაში;

დ) იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული სიმძლავრის წყარო დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მოთხოვნიდან 19[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პირობებითა და ვადებში შესაბამისი სადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში ვერ უზრუნველყოფს სისტემასთან სინქრონიზაციას და/ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის აღებას და/ან შენარჩუნებას;

ე) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტისათვის მოთხოვნისთანავე, მის მფლობელობაში არსებული წარმოების საშუალებების ტექნიკური შესაძლებლობებისა და პარამეტრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით (გარდა „ე" ქვეპუნქტისა) გათვალისწინებულ შემთხვევებში გარანტირებული სიმძლავრის წყაროებს გარანტირებული სიმძლავრის საფასური არ აუნაზღაურდებათ ტესტირების გზით მზადყოფნის დადასტურებამდე, ხოლო „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენამდე.

7. ამ მუხლის მიზნებისათვის, გარანტირებული სიმძლავრის საფასური არ ანაზღაურდება იმ დღიდან, როდესაც დადგა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, იმ დღის ჩათვლით, როდესაც დადასტურდა გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნა ტესტირების გზით. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაცემული ყველა განკარგულება დაარეგისტრიროს ცენტრალური სადისპეტჩეროს ოპერატიულ ჟურნალში.

8. გარანტირებული სიმძლავრის წყარო ვალდებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით (გარდა „ე" ქვეპუნქტისა) გათვალისწინებული შემთხვევების გამომწვევი გარემოებების თაობაზე, ასევე წარადგინოს მზადყოფნის განაცხადი და მოითხოვოს ტესტირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტესტირება უკვე მოთხოვნილია

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ.

9. საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს 4 კალენდარული დღისა, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი სისტემის კომერციულ ოპერატორს წარუდგენს დადასტურებულ ინფორმაციას გარანტირებული სიმძლავრის იმ წყაროების შესახებ, რომლებიც საანგარიშო პერიოდში იმყოფებოდნენ მზადყოფნაში და ფაქტობრივად გააჩნდათ გარანტირებული სიმძლავრე, გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდების (დღეების მიხედვით) მითითებით, აგრეთვე, შესაბამის საანგარიშო პერიოდში გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ გამომუშავებული (სალტეზე მიწოდებული) ელექტროენერგიის რაოდენობას, მათ შორის, როგორც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის, ასევე გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მოთხოვნის საფუძველზე განხორციელებული ტესტირების დროს გამომუშავებული (სალტეზე მიწოდებული) ელექტროენერგიის რაოდენობების მითითებით.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროები წარმოადგენენ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ დიპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან დარეგისტრირებული გარანტირებული სიმძლავრის ყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მხარეებს, გარდა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

11. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვა ხდება უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, თავისუფალი მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის, პირდაპირი მომხმარებლების, ექსპორტიორების და ამ წესების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორთან დარეგისტრირებული გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მხარეებს.

12. ამ მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების შესრულების მიზნით, სისტემის კომერციული ოპერატორი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან არეგისტრირებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს გარანტირე – ბული სიმძლავრის ყიდვასა და გაყიდვაზე – როგორც გარანტირებული სიმძლავრის წყაროების, ასევე გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოებისათვის.

13. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები წარმოადგენს წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ სახელშეკრულებო პირობებს (ტიპურ სახელშეკრულებო ფორმულარს), რომელსაც სისტემის კომერციული ოპერატორი უდგენს კვალიფიციურ საწარმოებს. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები უნდა არეგულირებდეს შემდეგ საკითხებს:

ა) გარანტირებული სიმძლავრის ყიდვისა და გაყიდვის პირობებს;

ბ) გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების გადახდის პირობებსა და ვადებს;

გ) გარანტირებული სიმძლავრის მყიდველი უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, თავისუფალი მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის,, პირდაპირი მომხმარებლების, ექსპორტიორებისა და ამ წესების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის – გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გადახდის უზრუნველყოფის საშუალებებს, მათ შორის, პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობას;

დ) გარანტირებული სიმძლავრის ყიდვასა და გაყიდვასთან დაკავშირებულ სხვა პირობებს.

14. ამ მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების, მისი ცვლილებებისა და დამატებების, აგრეთვე გაუქმების რეგისტრაციაზე არ ვრცელდება ამ წესების მე-3 თავის მოთხოვნები. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ვალდებულია რეგისტრაცია განახორციელოს სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ რეგისტრაცია ჩაითვლება განხორციელებულად.

15. როგორც სტანდარტული პირობები, ასევე მასში განხორციელებული ყველა ცვლილება და დამატება, მისი ძალაში შესვლამდე არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოებს და საჯაროდ გამოქვეყნდეს სისტემის კომერციული ოპერატორის ოფიციალურ ვებგვერდზე.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 16 სექტემბრის №190 ბრძანება – ვებგვერდი, 22.09.2011წ.*

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 23 ივნისის ბრძანება №60 – ვებგვერდი, 29.06.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №69 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 19.04.2016წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 21. უზრუნველყოფილ გარანტირებულ სიმძლავრეზე ანგარიშსწორებ**

1. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს გარანტირებული სიმძლავრის საფასური აუნაზღაურდება გარანტირებული სიმძლავრის შესაბამისი წყაროს მზადყოფნის დადასტურებული პერიოდის გათვალისწინებით, ყოველდღიურ ბაზისზე, მაგრამ, საბალანსო წლის განმავლობაში, არა უმეტეს გარანტირებული სიმძლავრის შესაბამისი წყაროსათვის კომისიის მიერ დადგენილი დღეებისა. გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების ანაზღაურება ხდება მის მიერ იმავე პერიოდში ელექტროენერგიის გამომუშავების (სალტეზე მიწოდების) მიუხედავად. ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით ან „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

2. ამ წესების მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროები ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისათვის გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების დარიცხვას ახდენენ კომისიის მიერ დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის საფასურით, საანგარიშო პერიოდში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ დადასტურებული მათი მზადყოფნის პერიოდის (დღეების მიხედვით) მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ გარანტირებული სიმძლავრის შესაბამისი წყაროსათვის განსაზღვრული პერიოდის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდის ჩათვლით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ დადასტურებული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნის დღეების ჯამური რაოდენობა აღემატება კომისიის მიერ გარანტირებული სიმძლავრის შესაბამისი წყაროსათვის განსაზღვრული დღეების რაოდენობას, გარანტირებული სიმძლავრის წყარო გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დარიცხვას ახდენს კომისიის მიერ განსაზღვრული დღეების რაოდენობასა და კომისიის მიერ გარანტირებული სიმძლავრის შესაბამისი წყაროსათვის განსაზღვრული პერიოდის დასაწყისიდან  დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე გარანტირებული სიმძლავრის წყაროს დადასტურებული მზადყოფნის დღეების რაოდენობას შორის სხვაობაზე.

3. გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმო – უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, თავისუფალი მიმწოდებელი, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი, პირდაპირი მომხმარებელი, ექსპორტიორი და ამ წესების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ.ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია აუნაზღაუროს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისათვის შესაბამის საანგარიშო პერიოდში გადასახდელი გარანტირებული სიმძლავრის საფასური, გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების ფაქტობრივ ჯამურ მოხმარებასა და ექსპორტში მისი ფაქტობრივი მოხმარების ან ექსპორტის წილის პროპორციულად.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 16 სექტემბრის №190 ბრძანება – ვებგვერდი, 22.09.2011წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №20- ვებგვერდი, 19.04.2016წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

### მუხლი 22. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს და გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოს პასუხისმგებლობა

1. გარანტირებული სიმძლავრის წყარო ვალდებულია, მზადყოფნაში იქონიოს მის მფლობელობაში არსებული წარმოების საშუალებები და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ელექტროენერგეტიკულ სისტემას ელექტროენერგია ამ წესებით განსაზღვრული პირობებითა და ვადაში. გარანტირებული სიმძლავრის წყარო ვალდებულია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან შეთანხმებით, წარმოების საშუალებების შეკეთება ან/და რემონტი ჩაატაროს, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც.

2. სისტემის კომერციული ოპერატორი არ წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს. ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ეკისრება გარანტირებული სიმძლავრის შესაბამის წყაროს.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

### მუხლი 22[1]. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ ელექტროენერგიის წარმოებისა და გაყიდვის წესი

1. გარანტირებული სიმძლავრე იმყოფება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის განკარგულებაში. გარან – ტირებული სიმძლავრის წყარო ვალდებულია, სიმძლავრე დაუქვემდებაროს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს. შესაბამისად, გადაწყვეტილებას გარანტირებული სიმძლავრის წყაროს გამოყენებისა და მის მფლობელობაში არსებული წარმოების საშუალებების დატვირთვის მოცულობასა და მიზანშეწონილობაზე დამოუკიდებლად იღებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი. საქართველოს

მთავრობის მიერ დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის ოდენობა არ ათავისუფლებს გარანტირებული სიმძლავრის შესაბამის წყაროს მზადყოფნაში იქონიოს მის მფლობელობაში არსებული წარმოების საშუალებები წარმოების ლიცენზიის პირობებით და მისი ტექნიკური პარამეტრებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ გამომუშავებული (სალტეზე მიწოდებული), მათ შორის, ტესტირების დროს გამომუშავებული (სალტეზე მიწოდებული) ელექტროენერგიის გაყიდვა ხდება პირდაპირი ხელშეკრულებით ან სისტემის კომერციული ოპერატორის მეშვეობით (საბალანსო ელექტროენერგია) ამ წესების შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის პირდაპირი ხელშეკრულებით გაყიდვა (გარდა საბალანსო ელექტროენერგიისა) ხდება უნივერსალურ მიმწოდებელსა და საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება 2010 წლის შემდგომ აშენებულ გარანტირებული სიმძლავრის წყაროებზე.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება №109 – ვებგვერდი, 13.10.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება №67 – ვებგვერდი, 25.10.2017წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №1-1/580 - ვებგვერდი, 28.12.2021 წ.*

## თავი VII
## ელექტროენერგიის დანაკარგები გადაცემის ქსელში (ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერგიის დანახარჯი)

### მუხლი 23. ელექტროენერგიის შესყიდვა და ელექტრულ ქსელში დანაკარგების ანაზღაურება

1. კვალიფიციური საწარმოს მიერ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) შესყიდვა ხდება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებლის კუთვნილ სალტეზე, ხოლო იმპორტის შემთხვევაში, მეზობელი ქვეყნის სისტემასთან დამაკავშირებელ, შესაბამის მიღების პუნქტში.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ფაქტობრივი დანაკარგი გამოითვლება ყოველი საანგარიშო პერიოდისათვის მიღებისა და მიწოდების პუნქტებში აღრიცხული ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობების სხვაობისა და სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის (ხაზების), მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის მხრიდან დაცვის რეჟიმში აღრიცხული, აგრეთვე ხაზის სინქრონიზაციისას შემოდინებული ელექტროენერგიის გათვალისწინებით.

2[1]. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ფაქტობრივი საშუალო დანაკარგი გამოითვლება, ერთი მხრივ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაანგარიშებული ფაქტიური დანაკარგის რაოდენობასა და მეორე მხრივ – მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის მხრიდან სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის (ხაზების) დაცვის რეჟიმში აღრიცხული, ასევე ხაზის სინქრონიზაციისას შემოდინებული ელექტროენერგიის რაოდენობების ჯამს შორის სხვაობით.

2[2]. ფაქტიური დანაკარგისა და ფაქტობრივი საშუალო დანაკარგის მაჩვენებლები (სიდიდეები და პროცენტული მნიშვნელობები) წარედგინება სისტემის კომერციულ ოპერატორს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის არაუგვიანეს 7 რიცხვისა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით, მყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ (გარდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისა და ამ წესების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა) შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულებით, მათ შორის, პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით შესყიდული ელექტროენერგია განისაზღვრება ელექტროენერგიის შესაბამის მიწოდების პუნქტებში დაფიქსირებული მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობით, ხოლო გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით, ფაქტობრივი საშუალო დანაკარგის შესატყვის ელექტროენერგიის რაოდენობას შეისყიდის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

3[1]. ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობები გამოითვლება შესაბამის საანგარიშო პერიოდში მყიდველი კვალიფიციური საწარმოების (უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, თავისუფალი მიმწოდებელი, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი, განაწილების ლიცენზიატი (განაწილების ქსელში

დანაკარგების დაფარვის მიზნით შესყიდული/მიღებული ელექტროენერგიის ნაწილში), პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები) ფაქტიურ ჯამურ მოხმარებასა და ელექტროენერგიის ტრანზიტ(ებ)ის მოცულობებზე ფაქტობრივი საშუალო დანაკარგის შესატყვისი ელექტროენერგიის პროპორციული განაწილებით.

3[2]. განაწილების ლიცენზიატის მიერ საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობები გამოითვლება განაწილების ლიცენზიატის ქსელში მიღებულ ელექტროენერგიის რაოდენობას გამოკლებული კვალიფიციური საწარმოებისთვის განაწილებული (გატარებული) ელექტროენერგია.

4. ელექტროენერგიის განაწილების ქსელში ნორმატიული დანაკარგები ანაზღაურდება ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლებისა და იმ კვალიფიციური საწარმოების მიერ, რომლებიც ელექტროენერგიას იღებენ განაწილების ქსელიდან. დანაკარგების ღირებულება გათვალისწინებულია კომისიის მიერ დადგენილ შესაბამის ტარიფებში.

4[1]. გადამცემ ქსელში დანაკარგების შესატყვისი ელექტროენერგია წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას და მისი შესყიდვა ხორციელდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.

4[2]. გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების შესატყვისი ელექტროენერგია წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას და მისი შესყიდვა ხორციელდება განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.

5. ზენორმატიული დანაკარგის რაოდენობრივი მაჩვენებელი კონკრეტული კალენდარული წლისათვის წარმოადგენს დადებით სხვაობას გადამცემ ქსელში დანაკარგების რაოდენობასა და ნორმატიული დანაკარგის პროცენტული მაჩვენებლის შესატყვისი ელექტროენერგიის რაოდენობას შორის.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 22.10.2013წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №1-1/230 - ვებგვერდი, 07.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 23[1]. წარმოების ლიცენზიანტის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის შესყიდვა საერთო სასადგურო დანახარჯისთვის**

წარმოების ლიცენზიანტის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის წარმოების საშუალების გაჩერების პერიოდში ელექტროენერგიის საერთო სასადგურო დანახარჯის უზრუნველყოფა ხდება სხვა კვალიფიციური საწარმოსგან შესაბამისი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ნასყიდობისა და გადაცემა – დისპეტჩერიზაციის და გატარების მომსახურების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებებით ან სისტემის კომერციული ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

## თავი VIII

## ანგარიშსწორება

**მუხლი 24. ამოღებულია**

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

**მუხლი 25. ფინანსური გარანტიების წარმოდგენა**

1. იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიციურმა საწარმომ 5 დღეზე მეტი ვადით დააგვიანა შესყიდული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ან/და გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და გატარების ღირებულების გადახდა, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გამყიდველი ან გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, ან/და სათანადო განაწილების ლიცენზიატები უფლებამოსილნი არიან, შესაბამის კვალიფიციურ საწარმოებს მოსთხოვონ საბანკო გარანტია მომდევნო საანგარიშო პერიოდში შესასყიდი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ან გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, ან/და გატარების მომსახურების ღირებულების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

2. იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიციური საწარმო ვერ წარადგენს მოთხოვნილ ფინანსურ გარანტიებს კომერციულ ოპერატორს აქვს სრული უფლება არ დაუშვას იგი საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობაზე, ხოლო წარმოების ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, გადაცემის,

დისპეტჩერიზაციის და განაწილების ლიცენზიატებს შეწყვიტონ ამ მომხმარებლისათვის ელექტროენერგიისა ან/და მომსახურეობის გაწევა ამ წესების შესაბამისად.

3. თუ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) , გადაცემის, დისპეტჩერიზაციის ან/და გატარების მომსახურების (მათ შორის, საბალანსო ელექტროენერგიის) მყიდველი კვალიფიციური საწარმო დააყოვნებს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ან მომსახურების საფასურის გადახდას, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამგვარ დაყოვნებასთან დაკავშირებული ზიანი.

4. საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 27 დღის განმავლობაში (თუ პირდაპირი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული) მყიდველი კვალიფიციციური საწარმოების მიერ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ან მომსახურების საფასურის განსაღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ან ამ მუხლის შესაბამისად საბანკო გარანტიების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გამყიდველი კვალიფიციურ საწარმო ან მომსახურების განმახორციელებელი შესაბამისი ლიცენზიატი უფლებამოსილია, მოსთხოვოს ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულების შეწყვეტა.

5. (ამოღებულია).

6. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, თავისუფალი მიმწოდებელი, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი ვალდებულია, ამ წესების მე-3 მუხლით დადგენილი წესით საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციისას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს წარუდგინოს საბანკო გარანტია შესასყიდი გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასურისა და საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ღირებულების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით. უზრუნველყოფისათვის გამოიყენება საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში მოქმედი ბანკის მიერ გაცემული და საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ კონტრ-გარანტიის საფუძველზე გადაზღვეული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიები. საბანკო გარანტიის ოდენობას განსაზღვრავს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2 (ორი) თვეში შესასყიდი საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის საპროგნოზო მოცულობის სრულ ღირებულებას, ასევე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების სრულ ოდენობას. გარანტიის მოქმედების ვადა და სხვა პირობები ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორმა უნდა განუსაზღვროს ამ მუხლით განსაზღვრულ მიმწოდებლებს მისი წერილობითი მომართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. გარანტიის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვის დასრულების თვის მომდევნო 45 კალენდარულ დღეს. სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდის შემთხვევაში გარანტიის წარმომდგენი პირი ვალდებულია მიუსადაგოს წარმოდგენილი საბანკო გარანტია შეცვლილ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, საბანაკო გარანტია არ არის წარმოდგენილი. გარანტია წარმოუდგენლად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, თავისუფალი მიმწოდებელი, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გამოყენების შემდეგ, არ შეავსებს საბანკო გარანტიას და არ წარუდგენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

### მუხლი 25[1]. ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა (შეზღუდვა)

1. კვალიფიციური საწარმოსათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის (შეზღუდვა) საფუძვლებია:

ა) საბალანსო ელექტროენერგიის ნასყიდობის შესახებ პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების საფუძველზე საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა სტანდარტული პირობებით დადგენილ ვადაში, აგრეთვე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების დარღვევა;

ბ) გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების საფუძველზე უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გადაუხდელობა შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, აგრეთვე შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების დარღვევა;

გ) ელექტროენერგიის გადაცემის და/ან დისპეტჩერიზაციის ღირებულების გადაუხდელობა შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, აგრეთვე შესაბამისი ხელშეკრულებით

გათვალისწინებული სხვა ვალდებულების დარღვევა;
დ) სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ღირებულების ამ წესებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობა.
2. კვალიფიციური საწარმოსათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას (შეზღუდვას) უზრუნველყოფს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი სისტემის კომერციული ოპერატორის ან გადაცემის ლიცენზიანტის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი გადაწყვეტილებით.
3. დაინტერესებული მხარის მიმართვის მიღებისთანავე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია აცნობოს შესაბამის კვალიფიციურ საწარმოს ელექტროენერგიის შეწყვეტის (შეზღუდვის) შესახებ 72 საათით ადრე. თუ ამ დროში დაინტერესებული მხარის მიერ არ მოხდა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის გაგზავნილი მიმართვის ან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ახორციელებს კვალიფიციური საწარმოსათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას (შეზღუდვას). ყველა კვალიფიციური საწარმო ვალდებულია შეასრულოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის (შეზღუდვის) შესახებ. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნა შესაბამისი კვალიფიციური საწარმოსთვის ელექტროენერგიის შეწყვეტაზე (შეზღუდვაზე) ვრცელდება მიწოდების იმ პუნქტებზეც, რომლიდანაც კვალიფიციური საწარმო ელექტროენერგიას იღებს, როგორც საცალო მომხმარებელი.
4. ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტასთან (შეზღუდვასთან) დაკავშირებული დავა არ შეიძლება გახდეს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის (შეზღუდვის) გადავადების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება. ელექტროენერგიის მიწოდების უსაფუძვლოდ შეწყვეტის (შეზღუდვის) შედეგად კვალიფიციური საწარმოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5. ელექტროენერგიის გატარების ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში მომსახურების შეწყვეტის პირობები რეგულირდება შესაბამისი გატარების ხელშეკრულებით. ამ საფუძვლით ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა (შეზღუდვა) უნდა მოხდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეტყობინების სავალდებულო ვადის დაცვით, რის თაობაზეც ასევე უნდა ეცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს და სისტემის კომერციულ ოპერატორს.
6. ელექტროენერგიის მიწოდების განახლება ხდება შესაბამისად სისტემის კომერციული ოპერატორის ან გადაცემის ლიცენზიატის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი გადაწყვეტილებით.
7. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება იმ პირის მიმართაც, რომელიც საბალანსო ელექტროენერგიის, გარანტირებული სიმძლავრის, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის დადგომის მომენტისათვის აღარ წარმოადგენს კვალიფიციურ საწარმოს.
8. დაუშვებელია ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა (შეზღუდვა) უქმე და დასვენების დღეებში.
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №82 – ვებგვერდი, 25.08.2015წ.*

**მუხლი 26. მონაცემთა შეგროვება**
1. ყველა კვალიფიციური საწარმო ვალდებულია თავის მფლობელობაში ან/და მართვაში არსებული საშუალებებით აღრიცხოს მის მიერ წარმოებული, სალტეზე გაცემული, გადაცემული, მოხმარებული, მიწოდებული და განაწილებული ელექტროენერგიის რაოდენობა, ამ წესების შესაბამისად.
$1^1$. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, ცალ-ცალკე აღრიცხოს განაწილებული ელექტროენერგიის რაოდენობა, მათ შორის უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლებისათვის, თავისუფალი მიმწოდებლებისთვის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლებისთვის, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლებისათვის, ასევე განაწილების ქსელის დანაკარგები. აღნიშნული შესაბამისი აქტით უნდა წარედგინოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს ყველა მხარის მიერ.
2. კვალიფიციურმა საწარმოებმა აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა გახადონ ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის, სისტემის კომერციული ოპერატორისა და აგრეთვე თავისი კონტრაჰენტი მხარეებისათვის.
3. ელექტროსადგურებსა და ქვესადგურებში, სადაც მდებარეობს მიღებისა და მიწოდების პუნქტები უნდა წარმოებდეს საანგარიშო და ტექნიკური მრიცხველების ჩვენებების აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც დამოწმებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ. აღრიცხვის ჟურნალში იწერება საანგარიშსწორებო და ტექნიკური მრიცხველის ჩვენებები ყოველდღიურად, ყოველი დღის 24.00 საათის მდგომარეობით, ხოლო სადგურის საკუთარი მოხმარების მრიცხველების ჩვენებები შეიძლება

აღრიცხვის ჟურნალში დამატებით ჩაიწეროს სადგურის წარმოების და მოხმარების რეჟიმების ურთიერთჩანაცვლების მომენტებისთვის.

4. იმ სადგურებსა და ქვესადგურებში, სადაც შეუძლებელია მრიცხველის ჩვენებების ყოველდღიური აღება, მრიცხველის ჩვენებები უნდა იყოს აღებული და შეტანილი აღრიცხვის ჟურნალში სულ მცირე 10 დღეში ერთხელ. აღნიშნული სადგურებისა და ქვესადგურების ნუსხას ადგენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი.

5. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კვალიფიციური საწარმო, მიწოდებისა და მიღების პუნქტებში ელექტროენერგიის მიღებისა და მიწოდების ყველა მონაწილე მხარის (კვალიფიციური საწარმო ან/და გადაცემის ლიცენზიატი) უფლებამოსილ წარმომადგენლებთან ერთად, ვალდებულია ზედა დონის ესკაა სისტემის და მისი შემადგენელი შუალედური ან/და ქვედა დონის ესკაა სისტემ(ებ) ის მონაცემების გამოყენებით შეადგინოს დადგენილი ფორმის გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტი (აქტები) . ის კვალიფიციური საწარმოები, რომლებიც არ არიან ჩართულნი/დაკავშირებულნი, ან მათი აღრიცხვის სიტემის მხოლოდ ნაწილია ჩართული ზედა დონის ესკაა სისტემაში/სისტემასთან, გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტს (აქტებს) ადგენენ როგორც ზედა დონის ესკაა სისტემის და მისი შემადგენელი შუალედური ან/და ქვედა დონის ესკაა სისტემ(ებ) ის მეშვეობით (სისტემასთან თავსებად (სისტემაში ჩართულ) აღრიცხვის კვანძებზე), ასევე მიწოდებისა და მიღების პუნქტებში ელექტროენერგიის მიღებისა და მიწოდების ყველა მონაწილე მხარის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან ერთად საანგარიშსწორებო მრიცხველის (მრიცხველების) ჩვენებების (მაბვების მიხედვით) აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერების ბაზაზე დაყრდნობით (იმ მრიცხველებზე, რომლებიც ჯერ–ჯერობით არ არიან ჩართულნი ზედა დონის ესკაა სისტემა-ში) . იმ შემთხვევებში, როდესაც დროის რომელიმე კონკრეტული პერიოდის სრულად ამსახველ მონაცემებში არსებობს წინააღმდეგობა აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერებსა და ზედა დონის ესკაა სისტემის და მისი შემადგენელი შუალედური ან/და ქვედა დონის ესკაა სისტემ(ებ) ის მონაცემებს შორის, უპირატესობა ენიჭება ზედა დონის ესკაა სისტემის, ან/და მისი შემადგენელი შუალედური ან/და ქვედა დონის ესკაა სისტემ(ებ) ის მონაცემებს.

5[1]. იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტროენერგიის მრიცხველები თავსებადია ზედა დონის ესკაა სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფასთან და მათგან გარკვეული მიზეზით არ გადმოიცემა ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემები ზედა დონის ესკაა სისტემაში, გამომუშავებული, მიწოდებული ან/და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტის (აქტების) შესადგენად საჭირო ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემების მიღებისთვის დასაშვებია, კვალიფიციური საწარმო(ები)ს ან/და გადაცემის ლიცენზიატ(ებ) ის მოთხოვნით ელექტროენერგიის მრიცხველების ადგილზე წაკითხვა და აღნიშნული მონაცემების აღება სპეციალური პორტატული კომპიუტერის გამოყენებით, სათანადო კვალიფიციური საწარმო(ებ)ის ან/და გადაცემის ლიცენზიატ(ებ) ის ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მონაწილეობით. ელექტროენერგიის მრიცხველებიდან აღრიცხვის მონაცემების წაკითხვის და აღრიცხვის მონაცემების აღების პროცედურა და წესი დგინდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის მრიცხველების ადგილობრივი წაკითხვის და აღრიცხვის მონაცემების აღების სპეციალური ინსტრუქციით, რომლის მოთხოვნათა განუხრელი შესრულებაც სავალდებულოა ყველა კვალიფიციური საწარმოსა და გადაცემის ლიცენზიატის მიერ.

6. აქტების გაფორმება შესაძლებელია მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მატერიალური სახით აქტების გაფორმების შემთხვევაში, აქტების დედნების რაოდენობა განისაზღვრება კვალიფიციური საწარმოს კონტრაჰენტი მხარეების რაოდენობით და აგრეთვე, ორ-ორი დედანი კომერციულ ოპერატორს და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

7. სადგურებსა და ქვესადგურებში შესაბამისი კვალიფიციური საწარმოებისა და გადაცემის ლიცენზიატების მიერ ბრძანებით ინიშნებიან აღრიცხვის კონტროლზე პასუხისმგებელი პირები. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია სისტემატური კონტროლი გაუწიოს მრციხველების ჩვენებების აღების სისწორეს, ოპერატიული ჟურნალის წარმოებასა და სადგურებსა და ქვესადგურებში შესაბამისი ბალანსის შედგენას.

8. შესაბამის ოპერატიული ჩვენებების აქტში დაფიქსირებული მონაცემები, საანგარიშო პერიოდის დამთავრებისთანავე, უნდა გადაეცეს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, ხოლო ზედა დონის ესკაა სისტემის მონაცემების გამოყენებით სათანადოდ გაფორმებული და კვალიფიციური საწარმოს მიერ მატერიალური სახით დამოწმებული ან ელექტრონული ფორმით შედგენილი აქტი, საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს 2 სამუშო დღისა უნდა იქნეს წარდგენილი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან, რომელიც ამოწმებს თითოეული აქტის სისწორეს და შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მოქმედებს ამ მუხლის მე-11

პუნქტით დადგენილი წესით, ხოლო შენიშვნების არარსებობის შემთხვევაში ამოწმებს მათ, რის შემდეგაც მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტები დაუყოვნებლივ მოწმდება გადაცემის ლიცენზიატების მიერ. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს, აქტების რეგისტრაციისა და შესაბამისად ერთიანი ანგარიშსწორების ბაზის მონაცემებში გათვალისწინების მიზნით, გადაცემის ლიცენზიატების მიერ მატერიალური სახით დამოწმებული აქტის მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა გადასცემს დამოწმებული აქტის დედნებს, ხოლო ელექტრონული ფორმით გაფორმების შემთხვევაში, აქტის დამოწმებულ ვერსიას ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი მატერიალური ფორმით წარმოდგენილ აქტებს არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა უგზავნის კვალიფიციურ საწარმოებს.

9. აღნიშნული აქტების მითითებულ ვადაში წარმოუდგენლობა იწვევს კვალიფიციური საწარმოს დაჯარიმებას კომერციულ ოპერატორთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით.

10. გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტში ცვლილებების შეტანა ხდება იგივე წესით, რაც გათვალისწინებულია ამ აქტის გაფორმებისათვის.

11. იმ შემთხვევაში, თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი არ ეთანხმება ამ მუხლის მე-8 პუნქტით წარმოდგენილ მიღება – ჩაბარების დამოწმებულ აქტში ასახულ მონაცემებს, მან უნდა მიუთითოს ამის შესახებ სათანადო კვალიფიციურ საწარმო (ებ) ს შეცდომის დასაბუთებით და გაასწოროს მონაცემები სათანადო კვალიფიციურ საწარმოსთან/საწარმოებთან შეთანხმებით, ხოლო სათანადო კვალიფიციური საწარმო (ები) ვალდებული არიან ხელახლა წარუდგინონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შესწორებული და დამოწმებული აქტ(ებ)ი, რაც უნდა შესრულდეს საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიციური საწარმოები არ ეთანხმებიან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის შესწორებებს და უარს აცხადებენ შესწორებების აქტ (ებ) ში ასახვაზე, უთანხმოების გადაჭრის მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და შესაბამისი კვალიფიციური საწარმოს მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ამ წესების 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 2 ივნისის ბრძანება №1-1/202 - ვებგვერდი, 04.06.2020 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 27. აღრიცხვიანობის რეესტრი და მონაცემთა მართვა**

1. კომერციულ ოპერატორს გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებული ჩვენებები შეაქვს საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ერთიან ბაზაში.

2. სისტემის კომერციული ოპერატორი 7 კალენდარული დღის ვადაში ამუშავებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ მიწოდებულ ფაქტობრივ მონაცემებს, მათი სახელშეკრულებო მოცულობებთან და ელექტროენერგიის მიღება – ჩაბარების აქტებთან შედარების გზით და კვალიფიციურ საწარმოებსა და გადაცემა – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტებს წარუდგენს ინფორმაციას საანგარიშო თვის განმავლობაში მათ მიერ დარეგისტრირებული ხელშეკრულებების შესრულების, საბალანსო ელექტროენერგიისა და ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მიღებული და მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობების შესახებ.

3. თუ კვალიფიციური საწარმოები არ ეთანხმებიან სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ დამუშავებულ და წარგენილ ინფორმაციას, მათ 2 კალენდარული დღის ვადაში ამის შესახებ უნდა აცნობონ კომერციულ ოპერატორს წერილობით, უთანხმოების დასაბუთებული მიზეზების ჩვენებით. უთანხმოების გადაჭრის მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი სისტემის კომერციული ოპერატორის, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და შესაბამისი კვალიფიციური საწარმოების მონაწილეობით.

4. სამუშაო ჯგუფმა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არა უმეტეს 2 სამუშაო დღისა ხმების უბრალო უმრავლესობით. სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნა უნდა გაფორმდეს ოქმის სახით. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე არ ეთანხმება სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს იგი გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტები და სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ ამ წესების მე-15 მუხლის შესაბამისად წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია არის საფუძველი მხარეებს შორის საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებისათვის, მათ შორის ოპერატიულ ჟურნალში აღნიშნული ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელებული ანგარიშსწორების კორექტირებისათვის.

6. სისტემის კომერციული ოპერატორი ყოველი საანგარიშო თვის დამთავრებიდან 20 დღის ვადაში, კვალიფიციურ საწარმოებს წარუდგენს ანგარიშსწორებისთვის საბოლოო ინფორმაციას – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მიწოდებული შესაბამისი ინფორმაციის სათანადოდ

დამუშავების (ანალიზის) საფუძველზე.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*

**მუხლი 27[1]. საბითუმო ყიდვა – გაყიდვის ერთიანი ბაზა**

1. ბაზრის ოპერატორი, საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ერთიანი ბაზის მეშვეობით, ყოველი საანგარიშო პერიოდის მიხედვით ამ წესებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდეგ ადგენს საბითუმო ვაჭრობაში თითოეული მონაწილის მიერ:

ა) გაყიდული და შესყიდული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ჯამურ რაოდენობებს;

ბ) ორმხრივი პირდაპირი ხელშეკრულებებით გაყიდულ და შესყიდულ ელექტროენერგიის რაოდენობებს;

გ) საბალანსო ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის რაოდენობებს და ღირებულებას.

2. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვის მონაცემთა ბაზაში დაცული უნდა იყოს მონაცემების უსაფრთხოება და კომერციული საიდუმლოების კონფიდენციალურობა. მონაცემები უნდა ინახებოდეს მონაცემთა ბაზაში სამი წლის განმავლობაში წაკითხვის ფორმატით და ექვსი წლის განმავლობაში დაარქივებული ფორმატით.

3. კვალიფიციურ საწარმოს უფლება აქვს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს მისი მონაწილეობით ყიდვა-გაყიდვასთან ან/და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვის მონაცემთა ბაზიდან და მოითხოვოს ნებისმიერი აღმოჩენილი და დადასტურებული უზუსტობის გასწორება.

4. ბაზრის ოპერატორი პასუხისმგებელია ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვის მონაცემთა ბაზის სისრულეზე და სიზუსტეზე.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

## თავი IX
## ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და გატარების მომსახურება

**მუხლი 28. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და გატარების მომსახურება**

1. ელექტროენერგიის გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და გატარების მომსახურება ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულებით ელექტროენერგიის გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და გატარების მომსახურების ნასყიდობაზე, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დადგენილი წესით რეგისტრირებული ელექტროენერგიის გადაცემის/დისპეტჩერიზაციის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.

2. კვალიფიციური საწარმოების (განაწილების ლიცენზიანტი, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, თავისუფალი მიმწოდებელი, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი, პირდაპირი მომხმარებელი, ექსპორტიორი, აგრეთვე ელექტროენერგიის მწარმოებელი – საერთო სასადგურო დანახარჯის უზრუნველსაყოფად ელექტროენერგიის შესყიდვის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ მის კუთვნილ სალტეზე/ქსელზე მიერთებულ საცალო მომხმარებელზე ელექტროენერგიის გაყიდვის შემთხვევაში) მიერ ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება მიწოდების პუნქტებში მოხმარებული (აღრიცხული) ყოველი კილოვატსაათი ელექტროენერგიისთვის, კომისიის მიერ ამ მომსახურებაზე დადგენილი ტარიფის მიხედვით.

2[1]. გადაცემის ლიცენზიატების მომსახურების ანაზღაურება განაწილების ლიცენზიატის, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, თავისუფალი მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის, პირდაპირი მომხმარებლის, აგრეთვე ელექტროენერგიის მწარმოებლის (საერთო სასადგურო დანახარჯის უზრუნველსაყოფად ელექტროენერგიის შესყიდვის შემთხვევაში) მიერ ხორციელდება მიწოდების პუნქტებში მოხმარებული (აღრიცხული) ყოველი კილოვატსაათი ელექტროენერგიის მთელ მოცულობაზე კომისიის მიერ ამ მომსახურებაზე დადგენილი ტარიფების (გარდა სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით მომსახურებისთვის დადგენილი ტარიფისა) მიხედვით.

2[2]. გარდა ამ მუხლის 2[3] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, გადაცემის ლიცენზიანტების მომსახურების ანაზღაურება ექსპორტიორის მიერ ხორციელდება სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით (მიუხედავად გადამცემი ხაზის კუთვნილებისა) ექსპორტირებული ელექტროენერგიის მთელ მოცულობაზე კომისიის მიერ ამ

მომსახურებაზე დადგენილი ტარიფების (გარდა სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით მომსახურებისთვის დადგენილი ტარიფისა) მიხედვით.

2[3]. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგიის ექსპორტის შემთხვევაში შესაბამისი ექსპორტიორის მიერ გადაცემის ლიცენზიანტების მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ექსპორტირებული ელექტროენერგიის მთელ მოცულობაზე, კომისიის მიერ გადაცემის ლიცენზიანტებისთვის დადგენილი ყველა ტარიფის (მათ შორის, სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით მომსახურებისთვის დადგენილი ტარიფის) მიხედვით.

3. (ამოღებულია - 03.07.2017, №35).

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 11 თებერვლის ბრძანება №13 – ვებგვერდი, 13.04.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის ბრძანება №35 – ვებგვერდი, 04.07.2017წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 28[1]. გადაცემის ლიცენზიანტის 3 წლიანი სამუშაოების პროგრამა**

1. გადაცემის ყველა ლიცენზიანტი ვალდებულია საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის (ტექსტში შემდგომ – „ათწლიანი გეგმა“) საფუძველზე, ყოველწლიურად, აღნიშნული გეგმის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, შეიმუშაოს და გადამცემი სისტემის ოპერატორს შესათანხმებლად წარუდგინოს მომდევნო 3 კალენდარულ წელზე გათვლილი სამუშაოების პროგრამა. სამუშაოების პროგრამა შედგენილი უნდა იყოს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით.

2. წარდგენილ სამუშაოების პროგრამას გადამცემი სისტემის ოპერატორი განიხილავს მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

3. სამუშაოების პროგრამის განხილვის შედეგად გადამცემი სისტემის ოპერატორი გასცემს:

ა) წერილობით თანხმობას სამუშაოების პროგრამაზე;

ბ) წერილობით შენიშვნებს სამუშაოების პროგრამაზე.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორის შენიშვნები სამუშაოების პროგრამასთან დაკავშირებით იყოფა სავალდებულო და სარეკომენდაციო ნაწილებად, რომლებიც საგანგებოდ აღინიშნება გადამცემი სისტემის ოპერატორის წერილში. სავალდებულო ხასიათის შენიშვნები უნდა იყოს დასაბუთებული და გამომდინარეობდეს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, შესაბამისი სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მოქმედი ათწლიანი გეგმის მოთხოვნებიდან თუ სხვა მავალდებულებელი ნორმატივებიდან. გადაცემის ლიცენზიანტი აუცილებელი წესით ითვალისწინებს შენიშვნების სავალდებულო ნაწილს სამუშაოების პროგრამაში. შენიშვნების სარეკომენდაციო ნაწილის ასახვა დამოკიდებულია გადაცემის ლიცენზიანტის შეფასებაზე და შენიშვნების ამ ნაწილის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება გახდეს სამუშაოების პროგრამაზე თანხმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

5. გადაცემის ლიცენზიანტი სამუშაო პროგრამაზე შენიშვნების მიღების შემდეგ განიხილავს მათ და სავალდებულო ხასიათის შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, ახორციელებს სამუშაოების პროგრამის სათანადო კორექტირებას, ხოლო სარეკომენდაციო შენიშვნების შემთხვევაში – წყვეტს მათი სამუშაო პროგრამაში ასახვის მიზანშეწონილობის საკითხს. გადაცემის ლიცენზიანტი შენიშვნების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში სამუშაოების პროგრამის ახალ ვერსიას ხელახლა წარუდგენს გადამცემი სისტემის ოპერატორს.

6. გადამცემი სისტემის ოპერატორი სამუშაო პროგრამის განმეორებით მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში ამოწმებს მას და სავალდებულო შენიშვნების სრულყოფილად ასახვის შემთხვევაში, გასცემს წერილობით თანხმობას სამუშაოების პროგრამაზე.

7. გადაცემის ლიცენზიანტის სამუშაოების პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის სამშენებლო ან აღნიშნულთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება შესაბამისი გადაცემის ლიცენზიანტის პასუხისმგებლობითა და ხარჯზე. ამასთან, გადაცემის ლიცენზიანტი ვალდებულია გადამცემი სისტემის ოპერატორს მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) სამუშაოების პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ – პერიოდულად, კალენდარული წლის ყოველი კვარტლის მიხედვით, საანგარიშო კვარტლის დასრულებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) სამუშაოების პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების მიზნით დაგეგმილი აქტივობების შესახებ – მხოლოდ გადამცემი სისტემის ოპერატორის წერილობითი მოთხოვნის

შემთხვევაში, აღნიშნული მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოითხოვოს შეთანხმებული სამუშაოების პროგრამის გადასინჯვა, თუ აშკარაა, რომ გაწეული საქმიანობები, დაგეგმილი აქტივობები ან შესრულების ხარისხი არ არის საკმარისი სამუშაოების პროგრამის დადგენილ ვადებში სრულყოფილად განხორციელებისთვის.

9. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამუშაოების პროგრამის გადასინჯვის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შესაბამისმა გადაცემის ლიცენზიანტმა უნდა გამართოს კონსულტაციები გადამცემი სისტემის ოპერატორთან. კონსულტაციების დასრულების შედეგად გადაცემის ლიცენზიანტი გადამცემი სისტემის ოპერატორს წარუდგენს კორექტირებულ სამუშაოების პროგრამას. კორექტირებული სამუშაოების პროგრამის განხილვა და შეთანხმება ხორციელდება იმავე პროცედურებისა და ვადების დაცვით, როგორც ეს დადგენილია ამ მუხლის მე-2-მე-6 პუნქტებით.

10. გადაცემის ლიცენზიანტი ვალდებულია უზრუნველყოს შეთანხმებული სამუშაოების პროგრამის სრულფასოვნად ასახვა ათწლიანი გეგმის შესაბამისად შემუშავებულ 3 კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელ საინვესტიციო გეგმაში, რომელიც წარედგინება კომისიას.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №5 8 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

**მუხლი 29. გადაცემის, დისპეტცერიზაციისა ან/და გატარების მომსახურების ნასყიდობის ხელშეკრულება, ელექტრულ ქსელში ურთიერთდაშვების ვალდებულებები**

1. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და გატარების მომსახურების შესყიდვაზე პირდაპირი ხელშეკრულება აუცილებელია სარეგისტრაციოდ წარედგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

2. პირდაპირ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა შედგეს წერილობითი ხელშეკრულების ფორმით. პირდაპირი ხელშეკრულების ასეთი შესწორება ექვემდებარება სარეგისტრაციოდ წარედგინას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან.

3. ყველა შესატყვისი კვალიფიციური საწარმო ვალდებულია გააჩნდეს პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების თაობაზე. კვალიფიციური საწარმოს მიერ გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურების შესყიდვაზე პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის ან პირდაპირი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურეობა განხორციელდება გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურების თაობაზე პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით. პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ გამოიყენება ელექტროენერგიის ექსპორტთან ან/და ტრანზიტთან დაკავშირებული გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე. პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მოქმედებს, თუ კონკრეტულ კვალიფიციურ საწარმოსთან არ არის გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების არარსებობა გამოწვეულია კვალიფიციური საწარმოს მიერ ხელშეკრულების პირობების ან კანონმდებლობის დარღვევით.

4. კვალიფიციურ საწარმოებს უფლება არ აქვთ უარი უთხრან შესაბამის დაინტერესებულ პირს, მათი კუთვნილი ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გატარებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უარი დასაბუთებულია გატარებისათვის საჭირო შესაბამისი საფასურის გადაუხდელობით ან ქსელის გამტარუნარიანობით. გადაცემის ქსელის გარდა, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გატარება შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მოითხოვოს როგორც წარმოების ან განაწილების ლიცენზიატის, ისე მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან/და პირდაპირი მომხმარებლის კუთვლნილი ქსელით. ასეთ შემთხვევებში:

ა) თუ დაინტერესებული პირი ითხოვს წარმოების ან გამანაწილებელი ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან პირდაპირი მომხმარებლის კუთვნილი ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გატარებას, ამ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გატარება არ ავალდებულებს ქსელის მფლობელს ფაქტობრივი მოხმარების დასაბალანსებლად საჭირო ელექტროენერგიის (სიმძლავრით) მომარაგებაზე (თუ ელექტროენერგიის გატარების შესახებ ხელშეკრულება სხვა პირობას არ ითვალისწინებს) . შესაბამისად:

ა.ა) ფაქტობრივი მოხმარების დასაბალანსებლად საჭირო ელექტროენერგიით (სიმძლავრით) მომარაგებაზე შესაბამისი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ქსელის მფლობელის კუთვნილი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) უნებართვო მოხმარებას, ქსელის მფლობელს უფლება აქვს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და გადაახდევინოს შეუთანხმებლად მოხმარებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მოცულობაზე, შესაბამის საანგარიშსწორებო თვეში, მის მიერ ყველაზე ძვირად შესყიდული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საფასური;

ა.ბ) ელექტროენერგიის ქსელში ზენორმატიული დანაკარგები ანაზღაურდება ელექტრული ქსელის მფლობელის მიერ, მომხმარებლის (მიმღების) ფაქტობრივი საჭიროების უზრუნველსაყოფად შესყიდული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყველაზე მაღალი ფასით.

ბ) თუ მოთხოვნილი გატარების მომსახურება ეხება განაწილების ქსელს, ასეთ შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გატარების საფასური დგინდება კომისიის მიერ;

გ) თუ მოთხოვნილი გატარების მომსახურება ეხება ისეთ ქსელს, რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატის მფლობელობაში, ქსელის ფლობელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, ჯეროვანი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და ამ ქსელით სარგებლობისათვის (ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გატარებისათვის) მიიღოს სათანადო კომპენსაცია, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5. წარმოების ლიცენზიატს ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურს უფლება აქვს სათანადო მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს პირდაპირ მომხმარებელს ან/და სხვა კვალიფიციურ საწარმოს ელექტროენერგია (სიმძლავრე) უშუალოდ თავიანთი კუთვნილი ქსელის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, ელექტროენერგიის მიმწოდებელს ეკისრება მომხმარებლის ფაქტობრივი მოხმარების დასაბალანსებლად საჭირო ელექტროენერგიით (სიმძლავრით) მომარაგების ვალდებულება, თუ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება სხვა პირობას არ ითვალისწინებს.

6. (ამოღებულია - 21.06.21 №1-1/257).

7. (ამოღებულია - 21.06.21 №1-1/257).

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

## თავი IX[1]
## ელექტროენერგეტიკული სისტემის პარალელურ რეჟიმში მუშაობა

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*

### მუხლი 29[1]. პარალელურ რეჟიმში მუშაობის მართვა, განხორციელება და ანგარიშსწორება

1. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, სისტემის კომერციულ ოპერატორთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გაფორმებული პარალელურ რეჟიმში მუშაობის შესახებ ხელშეკრულება, ემსახურება როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობას ელექტრულ სისტემებში არსებული სიმძლავრეების ურთიერთდაბალანსების (გაცვლის) საფუძველზე.

2. პარალელურ რეჟიმში საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემოდინებული ელექტროენერგიით (სიმძლავრით) ხდება კვალიფიციური საწარმოების ფაქტობრივი საჭიროების დაკმაყოფილება, მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემიდან შემოდინებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ხარჯზე.

3. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მეზობელ ელექტროენერგეტიკულ სისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობა (ჩართვა) საჭიროებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის და სისტემის კომერციულ ოპერატორის ურთიერთთანამშრომლობას (რაც დაწვრილებით შეიძლება გაიწეროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით).

4. საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემოდინებული ან გადადინებული ელექტროენერგიის ტექნიკურ მართვას ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, ხოლო დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დამუშავებული ინფორმაციის საბოლოო ანალიზს, საანგარიშსწორებო ინფორმაციაში ასახვის მიზნით, ახორციელებს სისტემის კომერციული ოპერატორი.

5. პარალელურ რეჟიმში ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემიდან მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემაში გადადინება ხორციელდება შესაბამისი წარმოების, განაწილების ან/და პირდაპირი მომხმარებლების მიერ დაბრუნებული (მიწოდებული) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ხარჯზე.

6. პარალელურ რეჟიმში საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემოდინებული და კვალიფიციური საწარმოს მიერ მოხმარებული (მიღებული) ელექტროენერგიის დაბრუნება მოხდება იმავე მოცულობის ელექტროენერგიით, სისტემის კომერციულ ოპერატორთან და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან ურთიერთშეთანხმებული გრაფიკით ან/და პარალელურ რეჟიმში მუშაობისას მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის ამ ენერგიის საჭიროების ან მათ მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

7. კვალიფიციური საწარმოები ვალდებულნი არიან, მათ მიერ პარალელურ რეჟიმში შემოდინებული და მოხმარებული ელექტროენერგია (სიმძლავრე) დააბრუნონ, პირდაპირი ხელშეკრულებით შესყიდული ან წარმოებული იმავე მოცულობის ელექტროენერგიით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიმართ.

8. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლში მოცემული მიზნებისთვის, კვალიფიციურ საწარმოს არ გააჩნია პირდაპირი ხელშეკრულებით შესყიდული ან წარმოებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) სათანადო წყაროები, მის მიერ მოხმარებული (მიღებული) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დაბრუნება მოხდება სტანდარტულ პირობებზე საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვით.

9. პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ურთიერთგადადინების შედეგად საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში წარმოშობილი ფაქტობრივი დანაკარგები, იფარება მიწოდების პუნქტში ინდივიდუალურად იმ კვალიფიციური საწარმოების მიერ, რომლებმაც მიიღეს (მოიხმარეს) შემოდინებული ელექტროენერგია მათი ფაქტიური მოხმარების უზრუნველსაყოფად.

10. კვალიფიციურ საწარმოზე პარალელურ რეჟიმში შემოდინებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დარიცხვისას გამოიყენება ამ წესებით დადგენილი დანაკარგების გაანგარიშების და დარიცხვის წესი.

11. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულებასთან ერთად, ამავე მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან შეიძლება, მოქმედებდეს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) იმპორტის ან/და ექსპორტის სხვა ხელშეკრულებებიც.

12. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) იმპორტის და ექსპორტის საქმიანობისგან განსხვავებით, ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობა (ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ურთიერთგადადინება) არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას.

13. პარალელურ რეჟიმში მუშაობის შესაბამისი ხელშეკრულების გაუქმების საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და სისტემის კომერციული ოპერატორის ურთიერთშეთანხმებით ისე, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს სისტემაში არსებული კვალიფიციური საწარმოების კანონიერი მოთხოვნები. იგივე პირობა დაცული უნდა იქნეს პარალელური მუშაობის ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას.

14. პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების დამთავრების შემდგომ, ელექტროენერგიის სალდო-გადადინება (გარდა ნულოვანისა) , განიხილება როგორც ელექტროენერგიის ექსპორტი ან იმპორტი. შესაბამისად, სალდირებული ელექტროენერგიის ნაწილში იმპორტიორს ან ექსპორტიორს წარმოადგენს ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, სადაც, იმ შემთხვევაში თუ:

ა) საქართველოდან გადინებული ელექტროენერგიის სალდო-გადადინება მეტია ნულზე და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის მეზობელი ქვეყნიდან გადახდილი თანხა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებულ კვალიფიციური საწარმოების კანონიერ მოთხოვნებს, სხვაობა ანაზღაურდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ;

ბ) თუ საქართველოში შემოდინებული ელექტროენერგიის სალდო-გადადინება ნაკლებია ნულზე და კვალიფიციურ საწარმოებს მართებთ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიმართ პარალელურ რეჟიმში შემოდინებული და მათ მიერ მოხმარებული (მიღებული) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დაბრუნება, ისინი ვალდებულნი არიან, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს გადაუხადონ პარალელურ რეჟიმში მუშაობის შესაბამისი ხელშეკრულების სალდო-გადადინებისთვის დადგენილი ფასით (ან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობითი ფასით) .

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*

## თავი X
## ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსი

### მუხლი 30. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წლიური ბალანსი

1. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წლიური საპროგნოზო ბალანსის შესადგენად, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის 1 ნოემბრისა, იღებს კვალიფიციური საწარმოების მიერ წარდგენილ დადგენილი ფორმის განაცხადებს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდება-მოთხოვნის შესახებ მომდევნო წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის.

2. დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტი არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის 20 ნოემბრისა, მიღებული განაცხადებისა და ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წინა წლის ფაქტობრივი ბალანსის გათვალისწინებით, ამუშავებს და უგზავნის სამინისტროს დასამტკიცებლად ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მომდევნო წლის საპროგნოზო ბალანსს.

3. სამინისტრო, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსს ამტკიცებს არა უგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წლიური ბალანსი მოიცავს პერიოდს მომდევნო წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (საბალანსო წელი).

4. კვალიფიციური საწარმოები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნისას ვალდებულნი არიან,

დამატებით წარადგინონ განაცხადები წლიური ბალანსის კორექტირებისთვის.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*

*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 16 სექტემბრის №190 ბრძანება – ვებგვერდი, 22.09.2011წ.*

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*

**მუხლი 31. მიწოდებისა და მოხმარების გეგმები**

1. დამტკიცებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის ფარგლებში გენერაციის საშუალებებისა და მიწოდების წყაროების ყოველთვიურ პროგნოზს და ყოველდღიურ– საათობრივ დაგეგმვას ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, კვალიფიციური საწარმოების მიერ წარმოდგენილი მოხმარებისა და მიწოდების ყოველთვიური და ყოველდღიური-საათობრივი განაცხადების საფუძველზე, ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მოსალოდნელი რეჟიმებისა და რესურსების გათვალისწინებით

2. ყოველთვიური დაგეგმვისათვის ამ მუხლის 24-ე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად:

ა) კვალიფიციური საწარმოები (გარდა იმპორტიორისა და ექსპორტიორისა) საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე 4 სამუშაო დღით ადრე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მიაწვდიან მომავალი საანგარიშო პერიოდისთვის მოხმარებისა და მიწოდების ტიპურ საათობრივ გრაფიკებს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირდაპირი ხელშეკრულების ფარგლებში შესასყიდი ან გასაყიდი მოცულობების მითითებით;

ბ) იმპორტიორები და ექსპორტიორები მიწოდების დაწყებამდე 10 სამუშაო დღით ადრე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მიაწვდიან მიწოდების პერიოდისთვის იმპორტ/ექსპორტის ტიპურ საათობრივ გრაფიკებს შესაბამისი მიწოდების პერიოდის განმავლობაში პირდაპირი ხელშეკრულების ფარგლებში შესასყიდი ან გასაყიდი მოცულობების მითითებით.

$2^1$. ყოველდღიური დაგეგმვისათვის კვალიფიციური საწარმოები (გარდა იმპორტიორისა და ექსპორტიორისა) 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე, ხოლო იმპორტიორები და ექსპორტიორები 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წარუდგენენ მომდევნო სამუშაო დღის, ხოლო არასამუშაო დღეების შემთხვევაში – ყველა მომდევნო არასამუშაო დღისა და მათი შემდგომი პირველივე სამუშაო დღის მოხმარებისა და მიწოდების საათობრივ განაცხადებს ამ მუხლის $2^4$ პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად..

$2^2$. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი კვალიფიციური საწარმოებისგან მიღებული მოხმარებისა და მიწოდების საათობრივი განაცხადების საფუძველზე ადგენს და ამტკიცებს ელექტროენერგიის ( სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების გეგმას. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარმოდგენილ მოხმარებისა და მიწოდების განაცხადებში შეუსაბამობის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი დაუყოვნებლივ აცნობებს კვალიფიციურ საწარმოებს ამის შესახებ მიზეზების მითითებით და სთავაზობს მათ შეასწორონ უზუსტობა შესაბამის ინსტრუქციაში გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. კვალიფიციურ საწარმოსთან შეთანხმების მიუღწევლობის, ან მისგან პასუხის დაგვიანების შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცეზიატი უფლებამოსილია მოხმარებისა და მიწოდების დაბალანსება და ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების გეგმის შედგენა და დამტკიცება განახორციელოს თავისი შეხედულებისამებრ ელექტრო – ენერგეტიკულ სისტემაში მოსალოდნელი რეჟიმებისა და რესურსების გათვალისწინებით.

$2^3$. საანგარიშო პერიოდის თითოეული კალენდარული დღისთვის მოხმარებისა და მიწოდების საათობრივი განაცხადების ან მათში უზუსტობების შესწორებების ამ მუხლის $2^1$ და $2^2$ პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შესაბამისი შემაჯამებელი ინფორმაცია და შეფასებები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შედგება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში და გამოქვეყნდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ვებ – გვერდზე.

$2^4$. განაცხადების (ყოველთვიური, ყოველდღიური – საათობრივი) ფორმებს, ასევე ყოველთვიური პროგნოზისა და ყოველდღიური – საათობრივი გეგმების შედგენის ინსტრუქციას შეიმუშავებს და ამტკიცებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

3. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მოხმარებისა და მიწოდების ყოველდღიური – საათობრივი გეგმების თაობაზე სათანადო ინფორმაცია ასეთი გეგმების დამტკიცებისთანავე განათავსოს თავის ვებ – გვერდზე www.gse.com.ge ამ მუხლის მე-$2^4$ პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ასეთი ინფორმაციის ვებ – გვერდზე განთავსება ითვლება მის ოფიციალურ გამოქვეყნებად.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების გეგმის შესრულება სავალდებულოა ყველა იმ პირისთვის, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოებას, ექსპორტს, იმპორტს, გადაცემას, განაწილებას,

დისპეტჩერიზაციას, მოხმარებასა და ტრანზიტს. ეს გეგმები ყოველ მათგანს აკისრებს კონკრეტულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას. დამტკიცებული მიწოდება – მოხმარების ყოველდღიური გეგმები არ ექვემდებარება გადახედვას ან/და კორექტირებას, გარდა ავარიული და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

5. კვალიფიცური საწარმოები ვალდებულნი არიან უპირობოდ შეასრულონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის გაცემული ოპერატიული მოთხოვნები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. (ამოღებულია).

7. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია:

ა) ისე დაგეგმოს და დისპეტჩერიზაცია გაუწიოს ერთიან ენერგოსისტემას, რომ ელექტროენერგიის პარამეტრები (სიხშირე, ძაბვა და სხვა) შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს;

ბ) დროის ნებისმიერ მომენტში უზრუნველყოს ელექტროენერგიის მიწოდების და მოხმარების დაბალანსება;

გ. ამ წესების პირობების დაცვით, ყოველდღიურად მიაწოდოს სისტემის კომერციულ ოპერატორს მიწოდებისა და მიღების პუნქტებში მიღებული ან/და გაცემული ელექტროენერგიის (სიმძლავრის), მიწოდებისა და მოხმარების გრაფიკებში ასახული და მრიცხველებზე ფაქტობრივად დაფიქსირებული (მიწოდებული ან/და მოხმარებული) ელექტროენერგიის შესახებ, ასევე პირდაპირ ხელშეკრულებების შესრულების შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია, ამასთან ყოველდღიურად უნდა მიაწოდოს, ყველა იმ მითითებებისა და ინსტრუქციების ჩანაწერები, რომლებიც მან გასცა წინა დღის განმავლობაში, ყველა იმ ცვლილების აღნიშვნით, რომელიც შეტანილ იქნა წინასწარ შედგენილ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წარმოების ან/და მიწოდების გრაფიკებში.

8. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული ტექნიკური ხასიათის გარემოების გამო ვერ ხერხდება ამა თუ იმ ხელშეკრულების პირობების სათანადოდ შესრულება და ეს შეუსრულებლობა აშკარად იმოქმედებს საანგარიშო თვის პერიოდში ხელშეკრულების შესრულებაზე, ამის შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს აღნიშნულის შესახებ, ხოლო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის განმარტების მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, გასცეს წერილობითი დასაბუთება პირდაპირი ხელშეკრულების პირობების შეუსრულობების გამომწვევი მიზეზების განმარტებით (ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში) .

9. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ოპერატიული შეტყობინებები, მოთხოვნები ან/და დავალებები უნდა დარეგისტრირდეს ორივე მხრიდან. რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს, როგორც წერილობით, ისე ზეპირი (აუდიო) ჩანაწერით. დისპეტჩერის ოპერატიული შეტყობინებები, მოთხოვნები და დავალებები წარმოადგენს ღია ინფორმაციას. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ოპერატიული შეტყობინების ან/და მოთხოვნის ჩანაწერი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და კვალიფიციური საწარმოს მიერ უნდა გაიცეს შესაბამისი დაინტერესებული კვალიფიციური საწარმოს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 1 მარტის ბრძანება №9 – ვებგვერდი, 04.03.2016წ.*

## თავი XI
## ელექტროენერგიის საბითუმო აღრიცხვა

### მუხლი 32. ამოღებულია

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

### მუხლი 32[1]. ამოღებულია

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

### მუხლი 33. ამოღებულია

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

### მუხლი 34. ამოღებულია

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

**მუხლი 35. ამოღებულია**

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

**მუხლი 36. ამოღებულია**

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 9 ივნისის ბრძანება №58 – ვებგვერდი, 09.06.2015წ.*

## თავი XI[1]
## დერეგულირებული ელექტროსადგურები

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*

**მუხლი 36[1]. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები**

1. თუ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ მიღების პუნქტში გადაცემული ელექტროენერგია (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ არის შესყიდული წინასწარ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებით, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ითვლება ამ ელექტროენერგიის გამყიდველად სისტემის კომერციულ ოპერატორზე სტანდარტული პირობებით შედგენილი პირდაპირი ხელშეკრულებით.

2. სტანდარტული პირობებით შედგენილი პირდაპირი ხელშეკრულების ფარგლებში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურებისგან საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვისას, ანგარიშსწორებას ახორციელებს:

ა) ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე – იმ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე განესაზღვრა ყველაზე მაღალი ტარიფი. ანგარიშსწორების განხორციელებისას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი არ გაითვალისწინებს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს იმ საანგარიშო პერიოდის ტარიფს, რომელშიც გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ჩაუტარდა ტესტირება.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე რომელიმე საანგარიშო პერიოდში არ არის განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ანგარიშსწორებას ახორციელებს კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე წინა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ყველაზე მაღალი ტარიფით. წინა საანგარიშო პერიოდში არ იგულისხმება 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდი.

ბ) ყოველი კალენდარული წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე – რეგულირებადი ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ ჰიდროელექტროსადგურების ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი.

3. (ამოღებულია).

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №98 – სსმ III, №163, 14.11.2008წ., მუხ.1644*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №46 – სსმ III, №99, 13.08.2010წ., მუხ.1479*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 22.10.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 13 მარტის ბრძანება №15- ვებგვერდი, 14.03.2016წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 28 თებერვლის ბრძანება №1-1/84 - ვებგვერდი, 28.02.2022 წ.*

**მუხლი 36[2]. ახლად აშენებული ელექტროსადგური**

1. თუ ახლად აშენებული ელექტროსადგურის მიერ მიღების პუნქტში გადაცემული ელექტროენერგია (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ არის შესყიდული წინასწარ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებით (მათ შორის, ელექტროსადგურის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოსა და სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის მოქმედი კანონმდებლობის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებით), ახლად აშენებული ელექტროსადგური ითვლება ამ ელექტროენერგიის გამყიდველად სისტემის კომერციულ ოპერატორზე სტანდარტული პირობებით შედგენილი პირდაპირი ხელშეკრულებით.

2. სტანდარტული პირობებით შედგენილი პირდაპირი ხელშეკრულების

ფარგლებში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, ახლად აშენებული ელექტროსადგურისგან საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვისას, ანგარიშსწორებას ახორციელებს:

ა) ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე – იმ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე განესაზღვრა ყველაზე მაღალი ტარიფი, მაგრამ არაუმეტეს, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და შესაბამის პირს შორის „ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ფასისა. ანგარიშსწორების განხორციელებისას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი არ გაითვალისწინებს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს იმ საანგარიშო პერიოდის ტარიფს, რომელშიც გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ჩაუტარდა ტესტირება.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე რომელიმე საანგარიშო პერიოდში არ არის განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ანგარიშსწორებას ახორციელებს წინა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ყველაზე მაღალი ტარიფით. წინა საანგარიშო პერიოდში არ იგულისხმება 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდი.

ბ) ყოველი კალენდარული წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე – რეგულირებადი ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ ჰიდროელექტროსადგურების ტარიფით, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი.

*საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის №251 ბრძანება – ვებგვერდი, 06.12.2011წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 22.10.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის ბრძანება №25 – ვებგვერდი, 21.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 13 მარტის ბრძანება №15- ვებგვერდი, 14.03.2016წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 28 თებერვლის ბრძანება №1-1/84 - ვებგვერდი, 28.02.2022 წ.*

## თავი XII
## დავების გადაწყვეტა

**მუხლი 37. დავების გადაწყვეტა**

ამ წესებთან დაკავშირებული დავები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი $37^1$. (მოქმედების ვადა დასრულებულია)**

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*

## თავი XIII
## გარდამავალი დებულებები

**მუხლი 38. ამ წესების შემოღებასთან დაკავშირებით გარდამავალი პერიოდისათვის დასარეგულირებელი საკითხები**

1. (ამოღებულია).

2. აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება ენგურჰესის და ვარდნილჰესების კასკადის ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსის მოცულობების მიხედვით. ენგურჰესის და ვარდნილჰესების კასკადის ჰიდროელექტროსადგურები თავიანთი გამომუშავებიდან იკლებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობას, შესაბამის საანგარიშო პერიოდში მათ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის პროპორციულად და აწარმოებენ მის აღრიცხვას წინამდებარე წესებითა და კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხდება სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ხარჯზე, ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი ვალდებულნი არიან მომდევნო საანგარიშო პერიოდებში მიაწოდონ სისტემის კომერციულ ოპერატორს ეკვივალენტური რაოდენობის ელექტროენერგია. სისტემის კომერციული ოპერატორი უფლებამოსილია აღნიშნული ელექტროენერგია გაყიდოს მის მიერ ნაყიდი და აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის ფასად. ამ ელექტროენერგიის სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ ექსპორტირებისას ფასის ფორმირება ხდება ელექტროენერგიის ექსპორტსა ან/და გაცვლაზე გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. ასეთ შემთხვევებზე არ ვრცელდება ამ წესების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი.

3. 2006 წლის ივლისსა და აგვისტოში კავშირი (ასოციაცია) ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის

მყიდველების მიერ კავშირი (ასოციაცია) ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე შესყიდული ელექტროენერგიის საფასურისა და საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში ელექტრობაზარი უფლებამოსილია მოსთხოვოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს კავშირი (ასოციაცია) ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მყიდველებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა ან შეზღუდვა.

4. (ამოღებულია).

5. ამ წესების თანახმად, ინფორმაციის მიწოდება წარმოებს წერილობითი ფორმით. ამასთან, წინასწარ შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია, ინფორმაციის მიწოდება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის, ტელეფონოგრამის, ფაქსის და სხვა საშუალებებით.

6. აღრიცხვის სისტემების ტექნიკური აღჭურვილობის მოწესრიგებამდე, მათ შორის, სისტემის კომერციული ოპერატორისთვის გადასახდელი ან მისგან მისაღები თანხების გადაცემის ლიცენზიატებს შორის გასანაწილებლად საჭირო აღრიცხვის სისტემების ტექნიკური აღჭურვილობის მოწესრიგებამდე, გამოყენებულ იქნეს იგივე პროპორცია, რა პროპორციაც არსებობს კომისიის მიერ დადგენილ სს„საქრუსენერგოსა“ და შპს„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გადაცემის ქსელში ნორმატიულ დანაკარგებს შორის. ამასთან, ამ პუნქტის მოქმედება განისაზღვროს 2007 წლის 1 ივლისამდე.

7. აღრიცხვის სისტემების ტექნიკური აღჭურვილობის მოწესრიგებისთანავე ან/და შესაბამისი გადამცემი ქსელის ფარგლებში ამ წესების 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების შესაძლებლობისთანავე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს აღნიშნულის შესახებ და მიუთითოს ამ მოწესრიგებით მიღებულ შედეგებზე, მათ შორის, ამ მოწესრიგების შედეგად გადაცემის ქსელში მიღებული, გადაცემული, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) სიზუსტით აღრიცხვასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებზე.

8. ამ წესების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი და 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი ამოქმედდეს 2007 წლის 1 ივლისიდან.

9. წარმოების ლიცენზიატის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის აღრიცხვის სისტემების მოწესრიგებამდე (ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში) , ელექტროენერგიის წარმოების საშუალების ერთ საანგარიშო პერიოდზე ნაკლები დროით გაჩერებისას, ამ პერიოდში მის მიერ სისტემიდან მიღებულ და წარმოებულ ელექტროენერგიას შორის მეტობის შემთხვევაში, მიღებულ მოცულობაზე (ნაშთზე) ანგარიშსწორება მოხდება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგიის საერთო სასადგურო დანახარჯის ურუნველყოფა სრულად ხდება სხვა კვალიფიციური საწარმოსთან გაფორმებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ პირდაპირი ხელშეკრულებებით.

10. 2007 წლის ნოემბრის თვის საანგარიშო პერიოდისთვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სტანდარტული პირობების ფორმით დარეგისტრირებული ხელშეკრულებით დასარეზერვებელი საპროგნოზო სიმძლავრის მოცულობები არ გამოითვლება, გენერაციის ის წყაროები, რომელთა მეშვეობით იქნება 2007 წლის ნოემბრის თვის საანგარიშო პერიოდისთვის საპროგნოზოდ უზრუნველყოფილი კვალიფიციური საწარმოების მიერ დაურეზერვებელი სიმძლავრე, არ შეირჩევა, ხოლო სიმძალავრის სასისტემო რეზერვის უზრუნველყოფის საფასურის ანაზღაურება განხორციელდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სტანდარტული პირობების ფორმით დარეგისტრირებული ხელშეკრულების (სიმძლავრის სასისტემო რეზერვის უზრუნველყოფის შესახებ) მიხედვით და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ტესტირების მეშვეობით დადგენილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ფაქტობრივად უზრუნველყოფილი მოცულობების საფუძველზე.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის ბრძანება №31 – სსმ III, №58, 26.04.2007წ., მუხ.628*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 28 ივნისის ბრძანება №46 – სსმ III, №92, 29.06.2007წ., მუხ.990*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №88 – სსმ III, №153, 31.10.2007წ., მუხ.1707*

**მუხლი 38$^{1}$. საპროექტო კომპანიის მიერ 2013 წლის 1 მაისამდე დადებული ხელშეკრულებების წინარე რეგისტრაციის წესი**

საპროექტო კომპანიის მიერ 2013 წლის 1 მაისამდე დადებული ხელშეკრულება (პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერგიის გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე, პირდაპირი ხელშეკრულება ელექტროენერგიის ექსპორტზე, ხელშეკრულება ელექტროენერგიის ექსპორტზე), ასევე ამ წესების 14$^{1}$ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურების დარეზერვებაზე წინარე რეგისტრაციისთვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს შეიძლება წარედგინოს 2013 წლის 1 ნოემბრამდე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საპროექტო კომპანიის მიერ დადებული შესაბამისი ხელშეკრულების წინარე

რეგისტრაციის მიზნებისთვის გამოიყენება ამ წესების $10^1$ მუხლის მე-2-მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებები.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 30 მაისის ბრძანება №99 – ვებგვერდი, 30.05.2013წ.*

**მუხლი 39. ელექტროენერგეტიკული სისტემის სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფის განსაკუთრებული წესი**

1. ამ მუხლის მიზნებისთვის გარანტირებული რეზერვის წყაროს ასევე მიეკუთვნებიან ის თბოელექტროსადგურებიც, რომლებიც ელექტროენერგიის (სიმძლავრის) არსებული საპროგნოზო ბალანსის მოქმედების პერიოდში არ იყვნენ განსაზღვრულნი გარანტირებული რეზერვის წყაროდ.

2. 2009 წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე სიმძლავრის სასისტემო რეზერვის საფასური ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ თბოელექტროსადგურებს აუნაზღაურდებათ მათ მიერ განცხადებული ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების (სალტეზე გაცემა) მოცულობების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მოქმედი საპროგნოზო ბალანსით გათვალისწინებულ მომხმარებლებზე მიწოდებისა (აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხმარებული ელექტროენერგიის გამოკლებით) და ექსპორტის ჯამური წლიური მოცულობის 10%-ისა, რომელსაც გამოაკლდება თბოელექტროსადგურის მიერ მიმდინარე საბალანსო წლის განმავლობაში სალტეზე ფაქტობრივად გაცემული ელექტროენერგიის რაოდენობა.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული სიმძლავრის სასისტემო რეზერვის წყაროები (თბოელექტროსადგურები) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, არა უგვიანეს 2009 წლის 1 მაისისა, წარუდგენენ უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შესახებ განაცხადს.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფის შესახებ განაცხადის მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში აფიქსირებს უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მოცულობას, რომელიც სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ამ მუხლში მითითებული ყოველი წყაროსათვის გამოითვლება, როგორც შესაბამისი წყაროს მიერ სიმძლავრის სასისტემო რეზერვის განაცხადში მითითებულ მოცულობასა და მის ფაქობრივი გამომუშავებას (სალტეზე გაცემა) შორის სხვაობა.

5. უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის გადანაწილება სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოებზე ხდება თანაბარწილად 2009 წლის 1 მაისიდან 2009 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, არაუგვიანეს 2009 წლის 5 მაისისა, წარუდგენს სისტემის კომერციულ ოპერატორს და სიმძლავრის სასისტემო რეზერვის წყაროებს. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სისტემის კომერციული ოპერატორი 2009 წლის მაისიდან 2009 წლის აგვისტოს ჩათვლით, არა უგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ, შესაბამის საანგარიშო პერიოდში გასაყიდი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მოცულობას (სიმძლავრის სასისტემო რეზერვის კონკრეტული წყაროს მიხედვით) ანაწილებს სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველ თითოეულ კვალიფიციურ საწარმოზე იმავე საანგარიშო პერიოდში სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების ფაქტობრივი ჯამურ მოხმარებაში შესაბამისი კვალიფიციური საწარმოს ფაქტობრივი მოხმარების წილის პროპორციულად. სისტემის კომერციული ოპერატორი აღნიშნულ ინფორმაციას (სიმძლავრის სასისტემო რეზერვის კონკრეტული წყაროსა და უზრუნველყოფილი მოცულობების მითითებით) უგზავნის შესაბამის კვალიფიციურ საწარმოებს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოადგენს სიმძლავრის სასისტემო რეზერვის წყაროებსა და სისტემის კომერციულ ოპერატორს, აგრეთვე სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოებსა და სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის ანგარიშსწორების საფუძველს. სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოები უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის საფასურს ანაზღაურებენ შესაბამისი წყაროსათვის კანონმდებლობის თანახმად დადგენილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ტარიფისა (ზედა ზღვარი) და ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მათ მიერ შესასყიდი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მოცულობის გათვალისწინებით, სიმძლავრის სასისტემო რეზერვის უზრუნველყოფის სტანდარტული პირობების ფორმით შედგენილი პირდაპირი ხელშეკრულების შესაბამისად.

8. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ წყაროებზე, რომლებიც ამ მუხლით დადგენილი წესით წარადგენენ განაცხადს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის ბრძანება №38 – სსმ III, №48, 21.04.2009წ., მუხ.549*

**მუხლი 40. ელექტროენერგეტიკული სისტემის სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფის განსაკუთრებული წესი 2010 წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდში**

1. ამ მუხლის მიზნებისთვის გარანტირებული რეზერვის წყაროს ასევე მიეკუთვნებიან ის თბოელექტროსადგურებიც, რომლებიც 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2010 წლის 1 მაისამდე პერიოდში არ იყვნენ განსაზღვრულნი გარანტირებული რეზერვის წყაროდ.

2. 2010 წლის 10 მაისიდან 1 სექტემბრამდე სიმძლავრის სასისტემო რეზერვის საფასური ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ თბოელექტროსადგურებს აუნაზღაურდებათ მათ მიერ სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფაზე გაცხადებული მოცულობის შესაბამისად, მაგრამ თითოეულისათვის არაუმეტეს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მოქმედი საპროგნოზო ბალანსით გათვალისწინებულ მომხმარებლებზე მიწოდებისა (აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხმარებული ელექტროენერგიის გამოკლებით) და ექსპორტის ჯამური წლიური მოცულობის 10%-ისა.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული სიმძლავრის სასისტემო რეზერვის წყაროები (თბოელექტროსადგურები) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს არა უგვიანეს 2010 წლის 10 მაისისა წარუდგენენ 2010 წლის 10 მაისიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შესახებ განაცხადს, მომავალი საანგარიშო პერიოდის იმ ზუსტი მონაკვეთების (დღეების მიხედვით) მითითებით, რომელთა განმავლობაში სიმძლავრის სასისტემო რეზერვი ვერ იქნება უზრუნველყოფილი, მათ შორის სარემონტო და/ან პროფილაქტიკური სამუშაოების წარმოების გამო.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფის შესახებ განაცხადის მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში განსაზღვრავს სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შესაბამისი წყაროს (თბოელექტროსადგურის) მიერ ყოველ საანგარიშო პერიოდში (2010 წლის 10 მაისიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე) უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მოცულობას (ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული შეზღუდვისა და უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შესახებ განაცხადში სარემონტო და/ან პროფილაქტიკური სამუშაოებისათვის მითითებული პერიოდების გათვალისწინებით) .

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას არაუგვიანეს 2010 წლის 15 მაისისა წარუდგენს სისტემის კომერციულ ოპერატორს და სიმძლავრის სასისტემო რეზერვის წყაროებს. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სისტემის კომერციული ოპერატორი 2010 წლის მაისიდან 2010 წლის აგვისტოს ჩათვლით, არა უგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულ, შესაბამის საანგარიშო პერიოდში გასაყიდი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მოცულობას (სიმძლავრის სასისტემო რეზერვის კონკრეტული წყაროს მიხედვით) ანაწილებს სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველ თითოეულ კვალიფიციურ საწარმოზე იმავე საანგარიშო პერიოდში სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების ფაქტობრივ ჯამურ მოხმარებასა და ექსპორტში შესაბამისი კვალიფიციური საწარმოს ფაქტობრივი მოხმარების ან ექსპორტის წილის პროპორციულად. სისტემის კომერციული ოპერატორი აღნიშნულ ინფორმაციას (სიმძლავრის სასისტემო რეზერვის კონკრეტული წყაროსა და უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მოცულობების მითითებით) უგზავნის შესაბამის კვალიფიციურ საწარმოებს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოადგენს სიმძლავრის სასისტემო რეზერვის წყაროებსა და სისტემის კომერციულ ოპერატორს, აგრეთვე სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოებსა და სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის ანგარიშსწორების საფუძველს. სიმძლავრის სასისტემო რეზერვის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოები უზრუნველყოფილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის საფასურს ანაზღაურებენ შესაბამისი წყაროსათვის კანონმდებლობის თანახმად დადგენილი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ტარიფისა (ზედა ზღვარი) და ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მათ მიერ შესასყიდი სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მოცულობის გათვალისწინებით, სიმძლავრის სასისტემო რეზერვის უზრუნველყოფის სტანდარტული პირობების ფორმით შედგენილი პირდაპირი ხელშეკრულების შესაბამისად.

7. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ წყაროებზე, რომლებიც ამ მუხლით დადგენილი წესით წარადგენენ განაცხადს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 30 აპრილის ბრძანება №24 – სსმ III, №50, 30.04.2010წ., მუხ.750*

**მუხლი 41. დროებითი დებულებები**

1. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ქსელის ტესტირების უზრუნველყოფის მიზნებისთვის 2013 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში საანგარიშო პერიოდ(ებ) ში საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადადინებულ (შემოდინებულ და გადინებულ) ელექტროენერგიაზე არ ხორციელდება რაიმე სახის ანგარიშსწორება. ამ წესების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაანგარიშებული ფაქტიური დანაკარგის დამატებით

კომპონენტად გამოიყენება მხოლოდ ამ პუნქტით გათვალისწინებული ტესტირებისას შემოდინებულ და გადინებულ ელექტროენერგიის მოცულობებს შორის დადებითი სხვაობა (დადებითი სალდო საქართველოში იმპორტის მნიშვნელობით) ერთ საანგარიშო პერიოდში, რომელიც წარმოადგენს ელექტროენერგიის დანახარჯს გადამცემ ქსელში.

2. ამ წესების 23-ე მუხლის $2^1$ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ფაქტობრივი საშუალო დანაკარგის გაანგარიშებისას მხოლოდ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დადებითი სალდოს სიდიდე დამატებით აკლდება ამ წესების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაანგარიშებული ფაქტიური დანაკარგის სიდიდეს, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ საანგარიშო პერიოდ(ებ) ში.

3. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ქსელის ტესტირების უზრუნველყოფის მიზნებისთვის შემოდინებული და გადინებული ელექტროენერგიის მოცულობები (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა – ტესტირებისას გადადინებული ელექტროენერგიის მოცულობებს შორის დადებითი სხვაობა) არ გამოიყენება შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის ფაქტობრივი დანაკარგის გამოთვლისას.

4. 2013 წლის დარჩენილი პერიოდისთვის და 2014 წლისთვის სისტემათაშორისი ტრანზიტისათვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის სხვადასხვა სახეობების განსაზღვრის, გამოქვეყნებისა და განაწილების მიზნებისთვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ცალკე ადგენს:

ა) ამ წესების $14^{15}$ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის (NTC), ასევე მომდევნო კალენდარული წლისთვის (წლებისთვის) , საანგარიშო პერიოდების მიხედვით, ATC-ის, ALC-ის, NAC-ის მოცულობების და ექსპორტის მიმართულებების განსაზღვრისა და საჯაროდ გამოცხადების ვადას;

ბ) ამ წესების $14^{15}$ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხაზის NTC-ის, ATC-ის, ALC-ის (მ. შ. AAC-ის) და NAC-ის განახლებული მოცულობების განსაზღვრისა და საჯაროდ გამოცხადების ვადას;

გ) ამ წესების $14^{15}$ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადების წარდგენის ვადას.

დ) გამტარუნარიანობის განაწილების მონაწილეთა მიმართ დამატებით მოთხოვნებს (მათ შორის, ამ წესების $14^{16}$ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მშენებლობის პროცესში მყოფი განახლებადი ენერგიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგურისთვის დაწესებულ მოთხოვნებს) .“

5. 2014 წლის საანგარიშო პერიოდებისთვის სისტემათაშორისი ტრანზიტისათვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მაქსიმალურად ათვისების მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია გამტარუნარიანობის განაწილების საერთო პროცესიდან გამიჯნოს უახლოესი ერთი, ან რამდენიმე თანმიმდევრული საანგარიშო პერიოდი და ასეთი საანგარიშო პერიოდებისთვის შეამციროს ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილების დადგენილი ვადები.

6. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ 2012 წლის მარტი-აპრილის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მიღებული ელექტროენერგიის თურქეთის რესპუბლიკაში დაბრუნების უზრუნველსაყოფად, 2016-2017 წლების პერიოდში საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით სისტემათაშორისო ტრანზიტისთვის (გადადინებისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის არსებობის შემთხვევაში (შიდა შემზღუდავი რესურსით/დისპეტჩერიზაციის შესაძლებლობით წარმოქმნილი შეზღუდვების გათვალისწინებით) , გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობა ნაწილდება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორზე ამ წესების $IV^1$ თავით განსაზღვრული პროცედურებისა და საექსპორტო მოცულობის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში გათვალისწინების გარეშე. ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შეთხვევაში ბაზრის ოპერატორი ვალდებულია შესაბამის საანგარიშო თვეში (თვეებში) თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის დაწყებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღით ადრე სარეგისტრაციოდ წარუდგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ამ წესების მე-2 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება ელექტროენერგიის ექსპორტზე, ასევე ელექტროენერგიის ექსპორტის საპროგნოზო საათობრივი გრაფიკი.

$6^1$. საქართველოში ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადი, საიმედო და სტაბილური ფუნქციონირების, ასევე ქვეყნის შიდა მიწოდება-მოხმარებაში ელეტროენერგიის უკმარისობის (დეფიციტის) დაფარვის მიზნით, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ სომხეთის რესპუბლიკიდან 2017 წლის თებერვალი-აპრილის თვეებში მიღებული ელექტროენერგიის 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში დაბრუნების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული საექსპორტო მოცულობა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორზე ნაწილდება ამ წესების $IV^1$ თავით გათვალისწინებული პროცედურებისა და საექსპორტო მოცულობის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში გათვალისწინების გარეშე. ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის

შეთხვევაში ბაზრის ოპერატორი ვალდებულია შესაბამის საანგარიშო თვეში (თვეებში) სომხეთის რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ექსპორტის დაწყებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღით ადრე სარეგისტრაციოდ წარუდგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ამ წესების მე-2 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება ელექტროენერგიის ექსპორტზე, ასევე ელექტროენერგიის ექსპორტის საპროგნოზო საათობრივი გრაფიკი.

$6^2$. 2017-2018 წლებში ამ მუხლის მე-6, $6^1$, $6^3$ და $6^4$ პუნქტებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია, შესაბამის ექსპორტის განხორციელების საანგარიშო თვის დაწყებამდე არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღით ადრე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეატყობინოს წინასწარი საორიენტაციო ინფორმაცია ექსპორტის განხორციელების კონკრეტული საანგარიშო თვის (თვეების), საექსპორტო სიმძლავრისა და ექსპორტის ხელშეკრულების მოსალოდნელი კონტრაჰენტის თაობაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი საორიენტაციო ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ მუხლის მე-6, $6^1$, $6^3$ და $6^4$ პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის დაზუსტებულ მომართვამდე შეამცირებს საექსპორტოდ ნებადართულ მოცულობას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის შეტყობინებაში ასახული ელექტროენერგიის მოცულობით და არ განახორციელებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის შეტყობინებაში ასახულ სიმძლავრეზე გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების შესაბამის პროცედურებს.

$6^3$. საქართველოში ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადი, საიმედო და სტაბილური ფუნქციონირების, ასევე ქვეყნის შიდა მიწოდება-მოხმარებაში ელეტროენერგიის უკმარისობის ( დეფიციტის) დაფარვის მიზნით, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში 2018 წლის ზაფხულის პერიოდში (კალენდარული წლის „ივნისი“, „ივლისი“, „აგვისტო“) ( ელექტროენერგიის ბარტერის (გაცვლის) წესით მიწოდების უზრუნველსაყოფად, ელექტროენერგიის გაცვლის (2018 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში (კალენდარული წლის „ოქტომბერი“, „ნოემბერი“, „ დეკემბერი“) დაბრუნების პირობით) ფარგლებში განსაზღვრული საექსპორტო მოცულობა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორზე ნაწილდება ამ წესების $IV^1$ თავით გათვალისწინებული პროცედურებისა და საექსპორტო მოცულობის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში გათვალისწინების გარეშე. ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შეთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია, შესაბამის საანგარიშო თვეში თურქეთის რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ექსპორტის დაწყებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღით ადრე სარეგისტრაციოდ წარუდგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ამ წესების მე-2 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება ელექტროენერგიის ექსპორტზე, ასევე ელექტროენერგიის ექსპორტის საპროგნოზო საათობრივი გრაფიკები.

7. ამ წესების $14^{15}$ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პრეტენდენტების მიერ ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის მათ მიერ ასათვისებელი ოდენობის (მოთხოვნილი მოცულობა) თაობაზე განაცხადის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარდგენის ვადა 2016 წლისთვის გაგრძელდეს 1 დეკემბრამდე.

8. ამ წესების $14^{15}$ მუხლის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული განაცხადის დამოწმების ვადა 2016 წლისათვის დადგინდეს განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღით, ხოლო ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში, განაცხადი დარეგისტრირდეს 1 (ერთ) სამუშაო დღეში.

9. ამ წესების $14^{15}$ მუხლის მე-6 პუნქტში გათვალისწინებული ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილება ხორციელდება განაცხადების რეგისტრაციის ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

10. ამ წესების $14^{23}$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის მსურველი პრეტენდენტების მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შესაბამისი განაცხადების წარდგენის ვადა 2016 წლისთვის გაგრძელდეს 1 დეკემბრამდე.

11. ამ წესების $14^{23}$ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების სპეციალურ აუქციონს 2016 წლისათვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ატარებს ამ წესების 41-ე მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში.

12. ამ წესების $14^{24}$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტრანზიტის (რეექსპორტის) მსურველი პრეტენდენტების მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შესაბამისი განაცხადების წარდგენის ვადა 2016 წლისთვის გაგრძელდეს 1 დეკემბრამდე.

13. ამ წესების $14^{24}$ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ სატრანზიტოდ ნებადართულ მოცულობის განაწილების სპეციალურ აუქციონს ატარებს ამ წესების 41-ე მუხლის მე-12 პუნქტით

დადგენილი ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

14. 2022 წლის 29 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდში რუსეთ-საქართველოს საზღვარზე 220 კვ. ელექტროგადამცემ ხაზ „სალხინოსა“ და 110 კვ. ელექტროგადამცემ ხაზ „ნაკადულზე“ ხელშეკრულების გარეშე შემოდინებული სრული მოცულობის (ანაზღაურების გარეშე) ელექტროენერგიის მიმღებად და შემდგომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმწოდებლად მიჩნეულ იქნეს შპს „ენგურჰესი“, ამ წესების 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის დაბალანსების მიზნებისათვის.

15. ამ მუხლის მე-14 პუნქტში აღნიშნული, 220 კვ ელექტროგადამცემ ხაზ „სალხინოსა“ და 110 კვ ელექტროგადამცემ ხაზ „ნაკადულზე“ ხელშეკრულების გარეშე შემოდინებული (ანაზღაურების გარეშე) ელექტროენერგიის ღირებულება განისაზღვროს, იმავე ელექტროგადამცემ ხაზებზე შესაბამის საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიის სახელშეკრულებო ღირებულების შესაბამისად. ამ პუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის დეკლარირებაზე ვრცელდება 147 მუხლი.

16. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულების გარეშე შემოდინებული (ანაზღაურების გარეშე) ელექტროენერგიის მოცულობა განისაზღვრება შესაბამის საანგარიშო პერიოდში 220 კვ ელექტროგადამცემ ხაზ „სალხინოსა“ და 110 კვ ელექტროგადამცემ ხაზ „ნაკადულზე“ ოპერატიული ჩვენებებით შედგენილი ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტით დადგენილი მოცულობების საფუძველზე.

17. ამ მუხლის მე-14 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს მხოლოდ 2022 წლის მარტის თვის საანგარიშო პერიოდზე.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ს 2013 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №148 – ვებგვერდი, 22.10.2013წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 31 იანვრის ბრძანება №6 – ვებგვერდი, 04.02.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 – ვებგვერდი, 04.03.2014წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 22 აპრილის ბრძანება №24- ვებგვერდი, 25.04.2016წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება №83 – ვებგვერდი, 25.10.2016წ.*
*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 22 თებერვლის ბრძანება №11 – ვებგვერდი, 22.02.2017წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №1-1/230 - ვებგვერდი, 07.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 29 მაისის ბრძანება №1-1/262 - ვებგვერდი, 30.05.2018 წ.*
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 8 აპრილის ბრძანება №1-1/161 - ვებგვერდი, 12.04.2022 წ.*

**მუხლი 41$^{1}$. საბითუმო აღრიცხვაში გამოყენებული ელექტროენერგიის აღრიცხვის მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ**

1. კვალიფიციური საწარმოები ვალდებულნი არიან არაუგვანეს 2014 წლის 1 დეკემბრისა უზრუნველყონ:

ა) ელექტროენერგიის მიწოდებისა და მიღების პუნქტებში, აგრეთვე ელექტროენერგიის მწარმოებლების გენერატორებსა და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებზე გამოყენებულ მინაერთებზე ზედა დონის ესკაა სისტემასთან თავსებადი ელექტროენერგიის მრიცხველების და აღრიცხვის კომპლექსების მოწყობა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ელექტროენერგიის მრიცხველების და აღრიცხვის კომპლექსების მიერ აღრიცხული/დაფიქსირებული მონაცემების ზედა დონის ესკაა სისტემა-ში გადაცემა ამ წესების შესაბამისად მოთხოვნილი პერიოდულობით, მათ შორის ავტომატურ რეჟიმში.

2. პასუხისმგებლობა ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე დაეკისროს:

ა) სათანადო ელექტროენერგიის აღრიცხვის უჯრედის მფლობელ კვალიფიციურ საწარმოს;

ბ) სათანადო განაწილების ლიცენზიატს, თავის საცალო მომხმარებლებზე/სატრანსფორმატორო პუნქტებზე, რომლებიც მონაწილეობენ ელექტროენერგიის საბითუმო აღრიცხვაში;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვერ დგინდება აღრიცხვის უჯრედის მფლობელი კვალიფიციური საწარმო ან/და რომელიმე აღრიცხვის წერტილისთვის აღრიცხვის მოწყობილობა არ არის სრულყოფილი ან საერთოდ არ არსებობს და მოსაწყობია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი კვალიფიციური საწარმოს ვინაობას ადგენს ერთობლივი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი და დაინტერესებული კვალიფიციური საწარმო(ები). კომისიის სხდომები ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დამსწრე ყველა მონაწილე. კომისიის ოქმის ხელმოწერაზე უარი არ დაიშვება. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში ხელის მოწერა ხორციელდება მინაწერით „ხელს ვაწერ შენიშვნით“ და ოქმს თან ერთვება წერილობითი განსხვავებული აზრი. გადაწყვეტილებას კომისია იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილება და მისი იურიდიული შედეგები სავალდებულოა კომისიის მონაწილე ყველა პირისთვის.

3. ამ წესების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2014 წლის 1 დეკემბრიდან.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი კვალიფიციური საწარმოს მიერ არ შესრულდა ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები და შედეგად დაზარალდა სხვა კვალიფიციური

საწარმო ან/და გადაცემის ლიცენზიატი ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, დაზარალებული კვალიფიციური საწარმო ან/და გადაცემის ლიცენზიატი ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია მოსთხოვოს ზარალის ანაზღაურება დამრღვევ კვალიფიციურ საწარმოს.

5. 2014 წლის 1 დეკემბრამდე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია სათანადო კვალიფიციური საწარმოს წერილობითი მოთხოვნის შეთხვევაში, ამ წესებით დადგენილი წესით, გასცეს 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში გამოყენებული (მათ შორის გენერატორების და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორების) აღრიცხვის კვანძების „ზედა დონის ესკაა სისტემასთან დაკავშირების დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტი“.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №36 – ვებგვერდი, 03.04.2014წ.*

**მუხლი 42. სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტის შედგენის ვადის გაგრძელების შესახებ**

1. იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის ივლისის თვეში საქართველოსა და აზერბაიჯანის ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელური, სინქრონული მუშაობის რეჟიმი პირველად იყო უზრუნველყოფილი ერთდროულად ორი სისტემათაშორისი გადამცემი ხაზის მეშვეობით, ხოლო საქართველო-აზერბაიჯანის ენერგოსისტემების კვეთში გამოყენებულ იქნა ელექტროენერგიის გადადინების საერთო ჯამური გეგმა (ნაცვლად ელექტროგადამცემი ხაზების მიხედვით ელექტროენერგიის გადადინების ცალ-ცალკე გეგმებისა) , ტრანზიტის დამკვეთ საწარმოს და იმპორტიორს 2016 წლის 1 სექტემბრამდე გაუგრძელდეთ ამ წესების $14^6$ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი „სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტის“ შედგენის და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარდგენის ვადა.

2. 2016 წლის 1 სექტემბრამდე დადგენილი წესით ხელმოწერილი “სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტის“ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარუდგენლობის შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ 2016 წლის 11 აგვისტოს შედგენილი იმპორტირებული და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების აქტის შესაბამისად აზერბაიჯანიდან საქართველოს მიმართულებით 2016 წლის ივლისის თვის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული იმპორტირებული და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილება ჩაითვალოს საბოლოოდ.

3. დაევალოს დისპეჩერიზაციის ლიცენზიატს, ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შედგენილი და დადგენილი წესით ხელმოწერილი „სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტის“ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარდგენის შემთხვევაში, გააუქმოს 2016 წლის ივლისის თვისთვის (აზერბაიჯანიდან საქართველოს მიმართულებით გადადინებულ ელექტროენერგიაზე) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ 2016 წლის 11 აგვისტოს შედგენილი იმპორტირებული და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების აქტები.

4. ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, დადგენილი წესით ხელმოწერილი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარდგენილი „სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) ან/და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების ერთობლივი აქტი“ წარმოადგენს მხარეებს შორის განხორციელებული ივლისის საანგარიშო პერიოდის ანგარიშსწორების კორექტირების საფუძველს.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №64 – ვებგვერდი, 29.08.2016წ.*

**მუხლი 43. ელექტროსადგურის საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში ზოგიერთი აღრიცხვის კვანძის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საბითუმო ვაჭრობაში მიღების სპეციალური წესი**

1. თუ ქსელთან მიერთების ტექნიკური პირობების შემმოწმებელი კომისიის დასკვნით ან/და ამ წესების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი კომისიის დასკვით დგინდება, რომ ელექტროსადგურზე ქსელთან მიერთების წერტილში სათანადოდ მოწყობილია ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძ(ებ)ი, მაგრამ არ არის მოწყობილი ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძები ტექნიკური აღრიცხვის წერტილებში (მათ შორის, გენერატორებსა და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებზე ან ისეთ ელექტროსადგურებზე, სადაც ტექნოლოგიურად არ არის გათვალისწინებული მითითებული აღრიცხვის კვანძების ცალ-ცალკე მოწყობა), მაშინ ასეთი ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში დაშვება/ელექტროსადგურის მფლობელი პირის საბითუმო ვაჭრობაში დაშვება შესაძლებელია შესაბამის დასკვნაში მოუწყობელი (არასათანადოდ მოწყობილი) აღრიცხვის კვანძების მოწესრიგების ვალდებულების არაუმეტეს სამი (3) კალენდარული თვით გადავადების პირობით.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სისტემის კომერციული ოპერატორი

უფლებამოსილია შესატყვისი შემოწმების აქტ(ებ) ის შედგენიდან არაუგვიანეს ხუთი (5) სამუშაო დღისა მაძიებელი (ელექტროსადგურის მფლობელი პირი) შეიყვანოს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში, მხოლოდ მიერთების წერტილში სათანადოდ მოწყობილი ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძ(ებ) ის ნაწილში.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ელექტროსადგურის მფლობელი პირი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული აღრიცხვის კვანძების სათანადო მოწყობას და მათ საბითუმო ვაჭრობაში მიღებას ვალდებულების გადავადების ფარგლებში, ელექტროსადგურის მფლობელს გაუუქმდება ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილის შესაბამისი სტატუსი.

4. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ ელექტროსადგურზე, რომელიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იმყოფება ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პროცესში.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 17 იანვრის ბრძანება №2 – ვებგვერდი, 18.01.2017 წ.*

**მუხლი 44. გადაცემის ლიცენზიატების მიერ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთვის „დარიალი-ჟინვალის კონტურში“ გაწეული გადაცემის მომსახურების ოდენობის განსაზღვრის სპეციალური მეთოდი**

1. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის „დარიალი-ჟინვალის კონტური“ განისაზღვრება როგორც საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოქმედი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის (ტექსტში შემდგომ – სს „ენერგო-პრო ჯორჯია“) კუთვნილი გამანაწილებელი ქსელის 110, 35, 10, 6 და 0,4 კვ-იანი მონაკვეთი შემოსაზღვრული მიწოდების და მიღების იმ პუნქტებით, რომელთა საშუალებითაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ელექტროენერგიას:

ა) იღებს:

ა.ა) გადაცემის ლიცენზიატის კუთვნილი ქვესადგურ(ებ)ის მიწოდების პუნქტებიდან და აგრეთვე 110 კვ-ის ელექტროგადამ ცემი ხაზი „დარიალის“ მიწოდების პუნქტიდან სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 110 კვ-ის კუთვნილ ქვესადგურ „ყაზბეგში“;

ა.ბ) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებლების ელექტროსადგურების სალტეებზე განთავსებული მიწოდების პუნქტებიდან;

ბ) გასცემს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მიწოდების პუნქტებში და მცხეთა-მთიანეთის მონაკვეთში მიღების იმ პუნქტებში, რომლებიდანაც სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილი გამანაწილებელი ქსელიდან, მათ კუთვნილ ელექტრულ ქსელებში, ელექტროენერგიას იღებს სხვა განაწილების ლიცენზიატი და პირდაპირი მომხმარებლები.

2. გადაცემის ლიცენზიატების მიერ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-თვის „დარიალი-ჟინვალის კონტურში“ გაწეული გადაცემის მომსახურების რაოდენობა (E“დ-ჟ“.კონტ) განისაზღვროს შემდეგი ფორმულის მიხედვით:

E“დ-ჟ“.კონტ = [Eგად.მიღ / (Eგად.მიღ + Eგენ.მიღ)] x Eეპჯ.მოხ, (კვტსთ),

სადაც:

ა) Eგად.მიღ – წარმოადგენს „დარიალი-ჟინვალის კონტურში“ გადამცემი ქსელის მიწოდების პუნქტებით მიღებული ელექტროენერგიის ჯამური მოცულობას, რომელსაც ემატება ქ/ს „გლდანი-220“-ის და ქ/ს „დიდუბე-220“-ის გადაცემის ქსელის მიწოდების შესაბამისი პუნქტებიდან ამავე კონტურის არეალში მოქცეული ეგხ-ებით („ავჭალა-35“ და „წევა-35“) სს „ენერგო-პრო ჯორჯიაზე“ გადაცემული ელექტროენერგიის რაოდენობა (ტექსტში შემდგომ – „ზაჰესიდან გადაცემული ელექტროენერგიის რაოდენობა“), დაანგარიშებული იგივე განაწილების ლიცენზიატის მიერ დასახელებული ეგხ-ებით („ავჭალა-35“ და „წევა-35“) შექმნილ ზაჰესის მოქმედ კვანძში მოხმარებული ელექტროენერგიის პროპორციულად.

ბ) Eგენ.მიღ – წარმოადგენს სხვაობას ერთი მხრივ „დარიალი-ჟინვალის კონტურში“ მოქცეული ელექტროსადგურების მიწოდების პუნქტებიდან სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გამანაწილებელ ქსელში მიღებული ელექტროენერგიის მოცულობასა (კვტ.სთ.) და მეორე მხრივ ზაჰესიდან გადაცემული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის;

გ) Eეპჯ.მოხ – წარმოადგენს: „დარიალი-ჟინვალის კონტურში“ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქსელში ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად განსაზღვრული ელექტროენერგიის რაოდენობებს შორის სხვაობას.

*საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის ბრძანება №35 – ვებგვერდი, 04.07.2017წ.*

**მუხლი 45. საცალო მომხმარებლის ელექტროენერგიის პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაციის დროებითი წესი**

1. საცალო მომხმარებელი, რომელიც 2018 წლის შედეგების საფუძველზე აკმაყოფილებს

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის №144 დადგენილებით ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისათვის განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს, 2019 წლის 1 მაისიდან უნდა დარეგისტრირდეს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც პირდაპირი მომხმარებელი.

2. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, არაუგვიანეს 2019 წლის 15 აპრილისა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წარუდგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცალო მომხმარებლების ჩამონათვალი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული მომხმარებლების ქსელთან მიერთების წერტილების სია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საცალო მომხმარებელი, 2019 წლის 1 მაისიდან აღარ წარმოადგენს საცალო მომხმარებელს.

4. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, არაუგვიანეს 2019 წლის 15 აპრილისა, წერილობით აცნობოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საცალო მომხმარებელს 2019 წლის 1 მაისიდან საცალო მომხმარებლის სტატუსის გაუქმების შესახებ, ასევე მიაწოდოს ამ წესების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც პირდაპირი მოხმარებელი, რეგისტრაციის მაძიებელმა, არაუგვიანეს 2019 წლის 20 აპრილისა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს უნდა წარუდგინოს ამ წესების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნტებითა და $5^1$ პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

6. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 3 სამუშაო დღის ვადაში იხილავს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესების მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი წერილობითი ფორმით აცნობებს უარს მაძიებელს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებით.

7. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, რეგისტრაციის მაძიებელი და პირი, რომლის მფლობელობაში არსებულ ქსელსაც უერთდება რეგისტრაციის მაძიებელი, ამოწმებენ საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელ აღრიცხვის კვანძებს და ადგენენ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტს. საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი აღრიცხვის კვანძების შემოწმების კონკრეტულ თარიღს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი წერილობით აცნობებს რეგისტრაციის მაძიებელს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში. საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი აღრიცხვის კვანძების შემოწმება უნდა განხორციელდეს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ რეგისტრაციის მაძიებელთან წერილობითი შეტყობინების გაგზავნის დღიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. თუ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით დადასტურდა ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის გამართულობა, მაძიებლის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანა ხორციელდება 2019 წლის 1 მაისიდან.

9. თუ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით არ დადასტურდა ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის გამართულობა, რეგისტრაციის მაძიებლის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანა ხორციელდება 2019 წლის 1 მაისიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად კომისიის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრული არის ხარვეზის გამოსწორების ვადა.

10. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულმა საცალო მომხმარებელმა არ შეასრულა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მოქმედება, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, აღნიშნულის თაობაზე, არაუგვიანეს 2019 წლის 25 აპრილისა, წერილობით აცნობებს პირს, რომლის მფლობელობაში მყოფ ქსელთანაც მიერთებულია საცალო მომხმარებელი. პირი, რომლის მფლობელობაში მყოფ ქსელთანაც არის მიერთებული საცალო მომხმარებელი, ვალდებულია, 2019 წლის 1 მაისიდან საცალო მომხმარებელს შეუწყვიტოს/შეუზღუდოს ელექტროენერგიის მიწოდება.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის ბრძანება №1-1/160 - ვებგვერდი,, 04.04.2019 წ.*

**მუხლი $45^1$. საცალო მომხმარებლის ელექტროენერგიის პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაციის დროებითი წესი**

1. საცალო მომხმარებელი, რომელიც „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის №244 დადგენილების შესაბამისად, 2020 წლის შედეგების საფუძველზე აკმაყოფილებს ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისათვის განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს, 2021 წლის 1 ივლისიდან უნდა

დარეგისტრირდეს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც პირდაპირი მომხმარებელი.

2. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, არაუგვიანეს 2021 წლის 23 ივნისისა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს და ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორს წარუდგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცალო მომხმარებლების ჩამონათვალი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული მომხმარებლების ქსელთან მიერთების წერტილების სია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საცალო მომხმარებელი, 2021 წლის 1 ივლისიდან აღარ წარმოადგენს საცალო მომხმარებელს.

4. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, არაუგვიანეს 2021 წლის 23 ივნისისა, წერილობით აცნობოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საცალო მომხმარებელს 2021 წლის 1 ივლისიდან, საცალო მომხმარებლის სტატუსის გაუქმების შესახებ, ასევე მიაწოდოს ამ წესების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც პირდაპირი მოხმარებელი, რეგისტრაციის მაძიებელმა, არაუგვიანეს 2021 წლის 25 ივნისისა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს უნდა წარუდგინოს ამ წესების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნტებითა და $5^1$ პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

6. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი 3 სამუშაო დღის ვადაში იხილავს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ წესების მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი წერილობითი ფორმით აცნობებს უარს მაძიებელს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებით.

7. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, მაძიებლის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში შეყვანა ხორციელდება 2021 წლის 1 ივლისიდან.

8. დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული თვისა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორი, რეგისტრაციის მაძიებელი და პირი, რომლის მფლობელობაში არსებულ ქსელსაც უერთდება რეგისტრაციის მაძიებელი, ამოწმებენ საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელ 35/110 კვ და 6/10 კვ ძაბვის საფეხურებზე არსებულ აღრიცხვის კვანძებს, ადგენენ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტს.

9. თუ აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით არ დადასტურდა ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის გამართულობა, აღრიცხვის კვანძების შემოწმების აქტით დადგენილი ხარვეზების შესახებ ეცნობება კომისიას.

10. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულმა საცალო მომხმარებელმა არ შეასრულა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მოქმედება, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი აღნიშნულის თაობაზე არაუგვიანეს 2021 წლის 25 ივნისისა, წერილობით აცნობებს პირს, რომლის მფლობელობაში მყოფ ქსელთანაც მიერთებულია საცალო მომხმარებელი. პირი, რომლის მფლობელობაში მყოფ ქსელთანაც არის მიერთებული საცალო მომხმარებელი, ვალდებულია, 2021 წლის 1 ივლისიდან საცალო მომხმარებელს შეუწყვიტოს/შეუზღუდოს ელექტროენერგიის მიწოდება.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება №1-1/257 - ვებგვერდი, 21.06.2021 წ.*

**მუხლი 46. „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ელექტროენერგიის იმპორტის სატარიფო რეგულირების გაუქმებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები**

1. „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ ელექტროენერგიის იმპორტის სატარიფო რეგულირების გაუქმებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ამოქმედების შემდეგ:

ა) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგია, რომელიც არ არის გაყიდული კვალიფიციურ საწარმოსთან იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ამ წესების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს ამ ელექტროენერგიის თვითღირებულებით (შესაბამისი იმპორტის ხელშეკრულებაში მითითებული ფასის გათვალისწინებით);

ბ) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის ზემოხსენებული გადაწყვეტილების ამოქმედებამდე გაფორმებული და მოქმედი იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგია, ამ წესების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს შესაბამისი იმპორტის პირდაპირ

ხელშეკრულებაში მითითებული ფიქსირებული/ზღვრული ფასით;

გ) საქართველოში იმპორტირებული და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგია, ამ წესების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს შესაბამისი იმპორტის პირდაპირ ხელშეკრულებაში მითითებული ფასით.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ წესების მე-$14^4$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების მიზნით ხელმძღვანელობს:

ა) ელექტროენერგიის იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში – ელექტროენერგიის იმპორტზე პირდაპირი ხელშეკრულების შესაბამისი საანგარიშსწორებო პერიოდისათვის განსაზღვრული გასაყიდი ფიქსირებული/ზღვრული ფასებით;

ბ) თუ ელექტროენერგიის იმპორტიორს წარმოადგენს სისტემის კომერციული ოპერატორი – ელექტროენერგიის იმპორტზე ხელშეკრულების ფიქსირებული/ზღვრული ფასებით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირობების გათვალისწინებით.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება №1-1/46 - ვებგვერდი,, 29.01.2020 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 21 აგვისტოს ბრძანება №1-1/333 - ვებგვერდი, 24.08.2020 წ.*

**მუხლი 47. თბოელექტროსადგურის მიერ საცდელი გაშვების ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაციის დროებითი წესი**

1. იმ თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტრონერგიის რეალიზაცია, რომელიც 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით დარეგისტრირებულია საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე კვალიფიციურ საწარმოდ, როგორც ელექტროსადგური საცდელი გაშვების ან/და კომპლექსური გასინჯვის რეჟიმში, ხორციელდება:

ა) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორზე საბალანსო ელექტროენერგიის ნასყიდობის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების საფუძველზე;

ბ) განაწილების ლიცენზიატი კვალიფიციურ საწარმოებთან გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე;

გ) ენგურჰესთან გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ამ წესების 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის.

2. ამ მუხლის პირველის პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი თბოელექტროსადგურის მფლობელი პირი წარმოადგენს ამ წესების მე-8 მუხლით გათვალიწინებული პირდაპირი ხელშეკრულების მხარეს, როგორც საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე კვალიფიციური საწარმო, რეგისტრირებული საცდელი გაშვების ან/და კომპლექსური გასინჯვის რეჟიმის მიზნებისთვის და მასზე ვრცელდება ამ წესების მე-9 მუხლის მოთხოვნები.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის პირდაპირი ხელშეკრულების ფარგლებში რეალიზებული ელექტროენერგიის ფასზე ვრცელდება ამ წესების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესი.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება №1-1/46 - ვებგვერდი,, 29.01.2020 წ.*

**მუხლი 48. გამონაკლის შემთხვევებში ავარიული სიტუაციის აღმოფხვრის, საქართველოს ენერგოსისტემის სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის იმპორტის ხელშეკრულების გარეშე მეზობელი ქვეყნიდან შემოტანილი ელექტროენერგიის დაბრუნების დროებითი წესი**

1. ავარიული სიტუაციის აღმოფხვრის, ენერგოსისტემის სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, ამ წესების მე-142 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის იმპორტის ხელშეკრულების გარეშე საქართველოს ენერგოსისტემაში შემოტანილი ელექტროენერგიის ის მოცულობა, რომლის დაბრუნება შესაბამისი მეზობელი ქვეყნის (თურქეთი) ენერგოსისტემისთვის იმავე საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა, წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ელექტროენერგია ამ წესების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს იმ ჰიდროელექტროსადგურის ტარიფის ზედა ზღვრით, რომელსაც კომისიამ დაუდგინა ყველაზე მაღალი ტარიფი.

3. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ელექტროენერგიაზე ანგარიშსწორებას ახორციელებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტარიფით.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უფლება აქვს, სამინისტროსთან შეთანხმებით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის მოცულობის ანაზღაურება მეზობელი

ქვეყნის ენერგოსისტემისთვის უზრუნველყოს მომდევნო უახლოეს საანგარიშო პერიოდში, მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემის ტექნიკურ ოპერატორთან შეთანხმების საფუძველზე, იმავე მოცულობის ელექტროენერგიის მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემისთვის ექსპორტის ხელშეკრულების გარეშე დაბრუნების (გატანის) გზით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემაში გასული ელექტროენერგიის ექსპორტის ხელშეკრულების გარეშე დაბრუნების (გატანისას) უზრუნველყოფისთვის, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისგან საბალანსო ელექტროენერგიას შეისყიდის ამ წესების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფასით.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №1-1/76 - ვებგვერდი, 10.03.2021 წ.*

**მუხლი 49. 2022 წლის ოქტომბრის თვეში ეგხ 220 კვ ,,სალხინოთი“ და ეგხ 110 კვ ,,ნაკადულით“ შემოტანილი და თურქეთის რესპუბლიკაში სატრანზიტოდ განკუთვნილი ელექტროენერგიის შესყიდვის დროებითი წესი**

1. 2022 წლის ოქტომბრის თვეში ტრანზიტის განხორციელებისას, ეგხ 220 კვ ,,სალხინოთი“ და ეგხ 110 კვ „ნაკადულით“ შემოტანილი და თურქეთის რესპუბლიკაში სატრანზიტოდ განკუთვნილი ელექტროენერგიის ნაწილი (არაუმეტეს 95 000 000 კვტ.სთ იმპორტირებული ელექტროენერგია) იმპორტიორისგან შესყიდულ იქნეს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ, იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ანაზღაურება განხორციელდება იმავე მოცულობის ელექტროენერგიის იმპორტიორისათვის დაბრუნებით. წინამდებარე წესების მე-14 მუხლის $1^1$ პუნქტის მიზნებისათვის, იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული ელექტროენერგიის პირობითი ფასი განისაზღვროს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებით მისაწოდებელი საექსპორტო ელექტროენერგიის შესყიდვის საპროგნოზო ხარჯების გათვალისწინებით.

2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ, ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულების თანახმად შესყიდული ელექტროენერგიის იმპორტიორისათვის დაბრუნება განხორციელდება 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 30 მარტის ჩათვლით პერიოდში, მხარეებს შორის დამატებით გაფორმებული ექსპორტის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, ელექტროენერგიის დაბრუნება და აღნიშნული მიზნით ტრანსსასაზღვრო ხაზის საექსპორტო მოცულობის განაწილება განხორციელდეს შესაბამისი საანგარიშო პერიოდისათვის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსით განსაზღვრული მოცულობებისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინების გარეშე.

3. ამ მუხლით დადგენილი წესი ძალაშია 2023 წლის 30 მარტის ჩათვლით.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №1-1/421 - ვებგვერდი, 30.09.2022 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №1-1/431 - ვებგვერდი, 10.10.2022 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №1-1/555 - ვებგვერდი, 28.12.2022 წ.*